# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 ლარი

1134/2
2016



2016/აპრილი

4 (246)

## ივა ფეზუაშვილი

# მარაკანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| პაროდია | 1 | ივა ფეზუაშვილი \| მარაკანა |
| პოეზია | 20 | კატო ჯავახიშვილი |
| პორტრეტი | 23 | ნანა კობაიძე \| მაია ბადრიძე - როცა მწერალს უტოლდები |
| თარგმანი | 29 | დიდიე დენინქსი |
| | 30 | ჯიუტი ადამიანები ბესედიდან |
| | 34 | უტვინო თოვლის პაპა<br>*ფრანგულიდან თარგმნა მანანა ბოსტოღანაშვილმა* |
| ოჯახის პორტრეტი | 36 | ფოლკერ ვაიდერმანი \| ჩვენ, მანები<br>*გერმანულიდან თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა და ეკა რაისნერმა* |
| | 42 | 75 წლის ფსიქოლოგი და მწერალი ფრიდო მანი, თომას მანის შვილიშვილი, საკუთარ ცხოვრებაზე<br>*გერმანულიდან თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა და ეკა რაისნერმა* |
| გამოფენა | 46 | მაკო ჯანჯიბუხაშვილი \| მერაბ აბრამიშვილის სამოთხეები |


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია



სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

*სულხან-საბა*

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

*ხალხური*


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ივა ფეზუაშვილი

# მარაკანა



### #1

არსებობს ეგეთი გამოთქმა - "ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი". სინამდვილეში, ის ვიზეც ამას ამბობენ საერთოდ არ არის ნიჭიერი და რაც არ უნდა თავი დააკლას საქმეს, ვერც ვერასდროს გახდება, ნიჭიერი ხარ ან არ ხარ, ზარმაცის გამოსწორება კიდე შეიძლება, უნიჭოსი არა, ლექსიცაა მაგაზე დაწერილი, ნვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამაც არ უშველაო... სიტყვასიტყვით ესე არ დაუწერიათ, მაგრამ შინაარსი ეგეთივეა...

ჩვენ დროს კოკლიანზე ამბობდნენ ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციო. კოკლიანის მამას ჩემს ფეხებს ეტყოდი შენი შვილი ფეხბურთელის გარდა ყველაფერი გამოვაო, იმიტომ რომ კოკლიანის მამა პოლიციის უფროსი იყო, კოკლიანის ბიძა კიდე კანონიერი ქურდი, კოკლიანიც ეგრე გაორებულად უყურებდა ცხოვრებას და ხანდახან თავისი და მეტოქე გუნდის კარიც ემლებოდა ხოლმე, მაგრამ კოკლიანზე მაინც ამბობდნენ ნიჭიერია, ოღონდ ზარმაციო, იმიტომ რომ მამამისი ბავშვებს ბუცებს გვჩუქნიდა, ტრენერს კი ფულს. ტრენერი ფულს კარგად ირგებდა და აბა ჩვენთვის გეკითხათ რა ჯანდაბად გვინდოდა ქვიშადაყრილ სტადიონზე ბუცები. ეს ქვიშა ვითომ იმიტომ დაყარეს, რომ კუნთებს ამაგრებსო, სინამდვილეში კი სკოლის დირექტორმა ხელოვნური ბალახის საყიდელი ფული შეჭამა, მაგრამ ეგ მერე, კოკლიანის ბიძისგან გავიგეთ, რომელიც თურმე სკოლას კრიშავდა. იმ პერიოდში ბევრი ისეთი რაღაც გავიგეთ, რაც არ უნდა გაგვეგო, მაგრამ დრო იყო ეგეთი.

სტადიონს კი, სადაც ვვარჯიშობდით, ერქვა მარაკანა, ყოველშემთხვევაში ტრენერები ასე ეძახდნენ, ეძახდნენ იმიტომ, რომ ყველაზე დიდი სავარჯიშო სტადიონი იყო ქალაქში და მარაკანა იმიტომ, რომ მაშინ მარაკანაზე დიდი სტადიონი წარმოდგენილი არ ქონდათ და ეგ კიდევ იმიტომ, რომ ფეხბურთი ბოლოს გაზეთში ქონდათ წაკითხული და ეგ კიდევ იმიტომ, რომ... ეგ კიდევ იმიტომ, რომ კოკლიანის მამისნაირები პოლიციის უფროსები იყვნენ და კოკლიანის ბიძის ნაირები კრიმინალური ავტორიტეტები.

"ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი" - არ მეგონა თუ ამ გამოთქმას მეც ვიხმარდი, მაგრამ დირექტორმა გამიტრაკა, ახოსპირელის მამას არ აწყენინო, ხო იცი როგორი კაციაო. არ ვიცი საიდან უნდა ვიცოდე? საიდან უნდა ვიცნობდე ახოსპირელისნაირებს, და საიდან უნდა ვიცოდე რომ ახოსპირელებისნაირს არ უნდა აწყენინო, იმიტომ რომ რაღაცნაირი კაცები არიან? ადამიანი ჯიგრულად დავიბარე, შენი შვილი ფეხბურთიდან გაიყვანე, ტყუილად კლავ ამ საცოდავ ბავშვს და ტყუილად იხარჯები შენც-მეთქი, უნდა მეთქვა, და თურმე ჩემი ფეხები, ეგეთების თქმა ახოსპირელებისნაირებისთვის არ შეიძლება, იმიტომ რომ ახოსპირელის შვილები უნიჭოები ვერ იქნებიან, ზარმაცები კი, მაგრამ უნიჭოები არა!

რისი თქმა გინდოდათო - მამა ახოსპირელმა.

არაფერი ისეთი, ცოტა უნდა მოუმატოს, ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ზარმაცი-მეთქი.

ამ ახოსპირელმა კიდე შემომხედა, მიყურა-მიყურა და უცებ მომიხია, შენ რომ არ იყავი ზარმაცი

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტომ ტრენერობ ხომ ოცდათოთხმეტი წლის ბიჭიო.

ასაკი როგორ გაარტყა ამ ჩემისამ-მეთქი ეგ გავიფიქრე პირველი, მერე კიდე ნერვები მომეშალა, აი ახოსპირელს ვინ ეკითხება მე რატომ ვტრენერობ? რამოდენიმე კარგი გინების კომბინაცია დავალაგე ტვინში, მაგრამ ამ დროს ჩამოიარა დირექტორმა და ეგრევე მომტეხა

ეგ ყლე-მეთქი!

ეგ ყლე იცი ვინ არისო, დირექტორმა მკითხა

ვახ შენ რას შემეცი, არ ვიცი, არ ვიცნობ ახოსპირელისნაირებს-მეთქი

აი ეგეთი ხასიათი რომ არ გქონოდა ხომ ითამაშებდი ეხლაცო

ხასიათი რა შუაშია, შუა სტადიონზე მესროლეს და კაციშვილმა არ დარეკა პოლიციაში, პოლიციას ვინ ჩივის სასწრაფოში მაინც დაერეკა რომელიმეს-მეთქი

ნადი, ამას მე მივხედავო

წამოვედი!

აი იმ დღეს, თექვსმეტი წლის წინ, კოკლიანის უბნელებს მაზიანზე სათამაშოთ რომ არ გავყოლოდი, შუა თამაშის დროს ვიღაცას რომ არ ვეცნე, ესაო ბიჭო, ესა ჩემიდედამშევეცი ფეღბურთელია, გვასიაფანდებენ ამათ მოუტყან სუყველაფერიო, რომ არ დაეყვირა გაღმელ ჩეჩენას და მერე იმ ორს რომ არ ესროლათ, ან რომ ესროლათ მაგრამ ხელში, მუცელში ან რავი სადაც გინდა იქ რომ დავჭრილიყავი და არა მაინცდამაინც ფეხში და მაინცდამაინც კუნთში, ან ჯანდაბას ესროლათ ფეხშიც, კუნთშიც, მაგრამ კოკლიანი რომ არ მდგარიყო ეგრე სირივით და სასწრაფოში რომ დაერეკა, ახლა სად ვიქნებოდი?

ჩვენი იმ დროინდელი გუნდიდან ყველაზე წარმატებული ჯაში გამოდგა, ბუნდესლიგაში ითამაშა საკაიფოდ, ეხლა ჰოლანდიაშია. ზუგდიდსკი მოსკოვებს და როსტოვებს მიაწვა, შოტლანდიაში იყო, მაგრამ ვერ გაუქაჩა, რუსეთიდანაც გამოქცევაზეა, ამასწინათ ველაპარაკე, რაღაც თანხა უნდა მოვხოდო და მერე ვაფშე დავანებებ თამაშს თავს ამის დედაც მოვტყანო. ბერძენა თურქეთშია, მაგრამ სკამზე ზის, კოკლიანმა თავისით დაანება ფეხბურთს თავი და ეხლა მამამისის დაწყებულ ბიზნესს აგრძელებს. უფროსმა კოკლიანებმა შენობების პრივატიზებით და მერე გაყიდვით საკაიფო ფული იშოვეს, ეხლა სამშენებლო კომპანია აქვთ და ნახევარი ქალაქი ჰყავთ გადაგდებული, მაგრამ კოკლიანის დედა პარლამენტში იყო, წინასაარჩევნოდ ფულები ჩაიტანა და დროებით აპატიეს.

“სამისნახევრიანები” მოვიდნენ, ყველაზე პატარები და საკაიფო ბავშვები, იმ ასაკში არიან, მასწს რომ გეძახიან. მეცნიება, ტრენერობა ბოლომდე მასწავლებლობა არ არის რა, მასწავლებლის პასუხისმგებლობის პონტს არ იღებ ბოლომდე შენ თავზე, თან არავინ გთხოვს დამრიგებლურ ტონს და სიბრძნეების ჩამოთლას. მე ვერც მასწავლებლობაშიც ვხედები მაგ ორის დანიშნულებას, ბავშვებთან მთავარია მართალი იყო და საერთოდ ცხოვრებაშია მთავარი, რომ მართალი იყო და თუ მართალი ხარ, შენი სიმართლე ყველას ესმის, მითუმეტეს ბავშვებს. თუ იტყუები, ისინიც იტყუებიან გინდა ფეხბურთში გინდა ადამიანობაში და სადაც გინდა.

ჩვენს დროს ტრენერი ის კაცი იყო, რომელსაც პირში სასტვენი ქონდა გაჩხერილი და ყოველ შეცდომაზე დედის ტრაკს გვაფარებდა, ჩვენ კი ყველანი ის ბავშვები ვიყავით, რომლებსაც ფეხბურთელობა და კაიბიჭობა ერთად გვინდოდა, მაგრამ ტრენერისგან გინება მაინც გაგვდიოდა. სხვებს არ გადავწვდები, მაგრამ ჩემი გუნდიდან, ეგ ორი რამე ვინც ერთად ცადა, არავის გამოუვიდა, არავის არაფერი გამოუვიდა, არც ერთხელ, არსად... აგერ მე ვარ ნათელი მაგალითი, გამხვრიტეს მუხლს ზემოთ და მეტის ღირსიც ვიყავი... ალბათ...

ეს ახალი ბავშვები თითქოს ჩვენნაირები არ არიან, მაგრამ თან არიან, იმიტომ, რომ ამათი მამები არიან ჩვენნაირები და ამათი მამები კიდევ ის ხალხია, ვინც ასე თუ ისე რაღაცას მიაღწია ცხოვრებაში და რახან მიაღწია, გონია, რომ სწორად იცხოვრა და რა იცხოვრა ეგ აღარ ახსოვს, ან აღარ უნდა რომ ახსოვდეს.

“სამისნახევრიანები” პატარები არიან, ამათთან ფეხბურთიც ადრეა და საერთოდ ყველაფერი ადრეა, მოდიან, ცოტას წავავარჯიშებ და მერე ვათამაშებ ხოლმე, თამაში კიდე ყველა ბავშვს უყვარს, ხოდა თუ ხშირად ათამაშებ, მერე შენც უყვარხარ, ხოდა “სამისნახევრიანებს” ვუყვარვარ, შეიძლება იმიტომ, რომ ბუცებით და ფორმით თამაშის უფლებას ვაძლევ. ჩემს დროს ფორმით ვინ გათამაშებდა, ერთი გვქონდა და ჯანმრთელობაზე მეტად ვუფრთხილდებოდით, ბუცებით თამაშზე კიდე ხომ ვთქვით უკვე.

სამუშაო დღეს "სამისნახევრიანებით" ვამთავრებ, შესაბამისად, ახოსპირელებისნაირებმა როგორც არ უნდა მომიჯვან განწყობაში, დღის ბოლოს მაინც კარგ ხასიათზე გამოვდივარ სამსახურიდან, მარაკანას ვტოვებ, ხო, მეც მარაკანაზე ვავარჯიშებ ბავშვებს, რთულია იმ ადგილის დატოვება, სადაც ათი წელი ვარჯიშობდი და რაღაცა მოგონებებიც გაქვს, თან ყველაზე მეტად შემდგარი და წარმატებული თუ არა ნიჭიერი, და იმედის მომცემი მაინც იყავი, აქ და ახლა თუ არა, აქ და მაშინ მაინც, ხოდა ვიღაც რომ იყავი და იმ ვიღაცის არდილი რომ ეხლა უკვე ხელოვნურ ბალახგადაკრულ მინდორზე დარბის, ეგეც საქმეა, პატარა, მაგრამ მაინც საქმეა. მოკლედ, მარაკანას ვტოვებ და ჩვეულებრივ ქალაქში გამოვდივარ, სადაც უფრო მეტი ახოსპირელი და უფრო მეტი ჩემი სკოლის დირექტორისნაირები დადიან. დაე იარონ!

## #2

საღამოს ზუგდიდსკიმ დარეკა, ბიჭო ფული რამდენი გაქვსო?

ცოტა-მეთქი

ხვალამდე რამდენს დაითრევო?

რავი რაში გჭირდება-მეთქი

შოტი ვიცი ხვალინდელი, უეჭველი დაჯდება, პროსტა ბლომად უნდა დადო რო საკაიფოდ გავუყოთო, ხოდი მაქ გამიგე აქა გაყიდულ იგრებზე და კიდე გავაძრობ რაღაცეებსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ბრატი მყავს, ვესესხები-მეთქი

ტრი და ვოსემია კუში ათას ლარამდე მოუყარე როგორღაც თავიო

უეჭველი ბაზარია-მეთქი?

დიშეილსვფიცავარო

ორი საათის მერე კიდე დამირეკა

დაიკოა მანდ ჩემი, დევეტიში სჩემტას მაგიც მოგცემს ეგეც შეაგდეო

კარგი-მეთქი

თათეშკასთან არ წამოგცდეს, მაგი, დაიკოს ამბავიო

ეგრე მიცნობ მეთქი

ზუგდიდსკის გაძრობილი დაიკო როგორი იქნებოდა, ზუსტად ვიცოდი, ასე რომ კაფეში მისულს არც დამირეკავს ეგრევე გვერდით მივუჯექი, ზუსტად თათეშკასნაირი იყო, ანყობილი, ხელოვნური, მაგრამ ზუგდიდსკისთვის იდეალური

მაგას შიგ ხომ არ აქვსო

ბოდიში-მეთქი?!

ყველაფერი დამალომბარდებინა რაც გამოგზავნილი ქონდაო

დაგიბრუნებს, რაღაც საქმე გაჩარხა-მეთქი

მკიდიაო, სამი თვე ველოდები, ორი დღე მნახულობს, თუ ცოლს უნდა დაახარჯოს ეს ფული ჩემკენ აღარ გამოიხედოს უთხარიო

არა, არა გასამაზად ჭირდება-მეთქი

ვითომო?

კი ეგრეა, უეჭველი ვიცი-მეთქი

და შენ ვაფშე ვინ ხარ, შენც ფელბურთელი ხარო

არა, უფრო სწორად აღარ-მეთქი - რაღაცნაირად გაიღიმა, რაღაცნაირად ისე რომ მივხვდი ზუგდიდსკის სად დაერხა ამ ქალთან ურთიერთობაში...

ჩვეულებრივ გიორგას დავურეკე - ფულს ვერ გასესხებ, მაგრამ სესხს გაგიკეთებ ერთ დღეშიო. ჩვეულებრივი გიორგა კლიჩკიდანაც ხომ ჩანს როგორი კაცია? ჩვეულებრივი. უნივერსიტეტში ჯგუფელები ვიყავით... რომ მესროლეს, მერე ექიმებმა მითხრეს, რომ ვერ ვითამაშებდი, ხოდა თუ ვერ ვითამაშებდი, მაშინ უნდა მესწავლა, იმიტომ რომ ეგ დაუწერელი წესივითაა, თუ თამაშობ ვერ სწავლობ და თუ აღარ თამაშობო, კეთილი ინებე და ისწავლე მაინცო, ეგრე მითხრეს ოჯახში. ვცადე, მაგრამ არ გამოვიდა, რაღაცეებს ვჯახირობდი, ცოტა წავიკითხე, ცოტა აზრზე მოვედი, მაგრამ მათემატიკა იმენა არ იყო საჩემო და არც მე ვიყავი სამათემატიკო. ჩვეულებრივი გიორგა კიდე ზედგამოჭრილი იყო ციფრებისთვის, მე უფრო ლიტერატურა მომწონდა და ჩემთვის ეგეც საკმარისი იყო, დიპლომის ასაღებად კი სამწუხაროდ არა. გიორგამ დიპლომიც აიღო და მგონი საერთოდ მესამე კურსიდან მუშაობდა, თავიდან ვიტრინაში რომ სხედან, ეგ კაცი იყო, მერე ვიტრინიდან უკან და ცოტა გვერდით გადაინაცვლა საკუთარ მაგიდასთან, ცოტა გვერდიდან კი კიდევ უფრო უკან, კაბინეტში. ბანკი ხომ ეგ ადგილია, სადაც რომ ჩანხარ უფრო ცუდია, ვიდრე რომ არ ჩანხარ. ხოდა, ჩვეულებრივი გიორგა აღარ ჩანდა, საკრედიტო ოფიცერი გახდა თუ რაღაც უფრო მაღალი წოდება მიიღო, ისეთი მაღალი, რომელიც ჩვეულებრივმა კლიენტებმა არ იციან და არც უნდა იცოდნენ.

ბანკში რომ შევედი, ჩვეულებრივი გიორგას გვარი დამავიწყდა, კონსულტანტები კიდე ზედმეტსახელით არ იცნობდნენ, მერე როგორც იქნა გავიხსენე გვარი და უი ბატონ გიორგიზე ამბობთო? სადღაც ჯურღმულში შემიყვანეს, დარწმუნებული ვარ იმ შენობის ნახაზი რომ მოგეთხოვა, სადაც ბანკის ფილიალია, იმ ოთახს ვერ იპოვიდი, ესე იგი ბატონი ჩვეულებრივი გიორგა ნამეტანი დიდი კაცი გამხდარა.

რამდენი გჭირდებაო?

რავი რამდენი შემიძლია-მეთქი

ხელფასი რამდენი გაქვსო

ამდენი-მეთქი

მაგდენით, ამდენს გაიტანო

იყოს მაგდენი-მეთქი

ხო არ გამშარავო

რა სისულელეა, ხვალვე მოვიტან-მეთქი

ხვალვე არ გვინდა, დავიწევებით და თან საპირგამტეხლო შეგეტენებაო

მეორე კურსიდან გამაგდეს რა სიტყვებით მელაპარაკები შეჩემისა-მეთქი

თვის ბოლოს პროცენტი შემოიტანე და მერე ნელ-ნელა დაფარეო

კარგი-მეთქი...

სანამ განცხადებას ვავსებდი, ჩვეულებრივმა გიორგამ არაჩვეულებრივი რაღაც მოიფიქრა -

ბიჭოო

ხო-მეთქი

ჩვენთან უნდა დაიწყო მუშაობაო

რა-მეთქი?

ახალი წლების მერე, კომპანიებს შორის მინიფეხბურთის ტურნირია და მაგრად დაგვეხმარებიო, ხო კიდე თამაშობო

რავი, შენზე უკეთ კი-მეთქი

ხოდა ძალიან კარგი, გადაწყვეტილი ამბავიაო. სამი თვე ტრუხაზე აიღებ ხელფასს და თუ კარგად ითამაშებ, ბონუსიც ჩაგერიცხებაო

მელადავები-მეთქი?

არა შენძმობასვფიცავარ, ერთხელაც არ მოგიწევს სამსახურში მოსვლა, მთავარია ტურნირი ითამაშოო. ხო ხვდები კომპანიის იმიჯია, ყველაფერში პირველები უნდა ვიყოთ, თან შარშან კონკურენტ ბანკთან ჯომარდობის ტურნირი წავაგეთო

ეგ რა მითხარი-მეთქი

ათას ლარიანი ხელფასი გექნებაო

რაღა უნდა მეთქვა?

თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივედი ტოტალიზატორში

თქვენო, ისეთ თანხას დებთ მენეჯერს უნდა შევუთანხმდეთო

შევუთანხმდით

მენეჯერმა - შენ რაღაც ისეთი ხომ არ იცი რაც არ უნდა იცოდეო. ვითომ ორაზროვნად მკითხა

ვილაცაში გეშლებით-მეთქი. ფსონი მიიღო, მე კიდევ იქვე დარბაზში ჩამოვჯექი და ლუდი შევუკვეთე. მეოთხმოცე წუთამდე არ ჯდებოდა ზუგდიდსკის შოტი, მეოთხმოცეზე გაათანაბრეს, მერე მეორეც შეაგდეს ოთხმოცდამერვეზე, ისეთი საფანდი პენალი დადეს, მე კი არა ბავშვი მიხვდებოდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყიდული თამაში იყო, მერე მე რა რო? არც არაფერი!

მოგებულ ფულს დღეს ვერ გაიტანთ, ხვალ უნდა გამოიაროთო რომ მითხრეს, ზუსტად იმ მომენტში დარეკა ზუგდიდსკიმ

ხო გითხარიო

მალადეც-მეთქი

რამდენი მეჲიგეთო?

ბლომად-მეთქი

მაგ ფულს ხელი არ ახლო, ხვალინდელიც ვიციო

აქ ტოტალიზატორში კითხვები დამისვეს დღეს-მეთქი

ხუთი ათასს ზემოთ იწყებენ მაგენი კითხვების დასმას, სხვადასხვა კლუბებში დადე, ხუთზე ნაკლებიო

ხო არ ლადაობ მაგდენ ტოტალიზატორს რა მოივლის-მეთქი

შეჩემისაო... ალარ გავაგრძელებინე, მართალი იყო.

## #3

ზუგდიდსკიმ ზამთრის შესვენებამდე კიდევ ორი თამაში დასვა. თითონ ოცდაშეიდში ჩამოვიდა, ბანკის ვალი და დაიკოსთვის დასაბრუნებელი ფული გადავდეთ, დანარჩენი პაპალამ გავიყავით. ოცდაათ-ოცდაათი გამოვიდა, ლარში.

ზუგდიდსკიმ, მე ჩემებთან უნდა წავიდე რაიონში და ორ დღეში დავბრუნდებიო, მერე მთაში გავგაზოთ სასტუმროში, ჯაში არ ვიცი და ბერძენა ოცდაათში ჩამოვა და შევიკრიბოთ ძველებურად, რამდენი ხანია ახალ წელს ერთად არ ვყოფილვართო, ოღონდ კოკლიანიც უნდა დავპატიჟოთ, რალაც საქმე მაქ გასაჩარხიო.

კოკლიანის ნერვები არ მაქვს-მეთქი.

შენ არც ტოტალიზატორეში სირბილის ნერვები გქონდა, მაგრამ ხომ ვიშოვეთ რალაცაო, ოცდაათი ათასი რო გეშოვნა რამდენი ხანი უნდა გემუშავა ტრენერად თუ კაცი ხარ მითხარიო.

ტვინში გადავთვალე და სამი წელი და რალაც გამოვიდა.

ცუდი როდის მიქნია შენთვის, ამ ერთხელაც დამიჯერე, საჭირო ხალხი გავიცანი რუსეთში, ჩვენთან მშენებლობაში უნდათ ფულის ჩადებაო.

რუსებისგან შენ რამე კარგი გახსოვს ამ ქვეყანაში გაკეთებული-მეთქი?

აი ეხლა ნუ შემცემ ამ ტრუხა პატრიოტიზმითო, ის მითხარი აქ მოსაწევის ამბავი როგორ არის, ისევ ლე იჭერენო?

კი, და ვაფშე რა მოსაწევი შეჩემისა, ორ კვირაში ვარჯიშები გეწყება-მეთქი,

ნურც ეგეთებით შემცემ, სამეგრელოდან ჩამოვიტან ცოტას, ვინ რას გაიგებსო, არა ბიჭო არყით გაჭყეპვა ჯობიაო

არაყი რა შუაშია, დაისვენე, ცოტა ჯანზე მოდი, მთელი სეზონია წინ-მეთქი

ძმობას გაფიცებო რა, თამაშზე სუ რომ მთვრალი მივიდე მაგათზე კარგად მაინც შევუბერავო

ეგეთი მენტალობის ბრალია ტრაკში რომაა ჩვენი ფეხბურთი-მეთქი

შენ ბებიაშენისამ ანგელოზი იყავი და იმიტომ წყვეტ ეხლა ციდან ვარსკვლავებს ხომო?

სამაგიეროდ, არ ვეწეოდი და არ ვსვამდი -მეთქი

ძღნერს ხო კარგად ჭამდიო

ძღნერს კი-მეთქი,

ხოდა თავი დაანებე მორალის კითხვას და ეგეთებსო.

რა უნდა მექნა?

მარაკანაზეც საახალწლო შესვენებაა, მთელი დღეები სახლში ვზივარ და ოცდაათის მოსვლას ველოდები. ბიჭები მომენატრნენ, მაგრამ ცალ-ცალკე, ყველანი ერთად არა, ერთად აუტანლები არიან, ამას დაუმატე ცოლები და კააროჩე, ცუდი აჯაფსანდალი გამოდის, უფრო სწორად მშვენიერი პონტია, მაგრამ მე ვარ ამოვარდნილი, ვერც ბოლომდე ფეხბურთელი დავრჩი და ვერც ვინმე სხვა გავხდი, რალაცეებში მესმის ჩემი ბიჭების და რალაცეებში მაგრად მერხევა. სამი დღით მივდივართ და ზუსტად ვიცი გაბმული სმა იქნება, მერე იქ ვილაც იცნობს ჯაშს ან ბერძენას და მთელ ქვეყანას მოსდებს, ნაკრების ბიჭები სვამენ ოცდაოთხი საათიო და მართალიც იქნება, პროსტა ეგ ამათ ტვინში არ შედის.

ჯაშმა რალაც მინივენივით იქირავა და იმით გამოგვიარა მე და ბერძენას, ორივეს ცოლები ყავდათ და ნორმალური ადგილები მაგათმა დაიკავეს. მე უკან, პატარა გასაშლელ სკამზე მომიწია მთელი გზა ჯდომა.

ჯაშმა, კოკლიანი ერთი საათის გასულია, ფასანაურში უნდა შევხვდეთ, ხინკლებს ჩააყრევინებს და რომ მივალთ ცხელი დაგვხვდებაო

მარიშამ, ჯაშის ცოლმა, ყოველ ჩამოსვლაზე ფასანაურის ხინკალი რა უბედურებააო

ქეთაშკამ, რას ერჩი, მაგრად მომენატრა ხინკალი, გული მერევა თურქულ საჭმელებზეო

ბებიაშენისამ, შენც სუ თურქულებს არ ჭამდე, ნახევარი ხელფასი რესტორნებში მეხარჯებაო, ბერძენამ

მერე რა ჯანდაბად გინდა ეგ ფული თუ არ დახარჯეო

მანქანა ხო კარგად გინდაო

აუ კიო

მარიშამ, აუ გოგო კოკლიანმა უყიდა ახალი მანქანა თავის ცოლსო

რა მანქანაო ქეთაშკამ

წითელი მინი, თეთრ დისკებზე და ორი წითელი ხაზითო

არ გადამრიოო, აუ ბერძენ შენც ხომ მიყიდიო

ისიც მოუყევი მარიშ მერე რა უქნა კოკლიანის ცოლმა მანქანასო, ჯაშს სიცილი აუტყდა,

ცენტრიდან სახლამდე გზაში დაამტვრია, კიდევ კაი მაგის ბრალი არ იყო ბოლომდე და დაზღვევამ დაუფარაო.

ჯაშმა, კარგი ბიჭია კოკლიანი, სახეს იხევს, ბევრს მუშაობსო

კოკლიანის კარგი ბიჭობა არ გაიშვა-მეთქი

შენ ნუ გჭამს ძველი ბოლმებიო

გამოქლიავებულია ეგ შენი კოკლიანი, გოგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბო თქვენთან დიდი ბოდიში-მეთქი

მარიშამ, გამოქლიავებულია აბა რა არის, მაგ გოგოს რომ ცოლად მოიყვან კაციო

კოკლიანის ცოლის მერე ჩემს უცოლობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მარიშამ რა კარგი გოგოები გეტოლებოდნენ და შენ კიდე რა ქენი, ხელიც არ გაანძრიეო, ქეთაშკამ მეც დაგასიე ჩემი მოდელები და ჰა? ჩემი ფეხებიო, ზუგდიდსკიმ მოიყვანა ბიჭო, ცოლი, ზუგდიდსკიმო და შენ რა გჭირსო, ბერძენამ შემომიტია. როგორ გინდა აუხსნა, რომ ამათი მოდელი ცოლების მოდელ დაქალებს მე, ბავშვების ტრენერი მაგრად ფეხზე ვკიდივარ და ბერძენას, ჯაშის და ჯანდაბას ზუგდიდსკისნაირი ტიპები ურჩევნიათ, ურჩევნიათ და ჭირდებათ კიდეც, სტაბილური ხელფასით და კარგი შეკრული წითელი მინი მანქანებით, წელიწადში ორჯერ მოგზაურობით და ა.შ. ისე კოკლიანია ერთადერთი ბიჭებში, ვინც მოდელი ცოლი არ მოიყვანა, ქბ კოკლიანი ნიტო იურისტია, ნიტო პროკურორი ან რალაც მაგასთან ახლოს.

თუ გამოგიჭირეს დაგერხევათო, ქბ კოკლიანმა, ციხეა გაყიდულ თამაშებზე, ამდენი და ამდენი წელიო. პროკურორი აღმოჩნდა, ხინკალი კი ნაჭამი გვქონდა უკვე.

ამას ვინ გამოიჭერსო ზუგდიდსკიმ ჩემზე უთხრა და მე თუ გამომიჭირეს კი ვიცი ვისაც უნდა დავადო ხელიო, ჯაში! რამე გექნება ჩამოტანილი გოლანდიიდან, ზუგდიდში მწარე გალიაკი იდგაო. ჯაშს გაეცინა, სასტუმროში მივიდეთ და განახებ ევროპა სადაა წასულიო

კაი შეჩემა, სასტუმრომდე რა მოითმენსო, ზუგდიდსკიმ. ჯაშმა ჯიბიდან ელექტროსიგარეტი ამოიღო

ეს რა ჯანდაბააო, ზუგდიდსკიმ

ელექტროსიგარეტში შეკეთებულ-შელამაზებული მოსაწევიო

ლადაობო

ჰა და გასინჯეო

ზუგიდსკიმ ნაპასის დარტყმა ცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, მელადავები შეჩამაო

დამჯდარია ეტყობა, გზაში დავტენი და სალამოს მოეცხოთ, თან ხო იცი რა პონტიცაა, სუნი ამას არ აქვს და სადაც მოწევა არ შეიძლება იქაც კი მოწევო

მალადავებო ზუგდიდსკიმ

მარიშასთავსვფიცავარო ჯაშმა

ბერძენამ, ძაანაც თავზე ნუ გადაიჯვამ საქართველოა ბოლო-ბოლოო.

კლიჩკიდანაც ხომ ჩანს ზუგდიდსკი როგორი კაცია? ბერძენა და ჯაში კიდე გამოსული ტიპები იყვნენ, უბნელები, ბალელები, სკოლელები, გუნდელები, მაგათი საყვარელი საქმე ბავშობიდან ზუგდიდსკის აგდება იყო, კოკლიანსაც საკაიფოდ უსრულებდნენ, მაგრამ კოკლიანი არაფერში ვარგოდა, იუმორში მითუმეტეს, აი ზუგდიდსკი კიდე რომ მიხვდებოდა მელადავებიანო, აქეთ უტრიალებდა პონტს. მე სამივესთან ბავშობიდან ვბრატობ, ერთადერთი კოკლიანი ვერ მივილე ვერაფრით, რალაცნაირია, გამოქლიავებული, ვამბობ და არ ჯერათ.

კოკლიანმა, ტრაკი არ აგტკივდა ბაგაჟნიკში ჯდომით, ჩაჯექი ჩვენთან საკაიფოდ ჩაეტეეიო. გზაში გაირკვა რომ თათეშკა და ზუგდიდსკი ნაჩხუბრები არიან, მგონი დაიკოს ამბავი გასკდა...

კოკლიანისთვის რომ გეკითხათ მეორე აღმაშენებელია, ხო არის გამოთქმა, კაცმა ხე უნდა დარგოს, სახლი ააშენოს და ბავშვი გააჩინოსო... ხოდა რაც მე სახლები ავაშენე, ხე რომ არ დავრგო და ბავშვი არ გავაკეთო უკვე მეპატიებაო.

ხო, ოღონდ სახლებს რომ აშენებდი და ხეებს ჩეხავდი ეგ როგორი ამბავია-მეთქი.

რას იზამ ძმაო, პროგრესი და ეკონომიკა თუ გინდა ორი სამი ხეც უნდა შეწიროო. ზუგდიდსკი, შენ რა საქმე გქონდა აღარ იტყვიო?

აშენება მინდა მეც რაღაცის, რუსები მყავს დათრეული, რომ ჩავალთ მერე კარგად მოგიყვებიო.

## #4

მთაში წამომიყვანეს, მყინვარის სანახავად და ჩემი ოთახის ფანჯრები კიდე საპირისპირო მხარეს, ხევს უყურებს. ვინ დაჯავშნა ნომრები? კოკლიანმა! არა რა, მართლა გამოქლიავებულია. აქაურობა ხედის გამო თუ ვარგა და მე კიდე ხევს ვუყურებ, ხევს!

მაგიდაც თითონ აარჩია, მაინცდამაინც იმ ადგილას, სადაც უზარმაზარი ტელევიზორი ეფარება მყინვარს. პრემიერლიგიაა დღესო, იდიოტია აბა რა არის?

გოგოებმა აუ ბასეინი აქვთ და ჩავიდეთო რაო

ორი ლუკმა მაჭამეთო ზუგდიდსკიმ, ბასეინი და ვარჯიში იქაც მეყოფა, ჰე, ჰე ჰეო

ჭამა კარგი და რა დავლიოთო? ბერძენამ. სასმელებს გადავხედე და ხომ არ ლადაობენ ესენი, ფასები ნახეთ მეთქი

ზუგდიდსკიმ ნუ ხარ შენ ბიჭო კრიჟანი, რამდენი ფული მოგაგებინე დახარჯე ნუ გენანებაო

შეჩემისა შენ სკამზე ჯდომაში გიხდიან თვეში იმდენს რამდენსაც მე წელიწადში ვშოულობ და რა გენაღვლება-მეთქი

არ გებლატავა ბავშვობაში ეხლა უფრო მეტი გექნებოდაო, კოკლიანმა

შე უნამუსო, შენ ბრატებს გავყევი თუ გახსოვს მეთქი

რა გინდა მერე ხომ შეგარიგა ბიძაჩემმაო - რა გინდა რომ უპასუხო? ზუგდიდსკიმ რა ქენი ჯაში ვერ დატენე ის რაღაცაო

ჯაშმა ზემოთ დამრჩა და ჩამოვიტან მერეო, მარიშამ მე ვარ ასასვლელი კუპალნიკი უნდა ჩავიცვაო

ჯაშმა, ტრაკს ნუ ათამაშებ ეხლა, ვიღაც იდიოტები იქნებიან აუზზე და არ მინდაო...

შენ არ გინდა მე მინდაო

ნუ შემცემო ჯაშმა, მარიშას გაუტყდა, ჯაში მიხვდა რომ ზედმეტი მოუვიდა და ხვალ პახმელიაზე ჩავხტეთ ყველა ერთადო, მარიშამ არაფერი უპასუხა, მაგრამ სახეზე ეწერა რასაც ფიქრობდა

მიმტანმა, რას მიირთმევთო

სნექი და ვისკიო ბერძენამ

ქართულად ილაპარაკე გირჩევნიაო, ზუგდიდსკიმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრენერი ხომ ესპანელი გყავს როგორ გაგებინებს რა უნდაო

ჯაშმა, რა ემჩნევა რომ რამე ესმისო, ძროხასავით დგას სტადიონზე და ბალახს ცოხნისო

აღარაა ეგ შუტკა სასაცილოო, ზუგდიდსკიმ

კოკლიანს ისევ ეცინებაო, ჯაშმა

სანამ საჭმელი და სასმელი მოვა სუფთა ჰაერზე გავალ-მეთქი, თათეშკამ გამოგყვებიო, სიგარეტი ხომ გაქვსო

კი-მეთქი.

ილიას აქვს მყინვარი და თერგი შედარებული, რომელიღაც მოთხრობაში, მახსოვს სკოლაში აუცილებელი საზეპირო იყო და მერე თავისუფალ თემებსაც გვაწერინებდნენ, ოღონდ რაღაც სათაურის ქვეშ და ეგ შენი თავისუფალი თემა აღარ გამოდიოდა ისეთი თავისუფალი, როგორც მასწავლებლებს წარმოედგინათ და ეგრე საზეპიროებით რომ გვასწავლეს ყველაფერი, იმიტომ არ გვასწავლეს არაფერი და იმიტომ არ მახსოვს რა მოთხრობაა და იმიტომ არ მახსოვს საერთოდ რაზე იყო ბაზარი, მაგრამ მართლა ძალიან ლამაზია ეს ოხერი. აქაურები რაღაცნაირად, მორიდებით მოიხსენიებენ მყინვარს და ქალბატონს ეძახიან. ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში, ეგეთი თემაც მაქვს დაწერილი, უფრო სწორად გადაწერილი. როგორც მყინვარი არ შეცვლილა ილიას მერე, ისე არ შეცვლილა სკოლაში არაფერი, ერთადერთი ის, რომ ჩვენ დროს მეოთხე სართულზე, მიტოვებულ დერეფანში იყო გარჩევები, ეხლა კიდე მანდატურები დადიან ყველგან და კიდე ის შეიცვალა, რომ ჩვენ დროს ფეხებში დარტყმა არ იყო მოსული, ქურდულში ან ქურდულად არ იხსნებოდა. „სპორტსმენს მაფუჭებ ძმაო? მოგეთხოვება". ნიჟე პოისას პონტი იყო, ეხლა კიდე სადაც უნდათ იქ ურტყამენ, მთავარია მანდატურმა არ დაგინახოს. ეგაა ძმაო თავისუფლება, ბევრჯერ ვადარებ ჩვენ დროს და "სამისნახევრიანების" დროს ერთმანეთს და განსხვავება ისაა, რომ ჩვენ კი ბატონო, ხულიგნებიც ვიყავით, კაი ბიჭებიც და კიდე რავი რა აღარ, მაგრამ თან სპორტი გვიყვარდა, გვიყვარდა ბოლომდე, ეხლანდელი ბავშვები კიდე პირველ მანქანას რომ იყიდიან, ყველაფერს ფეხებზე იკიდებენ. ჩვენ რაღაც პროფესიონალიზმი მაინც გვქონდა, ამათ - არაფერი, ზუგდიდსკის გართულებული ფორმა არიან.

ვიცი არც შენ მეტყვი არაფერს, მაგრამ მაინც უნდა გკითხოო

მივხვდი საითაც მიდიოდა ბაზარი, მაგრამ არ ვიცოდი თავი როგორ

დამეძვრინა. რა ხდება-მეთქი?

დაიკოზე გავიგეო

ვიზე-მეთქი?

თავს ნუ ისულელებ, ისიც ვიცი ამის გამოგზავნილი პადარკების ფული შენ რომ მოგაწოდაო

ვახ ჩემი-მეთქი გავიფიქრე, როგორ უნდა გამოძვრე ამ სიტუაციიდან, ზუგდიდსკის არაფერი უთქვამს ჩემთვის და რა პასუხი გავცე? გავჩუმდი...

ჩემზე უკეთესიაო? თათეშკამ

ვაპროს ს პადვოხამ, უკეთესიაო ვერ იტყვი, უარესიაო თქვა და თვითშეფასება უფრო უკან წაუვა

შენ როგორ გგონია-მეთქი? მგონი იმ ინტონაციით და იმ დოზის იუმორით დავსვი შეკითხვა, როგორითაც უნდა დამესვა, იმიტომ რომ თათეშკას გაეღიმა

იდიოტია ამხელა კაციო

ბავშვობიდან-მეთქი

კიდე აპირებთ მაგ აფიორის გაგრძელებასო?

რავი, რატომაც არა, ვმოუღობთ, პროსტა მეშინია ამას არ დაერხეს-მეთქი

მეგრელია გამოძვრებაო

ცოტა ხნიანი პაუზის შემდეგ, როგორ გამოიჭარე-მეთქი?

მათემატიკაო, მითხრა. ვიცოდი რამდენიც დადო და რა კუშზეც და ნაკლები რომ მოიტანა, მერე ნელ-ნელა დავაფქვევინე ყველაფერი, მეგობრის ოქროები მქონდა დალომბარდებულიო, მერე მეგობარი გავარკვიე, მერე ის, მერე ეს და ეგრე...

ჭკვიანი ქალი ხარ-მეთქი

მოდელის კვალობაზეო - იმანაც ზუსტად იმ ინტონაციით მითხრა, როგორითაც უნდა ეთქვა და მეც ზუსტად გავიგე მისი ცინიზმი და თვითირონია

შევალ მეო,

შედი-მეთქი.

თათეშკა თვალებით გავაცილე და ბიჭებზე ფიქრს გაყყევი, სამივეს ცოლი ისე მაგრად გავს ერთმანეთს, რომ სადღაც ეჭვიც კი გაგიჩნდება, დები ხომ არ არიანო, ერთნაირი დოზით მაკიაჟი, ჩაცმულობის სტილი, ლაპარაკის მანერა, ინტერესები, სიმაღლე და წონაც კი, არადა სამივე სხვადასხვა ასაკში და სამივე სხვადასხვა სამოდელო სააგენტოდან არის. ეგ არის ქალთა სახეები ჩემს საძმაკაცოში, მარტივი საზეპირო, არც თუ ისე საინტერესო თემა, ყველაზე კომუნისტი მასწავლებელიც კი ვერ დაწერდა მათზე ერთ გვერდზე მეტს, არადა თემები მინიმუმ გვერდ-ნახევრიანი უნდა ყოფილიყო, ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი და ა.შ. რამდენი სისულელე, რამდენი სისულელე და რამდენი დაკარგული დრო, ტრენერის დონის მასწავლებლები და კრიმინალებზე უხეში ტრენერები - მამუბეში ხარ იობანა ვროტ? დაეჯვი სკამზე და შემდეგ თამაშზე კოკლიანს რომ დავაყენებ მერე მიხვდები პასი როგორ უნდა გააკეთო.

ხო ვითომ სტერეოტიპია, რომ სპორტსმენი კაცი და მოდელი ცოლი და მთელი ამბავია ატეხილი, ყველა ამათზე ლაღაობს, დამიჯერეთ, ბევრ სხვა "იდეალურ" წყვილზე იდეალური წყვილები არიან, ერთნაირი მულამებით და ერთნაირი აზროვნებით, ცხოვრობენ მარტივად და ლაღად და არ უნდათ რა ეს შენი სიღრმეები და რაღაცეები, ვის უნდა? მე მინდა, მაგრამ ჩემი ფეხები! ინტელექტი არ მყოფნის, ესენი კიდევ ჯიგრები არიან, მართლები არიან, როგორც ხედავენ ისე აღიქვამენ. არარსებულს არ ეძებენ და მაგ ძებნაში არც თავს იღლიან და არც სხვებს ღლიან. ცუდია? კარგია! მთავარია მართალი იყო შენ ზედაპირულობაში და შენ სიღრმეშიც მართალი იყო და მთავარია ძალიან ღრმად არ გქონდეს, ხ პ დანარჩენს ეშველება.

მომიკიდეთ თუ შეიძლებაო, სადღაც ხვეულ თმებში ჩაკარგული სევდიანი თვალები იყო, აჭრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სახით და ლაწვზე გულის ფორმის პატარა ხალით, ვერ გავიგე რა მკითხა და ბოდიში-მეთქი, სანთებელა გაქვსო? ხმა უკანკალებდა. ააა, აა კი-მეთქი. სიგარეტზე მოკიდება მურტალი მომენტია, არ იცი სანთებელა მიაწოდო თუ შენთითონ მოუკიდო. ჯენტლმენურ ამბავში მოკიდება ვცადე, მან კი ხელზე ხელი მომკიდა რომ ქარს ცეცხლი არ ჩაექრო, ძალიან ცივი და ცახცახა ხელები ქონდა, ძლიერი ნაპასი დაარტყა და მადლობო, ხომ მშვიდობაა-მეთქი? ყველაზე მეტად სევდიანია ტრუხა ღიმილი და ყველაზე სევდიან ტრუხა ღიმილებში, ყველაზე ტრუხაზე გამიღიმა, თავი დამიქნია და წავიდა, ოდნავ მოშორებით მოაჯირს მიეყრდნო და ნერვიულად გააგრძელა მოწევა, ამ დროს ზუგდიდსკი გამოვიდა ვერანდაზე და გამომძახა - მოდი შეჩემა მოიტანეს დასალევიო

ეს გოგო ფიქრებში ჩამყვება-მეთქი, გავიფიქრე.

## #5

რაა ბიჭო ეს, ნამცხვირს გემო აქვს ამასო

ეგეთია ეგ ელექტროსიგარეტებიო, ჯაშმა

რას ბიჭო, პლანს ნამცხვირს გემო როგორ უნდა ქონდესო, ნუ გადამრიეო

პლანი და ჩიზქეიქია ერთადო

მე მაგიჟებ თუ შენ გადეირიე? ამას როგორ ეწევი დიშვილსვფიცავარ, ამას როგორ ეწევი? ნამცხვარს როგორ ეწევი არ გადამრიო ეხლაო

ნაკლებად მავნეაო

რა ბიჭო ნამცხვარიი?

ჩიზქეიქია რაო

ჩიზქეიქი არა ისა, მეც სულელი ვარ რომ დაგიჯერეო

გოგოები მაინც ჩავიდნენ აუზზე, ჩვენ კიდე ვისხედით ცოტას ვსვამდით და ისტერიულად ვიცინოდით. ზუგდიდსკი მიხვდა, რომ ჯაში მთელი გზა ეჩალიჩებდა, მიხვდა და სიტუაციის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება ცადა

ახლა თქვენ ვითომ მე მაშაყირებთ და შენთითონ რაღაცა სალამურზე რომ უკრავ ეგ არაფერიო ხო?

სალამური ვახ ჩემიო, ბერძენა ველარ სუნთქავდა

რობოტის ჭუჭუსავით რაღაცას კოცნი ბიჭოო, დღეში რამდენჯეროო და იქიდან კიდე ჩიზქეიქის პარს უშვებსო, ბიჭოო და მე მაღადავა ამან გაიგეო, არა ბიჭო გოლანდიაში რომ მიდიოდი კი მეშინოდა მეტრაკე არ გამხდარიყავი მარა, ესაო, ამასო, ამას მეტრაკეობა არ ჯობია, რობოტის ჭუჭუს ლოლვნას მეტრაკეობა არ ჯობია, კოკლიანი თუ კაცი ხარ მითხარიო

კოკლიანი სავარძლიდან კინაღამ გადაყირავდა

მიმტანმა უკაცრავად, ძალიან დიდი ბოდიში, ცოტა ჩუმათ თუ შეიძლებაო

დაიკო, მომისმინეო, ზუგდიდსკიმ, არც მე მინდოდა ასე ხმამაღლა, მარა ამ კაცს ხომ უყურებ, ნაკრების ფელბურთელია რომ კითხო და ნახე რას შეებაო, ჯაში აჩვენე როგორ უკრავ მაგ სალამურზეო

ჯაშმა დიდი ნაპასი დაარტყა

რა ქვია ბიჭო მაგ ნამცხვარსო

ჩიზქეიქი

ჩიზქეიქი გაქვთ მენიუშიო?

კიო, მიმტანმა

ათი ცალი მოუტანეთ ჯაშს დაანებოს მაგ რობოტს თავი თორე გალურჯდა უკვე, აღარ შეგიძლია ხომ ხედავო

მართლა მოვიტანო ათი ჩიზქეიქიო

რავი, ჯაში ათს გაუქაჩავო?

მაზიანს გააჩნიაო

მაზიანი ეგეთი იყო - ჯაში წაგების შემთხვევაში ელექტროსიგარეტს გადააგდებდა, თუ ათივეს შეჭამდა და ზუგდიდსკის ოდესმე ეღირსებოდა გოლის გატანა და მერე აღნიშვნა, საკლუბო ფორმის შიგნით მაისური უნდა ჩაეცვა წარწერით "სალამურა". ჯაშს მეცხრე ჩიზქეიქმა აბრატკა კინაღამ მისცა, ზუგდიდსკიმ მოიგო

კაი ჩათლახი ხარ ისე შენო, კოკლიანმა

რა გინდა არაფერი მისიაფანდიაო ზუგდიდსკიმ

გოლი როდის გაიტანე ბოლოსო

კრაის მცველი ვარ შეჩემისა რაის გამტანი ვარ, ბოლოს სამი წლის წინ შევაგდე, კვიპროსზე რომ ვთამაშობდიო

ბერძენა პირდაპირი მნიშვნელობით ველარ სუნთქავდა

სადაა ის გოგო რატომ აღარ გვეკარებაო, ზუგდიდსკიმ მიმტანი მოიკითხა

წავალ მე მოვიტან ცოტა ფეხს გავშლი-მეთქი

რომელი საათია ბიჭო ტელევიზორი ჩავრთოთ იგრა არ გამოგვრჩესო, ზუგდიდსკიმ

ბარმენმა ჰა რა მოხდაო, მთელი სასტუმრო ჩართული იყო მაზიანში

წააგო ჯაშმა-მეთქი

მეც ეგრე მეგონაო

გადაერიეთ ხომ ის გოგო, აღარ გვეკარება-მეთქი, იგივეს დავლევთ თუ შეიძლება-მეთქი

ისევ მთელი ბოთლიო

კი და ერთ ჭიქას აქ დავლევ-მეთქი

არსებობს ეგეთი ადგილები, სადაც რომ ზიხარ, არ ჩანხარ და შენ კი ყველაფერს ხედავ, ხოდა ზუსტად ეგეთი ადგილი ვიპოვე ბართან. ჩამოვჯექი, ერთი ჭიქის წყნარად დალევა მინდოდა. ბევრს არ ვსვამ ხოლმე, მაგრამ დღეს რაღაცნაირად გაიტანა. მართალია, ვისკის ისე ვსვამდით როგორც არაყს, მაგრამ მაინც, ეხლა ცოტა პროცესის გაწელვა და ფიქრების გადაყრა მინდოდა. ნელ-ნელა ვნრუპავდი როდესაც -

ძალიან ხმაურობენ შენი მეგობრებიო, ვერანდის გოგო იყო, თმაზე უფრო აბურდული ფიქრებით

ვინმეს ემალები-მეთქი? რომ გამოგიჭერენ იმ თვალებით შემომხედა. ეს ადგილი ეგეთი ადგილია, ხედავ და არ ჩანხარ-მეთქი

ხოო, გაეღიმა, ამჯერად ყალბად არა, მართლა გულით. შეჭამა ათივეო?

ვერა-მეთქი

ეგრეც ვიცოდიო, ათი ჩიზქეიქის ჭამა მარტო დეპრესიაში მყოფ გოგოებს შეუძლიათო. ამაზე მე გამეღიმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა კამანდა ხართ საერთოდო

სპორტსმენები-მეთქი, ეგ ვინც მაზიანი წააგო ნაკრების ფეხბურთელია-მეთქი

საწყენია არა, ნაკრების ფეხბურთელი რომ ხარ და კაციშვილი ვერ გცნობსო?

რას გულისხმობ-მეთქი?

ახლა აქ რომ მორაგბეები მჯდარიყვნენ, მთელ სასტუმროს მინიმუმ ერთი სელფი მაინც ექნებოდა გადაღებულიო

ხოო, საწყენია-მეთქი

მაგრამ, თქვენი ბრალია, თქვენ თითონვე გაიფუჭეთ სახელიო

მე თავი დამანებე, აღარ ვარ ფეხბურთელი, ბავშვების ტრენერი ვარ-მეთქი

ტრენერი ქართულად როგორ არისო

მწვრთნელი-მეთქი

მერე ეგრე თქვიო

ცოტა უხეშად მოგივიდა-მეთქი

ბოდიში ნერვებზე ვარო

გემჩნევა, ერთსაც დალევ-მეთქი?

რას სვამო

ვისკის-მეთქი

გაზავებულსო? - ისე შემომხედა, რომ შემრცხვა, ხო რა, რა მოხდა მერე-მეთქი

მე გაუზავებელს დავლევ. მოწევა არ გინდაო?

ჭიქები ავიღეთ და ვერანდაზე გავედით. ციოდა. მყინვარი რაღაცნაირად, თითქოს უსინათლოდ, მაგრამ მაინც ანათებდა, კარგად არ ჩანდა, მაგრამ თითონ გვხედავდა, არ ჩანდა ისე, როგორც ჩვენ არ ვჩანდით, იქ, შიგნით, ათას მაგიდას და ათას ქართველ თუ უცხოელ ტურისტს, ზუგდიდსკის, ელექტროსიგარეტის გლიცერინიან ორთქლს, პრემიერლიგის თამაშს, ჩვენგან შეშინებულ მიმტანს და სამზარეულოში შეკეტილ მზარეულებს შორის.

ის უკვე დაწნულ სავარძელში იყო მოკალათებული, პლედით, ვისკის ჭიქით, ხელში მოუკიდებელი სიგარეტით, მყინვარზე დარჩენილი მზერით და ფიქრებით. ჩემზე პატარა უნდა ყოფილიყო წესით, ხუთი-ექვსი წლით, შეიძლება მეტითაც, ოცს ზემოთ ნამდვილად იქნებოდა. სანთებელა მივაწოდე და მის გვერდით დაწნულ სავარძელში ჩამოვჯექი

პლედი მოიხურე შეგცივდებაო. მოვიხურე, სანთებელა გადმომიგდო და მეც მოვუკიდე

სკოლაში თერგის და მყინვარის შედარებაზე თემა დაწერილი გაქვს-მეთქი. გაეცინა და

კი ეგეც და ხევისბერი გოჩას დახასიათებაცო

ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში-მეთქი

ჰაჰა, კი ეგეც, რამ გაგახსენაო

მყინვარმა-მეთქი

ავსულვართ

სად-მეთქი

მყინვარზე, ბოლომდეო

რა ქვია მაგას, ალპინისტი ხარ მეთქი

არა ისე უბრალოდო - ნი ხუია სიბე ისე უბრალოდ მყინვარზე ასვლა-მეთქი გავიფიქრე

შენ ხომ სპორტსმენი ხარ არ გაგიჭირდება ასვლაო

ჩემი მონგრეული ფეხით მყინვარზე კი არა, მეორე სართულზეა ჩემი ნომერი და იქამდეც კი ლიფტით ავდივარ მეთქი

ფეხზე რა გჭირსო

გრძელი ისტორიაა, შენ რა გჭირს ეგ მითხრა ჯობს-მეთქი

ეგ უფრო გრძელი ისტორიაა დამიჯერეო

კარგი, მაზიანზე ვთამაშობდი კოკლიანის ბრატებთან ერთად და ფეხში მესროლეს მეთქი

კოკლიანი ვინ არისო

გამოქლიავებულია და რომ ვამბობ არ ჯერათ ხოლმე, მაგრამ კოკლიანზე საინტერესო ვერაფერი ნახე ჩემ მონაყოლში-მეთქი

ვერ მივხვდი რატომ გესროლესო

უბანი-უბანზე იყო თამაში და ფეხბურთელების დამატება არ შეიძლებოდა-მეთქი

რამდენი წლის ხარო

ოცდათოთხმეტის-მეთქი

მაგის გამო მოგიწია თავის დანებებაო

ეგრე გამოვიდა-მეთქი

სამაგიეროდ მოდელი ცოლი არ გყავს ეგეც საქმეაო

ვახ, რას გადაეკიდეთ ამ მოდელ ცოლებს რა გინდათ, რას ერჩით-მეთქი

მოიცაო რა ეგეთი ბანძი მერჯერის არ მჯერაო. ან თავი უნდა დამეწვა, რომ ეგ სიტყვა არ ვიცოდი რას ნიშნავდა, ან უნდა გავჩუმებულიყავი, გაჩუმება ვარჩიე

შენ, შენ რამ დაგალონა ახალგაზრდა გოგო-მეთქი

ბიჭს დავშორდი დილითო

ამ ახალ წლებზე-მეთქი

ეგრე გამოვიდაო - რატომ გიღიმიან ისე რომ, მერე სხვა არაფერი არ გინდა და სხვა არაფერი გახსოვს ამათი ღიმილის გარდა, რა ჯადო აქვთ ეგეთი რომ გაგიღიმებენ და მანდ მთავრდება ყველაფერი. მერე ამას ალკოჰოლი დაუმატე და კაარორჩე, ცხოვრების ბოლომდე იჯდები დაწნულ სავარძელში, პლედშემოხვეული, მყინვარის ფონზე.

ბიჭი სად არის მეთქი

თბილისში ალბათ, მაგრამ ბევრ შეკითხვებს სვამ უკვეო

სასმელიც თავდება-მეთქი. თავისი მომაწოდა, ჩემი დალიეო

შენ-მეთქი?

მე მეყოფა დღეისთვისო. მერე ცოტა ხნის მერე შენ რატომ არ გყავს ცოლიო - როგორ ხვდებიან? ბეჭდით? არა! რამდენ ცოლიან კაცს არ უკეთია ბეჭედი...

ეგრე გამოვიდა მეთქი - რათქმა უნდა ზუსტად ისე ვერ გავუღიმე, მაგრამ ვცადე ყოველშემთხვევაში

მაინც, მაინცო

რავი... ალბათ იმიტომ, რომ მე ის კაცი ვარ საწოლში ნაცვამ მაისურზე რომ შეუძლიათ კაპიშონკის შემოგდება და მთელი დღე ეგრე სიარული-მეთქი. ეგეთები კიდე დიდად არავის არ მოწონს-მეთქი

ეხლაც ეგრე გაცვიაო?

დილით ეგრე მეცვა, აქ რომ ჩამოვედით გადავიცვლე-მეთქი - ამჯერად, ხმამაღლა გაეცინა. ცოტა ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, ის თავისას ფიქრობდა, რაღაცას უფრო ძნელს და უფრო რთულს, ვიდრე მე, იმიტომ რომ მე არაფერს ვფიქრობდი, უბრალოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუყურებდი... ხოდა სანამ მე ვუყურებდი და ის ფიქრობდა, ვერანდის კარი გამოიღო და ქალთა სახეები გამოლაგდნენ, იქითკენ გავიხედე, შემამჩნიეს

მიდი მიხედე გოგოებსო, იმან, სახელი რომ არ ვიცი

ახალ წელს აქ ხვდები-მეთქი

ეგრე გამოდისო

მაგიდასთან რომ მივედით, ქეთაშკამ ესაო, ეს უნდა ნახო იქ ვიღაც გოგო დაუთრევიაო, არავინ მიაქცია ყურადღება, იმიტომ რომ ფეხბურთში იყვნენ ბოლომდე ჩართულები, ერთადერთი კოკლიანმა გამომხედა, სად მოასწარიო, მერე მანჩესტერის ერთ-ერთმა ფეხბურთელმა, კერძოდ ფელაინიმ რაღაც სისულელე გააკეთა, რაზეც ჯაში გაცეცხლდა და წამოხტა, ხელში ვისკის ჭიქა ეჭირა, რატომღაც ბოლომდე გავსებული

ესაო, ეს ყლეო, მე თუ ამაზე კაი აპორნი არ ვიყო ჩემიდედაშევეციო, თქვა და ვისკი სულმოუთმელად ჩაცალა. მთვრალი იყო? კი! მაგრამ არ იტყუებოდა, ჯაშზე ამბობდნენ რომ ესო, ეს არ ვიცით რა გაიზრდებაო, მსოფლიო დონეო, ესაო, ისაო, მაგრამ აი ვისკის ეგრე ჩაცლა რომ უყვარდა მთელი ცხოვრება და იმიტომ, რომ მენტალობა ქონდა იდიოტური და ქონდა იმიტომ, რომ აქ დაიბადა, აქ დათან იმ წლებში, იმიტომ რომ იმიტომ, რომ იმიტომ... ეხლა ჯაში ჰოლანდიაში საშუალოზე ცუდ კლუბში, ფელაინიზე ათჯერ დაბალ ხელფასზე თამაშობს.

## #6

ზუსტად ვიცოდი რომ თავს ვერ აწევდნენ, აუზზე ჩასვლას ვინ ჩივის, საუზმეც გამაზეს. ვიჯექი და მარტო ვჭამდი, თვალებით, სახელი რომ არ ვიცი იმ გოგოს ვეძებდი, მაგრამ დილით გაღვიძებასთან ეტყობა მასაც პრობლემები ქონდა. რა მექნა? მარტო გავპლაყუნდი აუზზე, სასტუმროს ქართველ კლიენტებს აშკარად ძინავთ, თორემ არც ერთი ქართველი არ გამაზავდა უფასო აუზზე, ზამთარში, კუპალნიკით დაჩექინების პონტს, უცხოელებს კი მაგრად ეზარებათ აუზში ჭყუმპალაობა როცა ირგვლივ ამდენი რამე აქვთ სანახავი, გერგეთით დაწყებული სნოთი დამთავრებული. ქალბატონი კი დილიდან მკაცრად იყურება, ნისლია.

რამდენჯერმე გავცურ-გამოვცურე აქეთ-იქით, ერთიორჯერ პახმელიისგან საკაიფოდ შემაძაგძაგა, მაგრამ გადავაგორე და გავაგრძელე, აუზიდან ამოსვლას რომ ვაპირებდი ზუსტად მაშინ შემოიღო კარი და ის შემოვიდა. შემოვიდა და

ჰეიო

დილამშვიდობის-მეთქი

დილამშვიდობისო

კარგ ხასიათზე ჩანხარ-მეთქი

ვგიჟდები ცურვაზეო - ზედა გაიხადა... და ხო, კარგად შევათვალიერე და არაფერი არ არის იმაში ცუდი რომ შევათვალიერე, თვალი რა მურტალი ტიპია, გარბის თავისით, მე არაფერ შუაში ვარ და არც იმასთან ვარ რამე კავშირში, რომ მაინცდამაინც მისი ტატუსკენ გაიქცა და არც ისაა ჩემი ბრალი, რომ უცნაური ფორმის მცენარე ქონდა დახატული რომლის ყვავილებიც საცურაო კოსტუმს ზემოთ, ჭიპთან მთავრდებოდა ხოლო საწყისი... საწყისი დამალული იყო.

ას მეტრზე თავისუფალი სტილითო

დავაი მეთქი.

მოვუგე.

ადრე ბევრად მაგრად ვცურავდიო

ვიცი, რომ ქალებს ასაკს არ ეკითხებიან, მაგრამ რამდენი წლის ხარ მეთქი

სახელით რომ დაგეწყო აჯობებდაო

არის რაღაც მიმზიდველი იმაში, რომ სახელი არ ვიცი-მეთქი

შენი ნებააო, ოცდასამი წლის ვარ ისეო

შეზლონგებზე ერთმანეთის პირისპირ ჩამოვჯექით

არც ისეთი დანგრეული ფეხები გაქვს როგორიც სხვა ფეხბურთელებსო. გამეღიმა, მერე ჭრილობაზე შემომხედა, საკაიფოდ დიდი შრამი მაქვს დარჩენილი

საერთოდ ვერ მოასწარი ნორმალურად თამაშიო

ვერა-მეთქი

ძაან გაგიტყდაო

დღემდე არ ვპატიობ კოკლიანს-მეთქი

კოკლიანი ვინ არისო, აა, აა გამახსენდაო, გამოქლიავებული როა ეგ ხომო

ეგაა-მეთქი. შენ რას აკეთებ ცხოვრებაში-მეთქი

წელს დავამთავრე ფინანსები, მაგრამ ისე შორს ვარ მაგ სფეროდან, რომ აზრზე არ ვარო რა უნდა ვაკეთოო

მეც ფინანსებს ვსწავლობდი-მეთქი

მერეო?

მეც კაი შორს ვიყავი და მეორე კურსიდან შევეშვი-მეთქი

და იმის მერე მწვრთნელი ხარო

არა, ცოტა ხანი სახლში ვიჯექი არაფერს ვაკეთებდი, ტრენ... მწვრთნელობა ხუთი წელია რაც დავიწყე-მეთქი

მოგწონსო?

ხან კი ხან არა... ბავშვები ასწორებს, მაგრამ რომ გაიზრდებიან მერე აღარ-მეთქი

სად ასწავლიო

მარაკანაზე-მეთქი

ეგ რა არისო

იდეაში სტადიონია ბრაზილიაში, მაგრამ ჩვენსასაც ეგრე ქვია-მეთქი

ლამაზი სახელიაო

ხო-მეთქი

მერე ცოტა ხანი ჩუმათ ვიყავით, იმიტომ რომ ზედაპირული პონტი ამოვწურეთ და თემა უნდა შეგვეცვალა, უნდა დაგვესერიოზულებინა, სერიოზულ თემებს კიდევ სერიოზულად ლაპარაკი უნდა, სერიოზულად ლაპარაკის კი ყოველთვის მეშინოდა, ყოველთვის მატორმუზებდა და ყოლველთვის ეგრე ზედაპირზე გამოკიდებული ვრჩებოდი.

რა მოხდა შენს ბიჭთან-მეთქი

არ გინდა მაგაზეო - მკაცრად და ორი სიტყვით - ახალი წელია დღესო, პირველი ახალი წელია, რომელსაც მარტო ვხვდებიო, შეყვარებულის ამბავში კი არა ზოგადად, მეგობრების გარეშე, მაგრამ ნაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დად არ მაქვს ქალაქში ჩასვლის და მილიონ კითხვაზე პასუხის გაცემის თავიო, ტელეფონიც გამორთული მიგდიაო.

შემოგვიერთდი, საღამოს კონცერტისავით რაღაც იქნება, ბენდი ყავთ ჩამოყვანილი, ერთად გავერთობით-მეთქი

ძალიან ბევრნი ხართ და შენი მეგობრებიც ძალიან ბევრ კითხვებს დამისვამენო

კი, ეგ არ შემეშლებათ-მეთქი

მოდი შენ შემომიერთდი თუ კაიაო - შენი დედა ვატირე, როგორ გამიღიმა.

კოკლიანმა, საღამოსთვის ადგილები დავჯავშნე და მანამდე შეგვიძლია გავისეირნოთ, სხვაგან, ვჭამოთ აქ ერთი კაი ადგილი ვიციო.

აუ ისევ ხინკალი უნდა ვჭამოთო, რომელიღაცამ

პახმელიაზე მისწრება იქნებაო, ზუგდიდსკიმ

ხინკალს რომ მოვრჩით, ზუგდიდსკიმ, ეხლა მე მომისმინეთო - კოკლიანი, შენ ხო მშენებლობაში ხარო

კიო კოკლიანმა

აბა იდეა შემიფასეო

გისმენო

ზუგდიდში უნდა თავის სახელობის სტადიონის გახსნა უეჭველიო, ბერძენამ

ზუგდიდს იკადრებს ამხელა კაციო, ჯაშმა? ზედ ბარნოვზე დაგვაშენებს თავზე, აგერ შენ და აგერ მეო

და ასაკობრივი ჯგუფები ეყოლება, ნორჩი ზუგდიდელი და რამეო

ე, ბიჭო მისდღემჩი ღადაობა არ გამიგია მეო, ზუგდიდსკიმ, სერიოზულად ელაპარაკობ, მომისმინეთ იქნებ თქვენც დაგაინტერესოთო

აცადე ბიჭო ორი წუთ რა დაგემართათო, კოკლიანმა

მოკლედო, ზუგდიდსკიმ, სპორტსკოლის აშენება მინდაო

რისი სპორტსკოლისო კოკლიანმა

ჭოკით ხტომის, რისი სკოლის აშენება მენდომება, შეჩემისა ნუ გადამრიეო

უცებ დავიბენიო, კოკლიანმა

ბიჭოო, ჯაშმა, არ არის ეგ ცუდი იდეაო

ცუდი კი არა ერთადერთი კაი იდეაა რაც ოდესმე მომსვლიაო, ზუგდიდსკიმ

მარა, მაგას მაყუთი უნდაო, ბერძენამ

იქაური ქართველები მაფინანსებენ, მეც მაქვს ცოტა და თუ ინტერესში ხართ, თქვენც შემოდით წილშიო, ოღონდ ისეთი სიაფანდი სკოლა არ უნდა იყოს, შენ როგორშიც ასწავლიო, ევროპული, ნაღდი, კარგი, მოწესრიგებული, დუში რომ მუშაობდეს და სტადიონზე შპრიცები რომ არ ეყაროს ისეთიო

აქ ფედერაციაში ებაზრე ვინმესო? კოკლიანმა

მოაშორე იქით თუ კაცი ხარ, მაგათი გაკეთებული საქმე არ გაიშვაო, მარა იქაურ ამხანაგს ვთხოვე ნახაზების გაკეთებაო. ზუგდიდსკიმ ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და კომპიუტერული ნახაზები გვაჩვენა. საწყის ეტაპზე სამი პატარა და ერთი დიდი სტადიონი აშენდებაო, აგერ ა, ეს სამსართულიანი შენობა რომ დგას, ეგ იქნება კლუბიო, პირველი სამი წელი მარტო ბოვშვებს ვავარჯიშებთ და მერე უკვე ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას ავიღებთო, ჩვენივე გაზრდილ ბავშვებს ვათამაშებთ, სხვას კაციშვილს არ დავიმატებთო. ხოდა ა, დიდ სტადიონთან რომ ადგილია დატოვილი, იქ დაიდგმება ტრიბუნები, ამათ რომ ეყასხებათ ოციათასიანი სტადიონი, ეგრე არ გამოვა ბიძიკო, აქ თავიდან ორი, სამი ათასი კაცისთვის იქნება სკამი, მერე თუ რაღაც წარმატება იქნა და ევროპაში გავძვერით ან რაღაცა, მერე მოვიფიქროთ ადგილების დამატებაო.

შენ არ ხუმრობ ხომ იციო, კოკლიანმა

სად მაქვს საქმე სახუმარო, ოცდათოთხმეტის ვარ, ხვალ ზეგ კარიერა უნდა დავამთავროო, შენ ჯაში რამდენ ხანს გაქაჩავ კიდევო, რამდენით ხარ ჩემზე პატარაო

სამი წლითო, წელს თუ დაიწყებ მაგის მშენებლობას, კარიერას შენ კლუბში დავამთავრებო

დავიწყებ რა, ერთად დავიწყოთ, ცოტას მე დავდებ, ცოტას შენ, ცოტას ბერძენა, კოკლიანმა მიწა და ბრიგადა გვიშოვოს იაფად და ამას კიდეო, ჩემზე უთხრა, ბოვშვების ტრენერად ავიყვანთ, ფული ამას არ აქვს, ჩვენი სათრევია, მთელი ცხოვრებაო

კოკლიანმა, შენ წარმოიდგინე, ვიცი ერთი ადგილი, სადაც იაფი დაგვიჯდება, მაგის აშენებაო

ქალაქში უნდა იყოს, ცენტრში მთლად უკეთესი, მდიდარი მშობლების ამბავი ხო იცი, ცხრა მთას იქით არ წეიყვანენ ბოვშვს სავარჯიშოთო

ხო გეუბნებოდი ბარნოვზე უნდა აშენებაო ჯაშმა.

სუ არ ვიცი სადაა ეგ თქვენი ბარნოვიო, ზუგდიდსკიმ

ბერძენამ, ბიჭო აქაც შეიძლება სპონსორების დათრევა, მთავარია საქმეს სერიოზულად მოვკიდოთ ხელიო

მოაგვაროს კოკლიანმა მიწის პრობლემა, ნახაზები-შმახაზები და იქაურ ქართველებთან მე მოვაყომარებ, საწყის ეტაპზე რაც იქნება გადმოსარიცხი, კისერს დავდებ, უპრობლემოდ გადმოვარიცხინებო

ცოტა ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, ზუგდიდსკის ნახაზები საიდანღაც მეცნობოდა, რაღაცას ვამსგავსებდი, მერე უცებ გამახსენდა რასაც და ზუგდიდსკის ვკითხე:

ეს იდეა საიდან მოგივიდა-მეთქი

გაეღიმა, ბიჭოო, დამცინებ რომ გითხრაო

უკვე ვხვდები საითაც მიდიხარ და აღიარო ჯობსმეთქი

ბიჭოო, ტელეფონში კლუბის მენეჯერი როა იგრა, იმას ვთამაშობდი და იქ თუ ავაშენე, რეალურ ცხოვრებაში რატომ ვერ უნდა ავაშენო-მეთქი გავიფიქრე

ბერძენას სიცილი აუტყდა, ჯაშმა, ძმობას გაფიცებ შენი თავი ნაყიდი გყავდა მენეჯერის თამაშის დროსო

ზუგდიდსკიმ, კი აბა, დაჟე შენ და ბერძენაც გიყიდეთ, მაგრამ ზამენაზე მეჯექითო.

მე ვთამაშობდი ფლეისთეიშენზე მენეჯერს და ბერძენა გავხადე ბომბარდირიო, რაც შენ ვარჯიშებზე სქილ ფოინთები დავხარჯე, კარში დარტყმა რომ მესწავლებინა დამაწყდა ნერვები-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა, კაციო ბერძენამ, სკამიდან ამაყენა, ბომბარდირი გამხადა, შენ რა დაგიშავე ზუგდიდსკი ტელეფონის თამაშშიც რომ ზამენაზე დამსვიო.

## #7

ისეთი ბენდი უკრავდა, თავისი რომ არაფერი დაუწერია და სხვისას რომ ძალიან ცუდად ასრულებს, მაგრამ სხვისი იმდენად ცნობილია, რომ ცუდი ინგლისურის პირობებშიც კი სიმღერის ტექსტი იცი და სიმღერის ტექსტი თუ იცი და თუ ახალი წელი დგება და თუ ნასვამიც ხარ, უკვე მნიშვნელობა არ აქვს ბენდი უკრავს თუ სადღაც ვიღაცის აიფონში სიმღერა ჩართული, მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, რომ ის, ვისაც ელოდებოდი, არ ჩანს, გეკითხა სახელი, გვარი და რესეფშენში იკითხავდი, მოკიდებდი ერთ ბოთლ ვისკის ხელს და მიაკითხავდი, ბამბანერკასაც იშოვიდი, ახალგაზრდობის გახსენების ამბავში...

ბენდმა მოღვაწეობა დაამთავრა და ადგილი დიჯეის დაუთმო. კლუბურ მუსიკაში ჩემი გემოვნება ნოლს ქვემოთაა, მაგრამ ეს დიჯეი რომ ცუდი დიჯეია, ჰაბიტუსზეც ეტყობა, რაღაცნაირი ჯანმრთელი ფერი აქვს, ცოტა ტუნტულაცაა და მთელი მისი დიჯეობა იმაში გამოიხატება, რომ ოთხმოცდაათიანების დაბადებისდღეების ვეშებს უკრავს და იმ მომენტში უწევს ხმას, როდესაც დარწმუნებულია, რომ მთელმა სასტუმრომ, ყაზბეგმა, რეგიონმა და საზღვარს იქით მთელმა რუსეთმა იცის მისამღერი. მთავარია ვერთობით, იგივენაირად გავერთობოდით ნებისმიერ ადგილას, უფრო იაფად, გვაგოიმებენ და ვგოიმდებით, მაგრამ ეგ არაფერი, ახალი წელია, უფრო სწორად, ორ საათში იქნება.

პირველად ვხედავ რომ ცეკვავო, თათეშკამ

მე კი არა შენი ქმარიც ცეკვავდა-მეთქი

ხო, ვიღაც ტურისტთან და ამოვა ეგ ნომერში, მაგას გონია ის ამბავი გადახარშული მაქვს და ოი როგორ ცდება ნეტა იცოდესო

ახალი წელია თავს ნუ იგრუზავ-მეთქი

შენი ტურფა სად არისო

პაპა, არ ვიცი, სახელიც არ ვიცი, რომელ ნომერშია ეგეც არ ვიცი, იდიოტი ვარ მეკითხა-მეთქი

იდიოტი ხარ აბა რა ხარ, თუ გინდა გაგირკვევ რომელ ნომერშიაო

როგორ-მეთქი, თვალი ჩამიკრა და მაგიდიდან ადგა. ცოტა დავიძაბე, პირველი გააზრებული, დაგეგმილი შეხვედრა გვექნება, მე კი ისიც კი არ ვიცი რა ქვია, ისიც კი არ ვიცი, უნდა თუ არა ჩემი ნახვა, მაგრამ თვითონ არ შემომთავაზა, ერთად გავატაროთ ახალი წელიო? მერე ისე გამიღიმა, რომ ეხლაც მაჟრიალებს, ხოდა მივაკითხავ! არ მოუნდება ჩემთან ერთად დროის გატარება და გამომაგდებს, დემოკრატიაა ბოლო-ბოლო, ნუ ბოლომდე არ არის, მაგრამ ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ არის? ვამბობთ! ხოდა მივაკითხავ! თუ ვერ მივაკითხავ? არ ვიცი მაქვს თუ არა მაგდენის ტრაკი, არასდროს გამირისკავს, მაგრამ ოდესღაც ხომ უნდა გარისკო, ხოდა რატომ არ არის დღეს ვითომ ეგ დღე? თან ახალი წელია, ისიც მარტოა და მეც, ის ვიღაცას დაშორდა, მე კიდე, მე სულ მარტო ვარ და სულ მარტო ვიყავი, მაგრამ მარტოობას აქვს თავისი პლიუსები, მინუსებიც აქვს, მაგრამ მინუსებზე არ მინდა, ახალი წელია.

მყინვარს გავხედე, ამისგან ხომ ვერაფერს გაიგებ, იმიტომ, რომ ესეც ქალია, ქალები კიდე რთულები არიან, მთებზე უფრო რთულებიც კი, მთაზე ის მაინც იცი, რომ მზიან ამინდში შეიძლება ღრუბლები უცებ შეიყაროს, ქალებზე კი ეგეც არ გაქვს გათვალისწინებული, ქალის ტვინში რა ამინდი დგას, ვერ გაიგებ, სითბოდან ყინვაში როგორ გადახვალ, ვერც კი შეამჩნევ. მთამსვლელობაში მარშრუტები არსებობს, ერთი და იგივე მწვერვალზე სხვადასხვა სირთულის მარშრუტით შეგიძლია ასვლა, პირველ ცდაზე მარტივი მარშრუტით ახვალ, მერე ნელ-ნელა გაუთამამდები და შემდეგს სხვანაირად ცდი, უფრო რთულ გზას აირჩევ. ჩემს მწვერვალზე კი ერთადერთი და ჯერ კიდევ გაუვლელი გზა მიდის.

სამასხუთმიო თათეშკამ. სულმოუთქმელად გამოვცალე სავსე ჭიქა და ჯერ ბარისკენ წავედი სასმლის საყიდლად, შემდეგ კი ლიფტისკენ, მწვერვალებზე ასვლაზე ვფიქრობ და მესამე სართულზე კიდე ლიფტით ავდივარ-მეთქი, გამეღიმა. ძალიან ვნერვიულობდი, სიმთვრალე სადღაც გაქრა და მთელ ჩემს შიშებთან მარტო დამტოვა, არაფერში რომ არ გაგიმართლებს კაცს.

ბოთლიდან მოვსვი და კარზე, ძალიან, ძალიან ხმადაბლა დავაკაკუნე, რამოდენიმე წამში კარი გაიღო, თეთრი ხალათი ეცვა და სველი თმა ქონდა, გამიღიმა, ოღონდ ისე შემზარავად აღარ, უბრალოდ, ადამიანურად.

ვიცოდი, რომ მომაგნებდიო

თათეშკა დამეხმარა-მეთქი

კოკლიანის ცოლიო?

არა, კოკლიანის ცოლი პროკურორია, ეს მოდელია-მეთქი

გასაგებიაო

შენი ფანჯრიდან მყინვარი ჩანს-მეთქი

კიო

მგონი ჩემი ოთახის გარდა ყველა ფანჯრიდან ჩანს-მეთქი

დიდხანს აპირებ ეგრე დგომასო? კარი უფრო ფართოდ გამოაღო და შევედი. ოთახში შამპუნის, სუნამოს და რაღაც ქალური ნივთების სასიამოვნო სუნი იდგა, საწოლზე კი ათამდე სხვადასხვანაირი ფორმის, ზომის და ფერის ფლაკონი ეგდო, წარმოგიდგენია, სამი-ოთხი დღისთვის რომ ათამდე ფლაკონს მოათრევენ, რეალურ ცხოვრებაში რამდენ ნივთს და მოწყობილობას ხმარობენ? მე არ წარმომიდგენია, შეამჩნია რომ საწოლზე მიყრილ ნივთებს ვათვალიერებდი.

რომ მცოდნოდა მოხვიდოდი დავალაგებდიო

არეულობა არა, უფრო რაოდენობა მიკვირს-მეთქი

გაეღიმა, ეს რა არისო? უბრალოდ, სამგზავრო კოსმეტიჩკაში მეტი არ ჩაეტიაო

ეხლა ვხვდები რა მარტივად ვცხოვრობ ერთი დეზოდორით-მეთქი

უცებ ჩავიცვამ და გამოვალო

მიდი-მეთქი. ჭიქები ვერ ვიპოვე და ვისკი ისევ პირდაპირ მოვიყუდე. იმედია აბაზანის შემდგომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცედურები დამთავრებული აქვს, თორემ ახალ წლამდე მომიწევს ლოდინი. რა მანუწუნებს? ოთახი შევათვალიერე, ორი საწოლი ერთმანეთთან იყო შეერთებული, რაღაცნაირად მეუხერხულა და მომერიდა, თავი სხვის ტერიტორიაზე ვიგრძენი, მგონი არასწორად ვიქცევი, ორი დღეა რაც შეყვარებულს დაშორდა, საწოლები კი ჯერ ისევ არ დაუშორებია ერთმანეთთან, მე კიდე აქტიურად ვჯახირობ, ნაბიჯებს ვდგამ და მე თითონაც არ ვიცი რა მიმართულებით, მაგრამ რაც არ უნდა ნასვამი ვიყო, ზუსტად ვიცი, მისგან რომ არ წამოსულიყო რაღაც ნიშნები, ნაბიჯის გადადგმას კი არა, მისკენ გახედვასაც ვერ გავბედავდი. კიდევ კარგი მალე გამოვიდა აბაზანიდან, თორემ ფიქრებს ძალიან ღრმად გავყვებოდი.

ჭიქები ვერ ვიპოვე და პირდაპირ მოვიყუდე, იმედია ზიზღიანი არ ხარ-მეთქი, თავი უარყოფის ნიშნად გაიქნია და ვისკი გავუწოდე.

სპირტი ბაქტერიებს კლავსო, მითხრა და მოიყუდა, მოწევა მინდა და აივანზე გასვლა მეშინია სველი თმითო. ჯიბიდან ჯაშის ელექტროსიგარეტი ამოვიღე, იმედია არ დამჯდარა მეთქი

ეს რა არისო?

ელექტროსიგარეტი ჩიზქეიქის გემოთი, ყველგან შეიძლება ამის მოწევა-მეთქი სიგარეტი გამომართვა

არასდროს მომიწევიაო

ცადე-მეთქი. რამოდენიმე ნაპასი უგემურად დაარტყა

ამას ისევ მენინგიტი ჯობსო

უი, ქუდი მაქვს, თუ გინდა-მეთქი. დაიხურა.

მადლობო

გიხდება-მეთქი

ხომო? რათქმაუნდა სარკეში გადაამოწმა. დიდად არა მაგრამ აქაურობის კვალობაზე წავაო. აივანზე გავედით და მოვუკიდეთ

ქვემოთ რა ხდებაო?

ბავშვების დაბადების დღეზე რომ დიჯეები ყავთ ეგეთი დონის კაცი უკრავს-მეთქი

მაგრად ცვლი სპორტსმენებზე ჩემს წარმოდგენასო

რა მხრივ-მეთქი

ჩემს დაქალს ყავდა ფეხბურთელი შეყვარებული და... ხომ ხვდებიო

წიგნით ხელში რომ ვერ ივარჯიშებ მაგას შენც ხომ ხვდები-მეთქი

ნუ კი, მაგრამ... უნდა გენახა რაო

არასპორტსმენი და დებილი არ გინახავს მეთქი

ჭკვიანი დებილიც მინახავს შენ წარმოიდგინეო

აბა, ამ სპორტსმენებს რას გადაგვეკიდე-მეთქი

გუშინ რომ გეკითხა არ იყავი სპორტსმენიო. გამეღიმა, გამომიჭირა

სპორტსმენს და რაღაცას შუაში ვარ, ბოლომდე ვერ ჩამოვყალიბდი ჯერ-მეთქი

ძნელია ეგრეო

არ არის ადვილი-მეთქი. ბოთლი გამოვართვი და მოვსვი. ოთახში შევედით, ცენტრალური განათება გამორთო და პატარა აბაჟურის სინათლის შუქზე დავრჩით, საწოლზე წამოწვა, მაისური ჭიპს ზემოთ აუვიდა და ის უცნაური ტატუ კვლავ გამოუჩნდა

რა გახატია-მეთქი. წამოიწია და ტატუს დახედა

ათასფრთიანი წერო რომელსაც საკურას ხის ტოტი მიაქვს პირითო

ზედმეტად რთულია ჩემთვის, ჩემთვის წეროს ორი ფრთა აქვს, ათასი ნამეტანია-მეთქი

კავაბატას წიგნს ქვია ეგრე, ათასფრთიანი წეროო

ალბათ არ გაგიკვირდება რომ გითხრა წაკითხული არ მაქვს-მეთქი. გაეღიმა, საწოლში გადმოტრიალდა, სახით ჩემსკენ მუცელზე დაწვა, ხელი გამომიწოდა და ბოთლი მივაწოდე, ოღონდ ისე, რომ მისი აღება გაჭირვებოდა, გაიწელა და მაინც აიღო ბოთლი

ამდენს არ ვსვამ წესით, მაგრამ ამ პანსიონატში სხვა რა უნდა გავაკეთო ვერ ვხვდებიო

ჩამო, ქვემოთ ვიცეკვოთ, დამიჯერე პირველად ვთავაზობ ვინმეს-მეთქი

არ ცეკვავო?

არა-მეთქი

რატომო?

კომპლექსების ამბავია ალბათ-მეთქი

მე კიდე მიყვარს ცეკვაო

მითუმეტეს-მეთქი

მეზარება ხალხიო

რა არ გეზარება-მეთქი

ესე, წყნარად შენთან ერთად ჯდომაო

მეეჭვება ეგეთი საინტერესო ვიყო-მეთქი

რაღაცნაირი ხარო, სანდოო. - ბოთლი გამომიწოდა, ოღონდ ისე, რომ ბოლომდე ვერ მივწვდენოდი, გავიწელე, მაგრამ ბოთლი უკან წაიღო, წამოჯდომა მომიწია რომ მივწვდენოდი, მაგრამ ბოლო მომენტში ამაცალა ხელიდან, უფრო ახლოს მივედი, მან კი მაისურზე ხელი მომკიდა, მიმიზიდა და მაკოცა, ორი წამი გავჩერდით, თვალებში ჩავხედე, გამიღიმა და მეც ვაკოცე, ვისკის ბოთლი ჯერ ისევ ხელში ეჭირა

არ დადებ მაგ ბოთლს-მეთქი? ისევ მაკოცა, მერე ჩამეხუტა, თავი მხარზე დამადო და ცალი ხელით თმაზე დამიწყო მოფერება

ამაზე მეტი დღეს არ გვინდა, კარგიო? - მისი სახე ხელებში მოვიქციე და ნაზად ვაკოცე, კოცნაზე კოცნით მიპასუხა. თვალებში ჩავხედე, რაღაცნაირი ბედნიერი და თან სევდიანი იყო, მე კიდე მთვრალი ვიყავი, მაგრამ იმდენად არა, რომ აზროვნების უნარი მქონოდა დაკარგული და რაიმე ზედმეტი მექნა, მეგრძნობინებინა ან თუგინდ გამეფიქრა. დიდხანს ვუყურე, ისევ მაკოცა და წამოდგა

ჩამო, ჯანდაბას შენი თავი ჩავიდეთ ვიცეკვოთო.

მგონი ბედნიერი ვარ, ყოველ შემთხვევაში ეგრე ვფიქრობ, ვფიქრობ რომ ბედნიერი ვარ ან ბედნიერი ვარ და ვფიქრობ. ბედნიერად ვფიქრობ. მთავარია, რომ ჩემს ტვინში ბედნიერება და ფიქრები გვერდიგვერდ დგას და ეგ უკვე კარგია, კარგია რომ ალკოჰოლი კომპლექსებს გავიწყებს და რომ ცეკვა შეგიძლია, კარგია რომ ცეკვავ, ტანს და ტვინს აფხიზლებ ყოვლად უაზროდ, ყოვლად უაზრო მუსიკაზე და უყურებ მას, რომელიც შენს წინ ცეკვავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არის რაღაც მომაჯადოებელი მის ცეკვაში, არის რაღაც პირველყოფილად აუხსნელი ცეკვაში, არის რაღაც მისტიური საცეკვაო მოედნის განათებაში და არის რაღაც ბედნიერების მაგვარი ჩემს ფიქრებში, მაგრამ გასარკვევია, ვფიქრობ რომ ბედნიერი ვარ თუ ბედნიერი ვარ და ვფიქრობ

დაროო

რა-მეთქი? - ხმაურში ვერ გავიგე რა მითხრა

დარო მქვიაო - გავუღიმე

ლამაზი სახელია-მეთქი

უცნაურია, შენი სახელი პირველივე დღეს გავიგე, ერთ-ერთმა მეგობარმა დაგიძახა, მაგრამ აქამდე სახელით არ მოგმართავდი, უხერხულია ადამიანს დაუძახო ისე, როგორც არ გაგცნობია

სახელს რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი

რა შემთხვევაშიო

ზოგადად, როდესაც რაღაცას სახელს ვარქმევთ, მაშინ ფუჭდება ყველაფერი-მეთქი

მე კიდევ ბავშვობაში უსათაურო ლექსებს და მოთხრობებს არ ვკითხულობდიო

მე კიდე ბავშვობაში საერთოდ არ ვკითხულობდი-მეთქი, მაგრამ ერთხელ სამასოცდარვაჯერ ავკენწლე ბურთი-მეთქი

ყოჩაღო

მერე კიდევ იყო რაღაცეები, დარო ბიჭებს გავაცანი, უფრო სწორად ბიჭებმა გაიცნეს დარო, ზუგდიდსკიმ ამ გოგოს სადღეგრძელო განსხვავებულით უნდა დავლიოო, ორ დღეში მოგვეტაცა ძმაკაციო. ალბათ სიმთვრალის ბრალი იყო ან განწყობის, მაგრამ დარო ძალიან ადვილად გაიხსნა ბიჭებთან, ჯაშის და ზუგდიდსკის კამათში გადასარევად ჩაება, ჩაება იმდენად, რომ ზუგდიდსკის კიდევ ერთი ქამ ბექი დაადებინა ჯაშის წინააღმდეგ, ჯაშმა არ ყოფილა ეს გოგო დასაკარგიო. მერე დიჯეიმ

დეარ გესთს, ლედის ენდ ჯენლთმენსო - ჯაში ზუგდიდსკის არ შეეშვა და დიჯეის ტექსტებს სინქრონში უთარგმნიდა, ძვირფასო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებოო, ე ბიჭო, მაგდენი კი ვიცი, მერე რა თქვაო. რას იტყოდა შეჩემისა, ახალი წელი მოდისო. ზუგდიდსკიმ საათს დახედა - ხუთ წუთშიო ბიჭოო. ბერძენამ - ესეც მაგას ამბობს სხვას კი არაფერსო, ახალ წელს აქ შევხვდეთ და მერე ვერანდაზე მოგვიხმო ყველა, განსაკუთრებული სიურპრიზი გვაქვს ყველასთვის და ერთ-ერთი თქვენგანისთვის კი განსაკუთრებულად განსაკუთრებულიო. ზუგდიდსკიმ - უეჭველი რაღაც სისულელეს გაათამაშებენ და მე კიდე ბედი არ მაქვს არაფერშიო. დაელოდე და გაიგებო, ბერძენამ.

დიჯეიმ რაღაც საახალწლო შეუბერა, ჩვენ ცეკვა გავაგრძელეთ, ბოლო ათი წამი ერთად დავითვალეთ და ეგ არის, ორიათასთექვსმეტია. დარო მთელი საღამოა ილიმის, მეც რაღაცნაირი, მსუბუქი და მარტივი ვარ. ვერანდაზე გიგანტური შუშხუნები აინთო და ცაზე რამდენიმე ფეიერვერკი გასკდა, ლამაზია ხომ იცი შენ, გავიფიქრე, დიჯეიმ კი - აბა გავედით ყველანი ვერანდაზეო, ჯაშმა ზუგდიდსკის გადაულაპარაკა - ვერანდაზე გვეპატიჟებაო, მესმის შეჩემა ქართულად თქვაო, ზუგდიდსკიმ, მე სასმელებს ავიღებ და დაგეწევით-მეთქი, დარომ შემომხედა, გადი, გადი მოვალ ორ წამში-მეთქი, ცა რამოდენიმეჯერ კიდევ განათდა, ხალხი ვერანდისკენ დაიძრა, მე ბართან მივედი, ფეიერვერკები სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა, მთელი ბოთლი ვისკი ავიღე და კარისკენ გავიქეცი, როდესაც დინამიკებში დიჯეის ხმა გავიგე - ეხლა კი დაპირებული სიურპრიზიო, ფანჯრებთან ორი წამი გავჩერდი და...

და ვერანდაზე ამწეკრანის კალათით ვიღაც ტიპი ამოიწია. შორიდან სახეს კარგად ვერ ვხედავდი, თან ამწეს კალათაზე დამაგრებულ შუშხუნებში რას გაარჩევდი? უცებ დიჯეიმ მუსიკა შეცვალა და საახალწლოდან საქორწილო განწყობაზე გადაგვიყვანა. ტიპი ამწის კალათიდან ვერანდაზე ჩამოხტა და ხალხში რამოდენიმე მეტრი გაიარა, მეც ვერანდაზე გავედი, ტიპს ვეძებდი თვალებით, მაინტერესებდა სად და ვისთან მიდიოდა და...

და დაროს ფეხებთან დაჩოქილი დავინახე, ხელში გულის ფორმის კოლოფში ჩადებული ბეჭედი ეჭირა, დარო მას გაოცებული უყურებდა, ბიჭი კი ყურებამდე გაღიმებული იდგა.

## #8

ბუ მუხბეო

რა-მეთქი

ბუ მუხბეს ეძახიანო

ერთად თუ ცალ-ცალკე-მეთქი

რა ერთად თუ ცალ-ცალკეო?

სახელს ბუ მუხბე თუ ბუმუხბე-მეთქი

რავიცი შეჩემისაო

ნორმალური თუ ხარ, ვიღაც კაციჭამია მაზავშიკთან მიმყევ და ბუმუხბე გინდა ვეძახო-მეთქი

შენ ეძახო რა, სხვებიც ეგრე ეძახიანო

ხომ არ უბერავ, ისედაც ტრაკი მიკანკალებს და ვაფშე არ წავალ-მეთქი

კაი მოიცა დამელოდე, გადმოგირეკავო

ტოტალიზატორებში ზედმეტად ბევრი კითხვის დასმა დაიწყეს, ბოლოს ფსონებსაც კი აღარ იღებდნენ, არადა ახალი წლის შემდეგ მარტო ორი თამაში დავსვით. სხვა ვარიანტების მოძებნა დაგვჭირდა და მაზავშიკებს მივაკითხეთ. ამ ქალაქში კიდე, დიდ კუშზე სულ ხუთი კაცი თამაშობდა და ზუგდიდსკიმ მაინცდამაინც ისეთი იპოვა, რომელსაც ბუმუხბე თუ ბუ მუხბე ერქვა, ბედი ხომ გინდა...

რა გიყო შეჩემა ბუმუხბეს ეძახიანო

ნამდვილი სახელი ვერ გაიგე შეჩემისა-მეთქი

ნამდვილ სახელს და პირადობის მონაცემებს გეტყოდნენ კიდეო, მიდი მოკლედ, დღეს შვიდზე გელოდებიანო, მიდი ოღონდ კუში ჩემიაო არ უთხრა, არაფერ შუაში არ ვარ, პასრედნიკი ვარო უთხარი, გამიგე? შარი არ მოგდონ რამე

ფოსტალიონი ვარ ვუთხრა ჩემი პირით-მეთქი?

ისე მებაზრები გეგონება დღე დღეზე იგვარებდე შეჩემისა, მიდი რასაც გეუბნები ის გააკეთეო

რო დამაგდონ-მეთქი

მოემვი გალივუდის ყურებას, მიდი ფული წამოიღე, ისეთი ხალხი მყავს აქედან ჩარეული, თმის ღერი რო ჩამოგივარდეს, ბუმუხბეა თუ ვიღაც, დედას მოუტყნავენო

მართლა იმ დღის დედამოვტყან ამაზე რომ დაგთანხმდი-მეთქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ ხარ ბიჭო შენ ისტერიჩკა, რამ დაგაჩმორაო გავუთიშე...

მართლა ვნერვიულობდი, როგორია - სადღაც გადაკარგულში, ვიღაც ბუმუხბესთან უნდა მივსულიყავი და ორმოცდარვაათასი უნდა წამომელო, ბუმუხბესნაირებს კი დარწმუნებული ვარ საერთოდ არ უყვართ როცა აგებენ, მითუმეტეს არ უყვართ, როდესაც ამდენს აგებენ და მითუმეტეს არ უყვართ, როდესაც ეს ფული არა მოთამაშეს, არამედ პასრედნიკს, ფოსტალიონს მიაქვს. რამდენ ფოსტალიონს წამოუღია დიდი კუში და რამდენი ვერ მისულა ადგილამდე? დოხუია! მოთამაშე თავნის წამოღებისას უფრო დაზღვეულია, არც ერთი მაზავშიკი არ შეეხება, რეპუტაციის საქმეა. ფოსტალიონებს? ფოსტალიონი ყველას არ კიდია? მაგრამ მეორეს მხრივ ზუგდიდსკისი მესმის, ჩემივე უსაფრთხოებისთვის აკეთებს ამ ყველაფერს, ზედმეტი კითხვები რომ არ დამისვან და სადღაც არ გამომიჭირონ, ან არ ჩამჭრან. ამ მაზავშიკების ვერ გავიგე, ახალი თაობის ჰიბრიდულ-გენმოდიფიცირებული კრიმინალები არიან. ამასწინათ რაღაც გადაცემა ვნახე, ჰიბრიდული არაფერი ვარგაო ვიღაც ამტკიცებდა, ეკლესიაც მაგას არ ამბობს, ერთმანეთზე დამყნობილი ვაშლი და კიტრი და ზოგადად გენმოდიფიცირებული პროდუქტები არ ჭამოთო? ან რაღაც ეგეთს ამბობს, ზუსტად არ მახსოვს. მოკლედ, ჰიბრიდული არაფერი ვარგა.

ბუმუხბემ - თუ ვისქესე რომ რაღაცა ტრუხას აქვს ადგილი, ტვაიმუ ბრატუ ნე პაზდაროვიტსაო

მე არაფერ შუაში ვარ, კუშის წასაღებად ვარ მოსული-მეთქი

ხელის ჩარტყმაც არ შეგიძლია, ჩაბარდა თუ არაო?

არა-მეთქი

კაი, ვიდეოქოლით დავრეკავ შენ ბრატთანო - ახალი თაობის კრიმინალები, რომლებიც ტექნიკაშიც ერკვევიან, სკაიპიც აქვთ, ფეისბუქიც და ვაფში ყველაფერი რომ აქვთ და ყველგან რომ არიან მოდებულები, ბევრად უფრო საშიშები არიან, ვიდრე ჩემი ბავშვობის კრიმინალები. აი ეს ის კამანდაა, ვისაც პოლიტიკოსები წინასაარჩევნოდ ქოქავენ და უბანში ძველ ბიჭებს ამუშავებინებენ ხმებზე, მერე რაღაცნაირად გვარდებიან, ამათ კაციჭამია ბრატებს ვდრუგ შეწყალება შეეხებათ ხოლმე, რამოდენიმე დაჭრილ სხვა კლანის კაი ბიჭებზეც ხუჭავს პოლიცია თვალს და ა.შ.

ზუგდიდსკი სკაიპში ვიღაც იქაურ ძველებთან ერთად იჯდა, ბუმუხბე ერთ-ერთს იცნობდა, მგონი სვანურად საუბრობდნენ ერთმანეთში, თბილი მოკითხვის შემდეგ ერთმანეთს ლაიქი დაუწერეს, ერთმანეთის პოსტები გადააშეარეს

და შეთანხმდნენ, რომ თავანი ჩაბარებული იყო.

თავისუფალი ხარ ძამიკოო

კაცურად, სანამ წავალ სახელი მითხარი თორე ხო ნახე მთელი საღამო დავიტანჯე, ყველანაირად ვცდილობდი სახელის თქმას ავცდენოდი-მეთქი

დამეკარგე ახლა აქედანო!

დავეკარგე!

ზუგდიდსკის ხოდებით იმ ოცდაათს, რაც გვქონდა, სამოცდარვა დაევამატეთ ზემოდან, უფრო მეტი უნდა გვემოვნა მაგრამ იმ თანხას რასაც ეთავაზობდით, არც ტოტალიზატორი მოყვებოდა და არც ბუმუხბე გამოყვა. ბუმუხბე საერთოდ უნამუსო გამოდგა, სამი და ექვსიანი კუში ორი და ოთხზე ჩამოიყვანა, თან პირველ ჯერზე ოციათასზე მეტი არ გაგვიმაზა, ეგეც მარტო იმ ხალხის სახელის გამო, რომელმაც თქვენთან დამაკავშირაო. ბუმუხბეს, რომელიც ესე კბილებით იყო ჩაფრენილი ამ ფულს და გეგონება მამამისის ქონება წავართვით, სინამდვილეში თეთრიც არ წაუგია, ჩვენი ფსონი გადაზღვეული ექნებოდა რომელიმე უცხოურ ტოტალიზატორში ან ვინმე სხვა მაზავშიკთან, ეგრეა, დიდი იგროკები იმიტომ ხდებიან დიდი იგროკები, რომ ყველა ნაბიჯი გათვლილი აქვთ.

ამხელა ფულს სახლში მუთაქის ქვეშ ვერ შეეინახავდი, ბანკშიც ვერ წავიღებდი, იმიტომ რომ როდესაც ფული გაქვს, უნდა ანახო საიდან გაქვს და როგორ გაქვს და თუ რაღაც თანხაზე მეტი გაქვს, სახელმწიფოს უნდა გადაუხადო პროცენტი, მარტო იმიტომ, რომ სახელმწიფოა და მარტო იმიტომ, რომ იმაზე მეტი გაქვს ვიდრე საჭიროა, სამაგიეროდ მერე პატრული დაგიცავს, ჯარი გეყოლება და კაროჩე, რაღაც პონტში უნდა გადაუხადო კიდეც, მაგრამ მარტო გადახდა არ არის პრობლემა, პრობლემაა დამტკიცო, რომ ეს ფული არ მოგიპარავს, გიპოვენია და ახლა შენია, მაგის დამტკიცების ტრაკი კიდევ მე არ მაქვს, ვერავის დავუმტკიცებ, რომ ტოტალიზატორს და ბუმუხბეს მოვუგე, ამიტომ ჩვეულებრივი გიორგას დახმარებით, ჩვეულებრივი სეიფის გვერდის ავლით რაღაც სპეცკლიენტებისთვის განკუთვნილ სეიფში ვინახავ, თუ ესე გავაგრძელე მალე ოფშორებში დავიწყებ ფულის გათეთრებას და მერე ხუივოზნაეტ, შეიძლება პოლიტიკაშიც მოვიდე, არც პირველი სპორტსმენი ვიქნები და არც უკანასკნელი, ჩემზე ბევრად უჭკუო ხალხი ზის ბოლო-ბოლო პარლამენტში.

ჩვეულებრივმა გიორგამ, ხომ გახსოვს კვირის ბოლოს ჩემპიონატი იწყებაო - რათქმა უნდა არ მახსოვდა, იმდენად არ მახსოვდა, რომ ძუნძული რომ ძუნძულია, ეგეც კი არ დამიწყია.

კი, კი როგორ არა, ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში-მეთქი.

ფორმაზე გამახსენდაო - სპორტული ჩანთა მომანოდა - ამაშია ფორმა, ბოტასები და ეგეთი რამერუმეებიო.

სახლში მისულმა ფორმა ჩავიცვი, ბავშვობის მერე არც ერთხელ არ მცმია არც ერთი კლუბის თუ ნაკრების მაისური, პრინციპი მქონდა ეგეთი. ეხლა კი, როდესაც ეს რაღაც მეცვა და სარკის წინ ვიდექი, რაღაც უცნაური და მურტალი ბურთი მომაწვა კისერში, ის დღე გამახსენდა, როდესაც პირველად ჩავიცვი ჩვიდმეტწლამდელთა გუნდის ფორმა, ჩვეულებრივი წითელი სინთეტიკური ნაჭერი, რომელიც თამაშის დროს კანს გიწვავდა, გაოფლიანებულს კი ტანზე გეგლისებოდა, მერე კი ისე ყარდა, გეგონება ორი კვირა გადაბმულად გეცვა, მაგრამ მაინც მიყვარდა და ყოველ ჯერზე მიხაროდა, ყოველ ჯერზე ვამაყობდი.

არ ვიცი, ეხლაც რომ მეთამაშა როგორი ვიქნებოდი, შეიძლება ზუგდიდსკისნაირი, შეიძლება ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზივით რაღაც წარმატებისთვის მიმელწია, შეიძლება უფრო წარმატებულიც კი ვყოფილიყავი, იმიტომ რომ უფრო ნიჭიერი და შრომისმოყვარე ვიყავი, შეიძლება. ჩემი ბიჭი მარაკანას არ გაცდენია და რა უცნაური და სიმბოლურია, რომ კომპანიებს შორის ჩემპიონატიც მარაკანაზე იმართებოდა, ისევ იქ, ისევ იქ, სადაც დავიწყე, უფრო სწორად, უნდა დამეწყო.

აუ მასწ ჩვენც მოვალთო რა - "სამისნახევრიანებთან" ნამომცდა რომ მარაკანაზე ვითამაშებდი.

არ შეიძლება, ჩუმად ვარ დამატებული, რომ გაიგონ ყოფილი ფეხბურთელი ვარ, გამომაგდებენ-მეთქი

ჩუმად გიბალეშიკებთო

აუ მარაკანაზე მეც მინდა თამაში, ჩვენ როდის გადაგვიყვანენ მანდო

შენხელა რომ ვიყავი მეც მინდოდა მარაკანაზე თამაში, ეგ კი არა ყველაზე დიდი სტადიონი მეგონა-მეთქი

რა ყველაზე დიდი მასწ, ნოუ კამპია ყველაზე დიდიო

ნოუ კამპი არა ის, ბერნაბეუა ყველაზე მაგარიო

იმიტომ მოგიგეთ ოთხით ნოლი ბერნაბეუზეო

კაი, კაი, ნუ ჩხუბობთ!

ეს არ მევასება რა, მოგიგეთ, შენ რა მომიგე, შენ გაიტანე გოლი თუ მე გამიტანეო

გამოთქმაა ეგეთი შე დებილოო

აბა! აბა სიტყვები მეთქი!

დებილო ვუთხარი მასწ რა მოხდა ხომ არ შევაგინეო

დავაი კედელთან და პასებს მიხედე ეგეთი ლაპარაკის გამო-მეთქი

აუ კაი რა მას რა! რამდენჯერ უნდა ვიდგე ამ კედელთანო

სანამ ნორმალურად ლაპარაკს არ ისწავლი-მეთქი

თამაშით ხომ მათამაშებთო?

სადისტი არ ვარ ტრენერი ვარ-მეთქი

ტრენერს რა ქვია ქართულადო - დაროს ხმა მომესმა ზურგს უკნიდან და უცებ მუხლებში ისე მოვიკეცე, გეგონება კანტონამ მომცელა ორი ფეხით.

## #9

ბავშვებს უყურადღებოდ ვერ დავტოვებდი, ამიტომ ორ გუნდად გავყავი და ვათამაშე. დაროსთან მივედი, გაღიმებული სახე უცებ შეეცვალა, წარბები შეკრა და მხარში ძლიერად ჩამარტყა.

სად ჯანდაბაში წახვედი იმ დღეს? ახალ წელს გოგოს მიტოვება კაცური საქციელი გგონიაო

გათხოვებას თუ აპირებდი უნდა გეთქვა აუზზე თუ არა ნომერში მაინც, კოცნამდე თუ არა კოცნის მერე მაინც-მეთქი

შენც სხვა სპორტსმენებივით იდიოტი ხარო

შენი ბიჭი ხოა ძაან ორიგინალური, ამნეკრანით რომ მოგაკითხა-მეთქი

ამნეს და კრანს ერთ სიტყვად მაინც არ ხმარობსო

ხოდა იყავით ერთად ტკბილად და ბედნიერად სანამ სიკვდილი არ დაგაშორებთ-მეთქი

ჰაჰა ძაან გამეცინაო

რას მესწერვები ნორმალური თუ ხარ მე უნდა ვიყო შენზე გაბრაზებული, ჩემს

თვალწინ გათხოვდი-მეთქი

ორი წუთი დამლოდებოდი იქნებ რას ვეუბნებოდიო

ნომერში რომ ახვედით მაშინ უნდა დაგლოდებოდი თუ მეორე დღეს-მეთქი?

რა უნდა მექნა? საჯაროდ, მილიონი კაცის თანდასწრებით მეთქვა უარიო

მოიცა, უარი უთხარი-მეთქი - არ ვიცი რამ ნამოუარა, მაგრამ მუშტებით

შემდგა, რამოდენიმეჯერ ძალიან ძლიერად ჩამარტყა, ერთ-ერთი თვალშიც კი მომხვდა

ტრენერ, ხომ არ დაგეხმაროთო - ერთ-ერთმა სამისნახევრიანმა

თქვენ საქმეს მიხედეთ და ცალი თვალით გიყურებთ ნუ უხეშობთ-მეთქი

აააა, ცალი თვალით უყურებო არა? მე რა ცარიელი ადგილი ვარ? ორი კვირაა

ყოველდღე სამისნახევარზე აქ ვარჭივარ და ცალი თვალით უყურებ არაო

დასვენება იყო დღეს დავიწყეთ ვარჯიშები-მეთქი

კაი ნუ გაატრაკე, მაგდენს მეც მივხვდი, მაგრამ ცალი თვალით ყურებას მოგცემ ეხლა მე შენო - და ისევ მუშტების დარტყმა დამიწყო

ერთ წამს, ერთ წამს დამშვიდდი, დაწყნარდი-მეთქი - რომ არ დამშვიდდა ხელში ავიყვანე და ტრიბუნებისკენ წავიყვანე, სკამზე ჩამოვსვი

შეგიძლია დაწყნარდე, ბავშვები გადაირივნენ-მეთქი

ხოდა მიხედე შენს ბავშვებსო - წამოდგა, ქუდი მომიგდო

საერთოდ არ მიხდება, შენი ხათრით მეხურა იმ დღესაცო - წასვლა დააპირა, ხელი მოვკიდე, მოვაბრუნე და ვაკოცე

ეეე ტრენერი გოგოს კოცნის შეხედეთო - პირველმა მაინცდამაინც მეკარემ გამოგვხედა, რომელსაც მაინცდამაინც იმ მომენტში მოხვდა თავში ერთ-ერთი ბავშვის ძლიერად დარტყმული ბურთი და მაინცდამაინც ძელთან ახლოს იდგა და...

ექიმმა - სამი ნაკერი დავადეთ, მაგრამ კარგად იქნებაო, ბავშვის მშობლებმა კი პატარა ისტერიკა მომიწყვეს. დარო ეუბნებოდა ჩემი ბრალიაო, მერე დაროსაც შედგნენ, შენ საერთოდ ვინ გეკითხებაო. მოკლედ, ძალიან მაგრად გამოგვლანძღეს, მაგრამ ბავშვი რომ ჯანზე მოვიდა -

მასწ გიყვართ ეს გოგოო

მგონი კი-მეთქი

აბა, რატომ გეჩხუბებოდათო

იდიოტი ვარ-მეთქი

მართლა იდიოტი ხარ ამხელა კაციო - დედამისმა

ვარ-მეთქი - ბავშვი წაიყვანეს, მე და დარო კი მისაღებში დავრჩით.

ესე იგი უარი უთხარი-მეთქი - დარომ გამიღიმა და მაკოცა

გენაცვალე აქ საავადმყოფოა, ხვევნა-კოცნა თუ გინდათ სახლში წაბრძანდითო - ერთ-ერთმა პაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენტმა

წავბრძანდით

დივანზე ვეყარეთ, დარომ სიგარეტი მომაწოდა

ალარ ვეწევი-მეთქი

როდის მერეო

ორი დღეა, მაზეგ კომპანიებს შორის ჩემპიონატი იწყება და ერთ-ერთი ბანკის გუნდში ვარ-მეთქი

უნდა ითამაშოო? - დივანზე გადმოტრიალდა, თვალები გაუბრწყინდა და თავი მკერდზე დამადო

ხო, რავი-მეთქი

რამდენი ხანია არ გითამაშიაო?

საუკუნეა-მეთქი

ნერვიულობო?

არა, რა სისულელეა-მეთქი - წამოიწია და თვალებში ჩამხედა

ჰა ჰა როგორ არა, ნერვიულობო

ხო, ცოტა ვნერვიულობ-მეთქი

ფეხბურთი ველოსიპედის ტარებასავით არ არისო?

რა ამბავში-მეთქი

თუ ერთხელ ისწავლე, მერე არ დაგავიწყდებაო

არა, რა სისულელა, აზრზე არ ვარ როგორ ფორმაში ვარ, ბავშვებთან ერთად რასაც ვვარჯიშობ ეგ არის და ეგ-მეთქი

აბა არს აპირებო?

რავი ჩვეულებრივმა გიორგამ ისე მომიყომარა დაფიქრება ვერც მოვასწარი-მეთქი

ეგ ვინ არისო

ჩემი კურსელი იყო ეხლა იმ ბანკში მუშაობს რომლის ფორმითაც მე უნდა ვითამაშო-მეთქი

სხვები რას შვებიან, ზუგდიდსკი როგორ არისო

რავი, კოკლიანმა გაუჩალიჩა და ჩვენ სკოლას ყიდულობს, გარემონტება და ნორმალური პონტის მოხოდვა უნდა-მეთქი

გადაწყვეტილი ამბავიაო?

რავი, კი, ამ დღეებში უნდა მოაწეროს ხელი, ლადაობ, მე დამპირდა სკოლის დირექტორად დაგნიშნავო - გაეცინა - იცინე, იცინე და ამათზე კარგად ნაღდად მივხედავ საქმეს-მეთქი

კოკლიანს რა ხეირი აქვს-მაგ საქმიდანო

კოკლიანის კომპანია ააშენებს მერე მაგ ყველაფერს-მეთქი

სახელს ხომ იგივეს დაუტოვებენ, მარაკანა ლამაზი სახელიაო

იმედია-მეთქი

საბალეშიკოდ რომ ვიარო ხო არ დაკომპლექსდები, მაინტერესებს როგორ თამაშობო - გავუღიმე და ვაკოცე

არსებობს მანდრაჟის ფენომენი და თუ დამანდრაჟდი მტრისას, ყველა კუნთი ერთიანად გიკანკალებს, მინდორზე გამოსვლა გესიკვდილება და ერთადერთი რაც გინდა, ისაა, რომ საკუთარ კარადაში შეიყუჟო, მაგრამ ჩემი ფეხები, ბანკმა სამი თვე უნდა მიხადოს ხელფასი ამ ჩემპიონატის გამო და კარადიდან კი არა იმის იქიდან გამომაძვრენენ.

ჰა, ხო ხარ მზადო - ჩვეულებრივმა გიორგამ.

ბიჭო, ჯერ თავს არ დავინვავ და ცალი ფეხით ვითამაშებ-მეთქი - ჩვეულებრივმა გიორგამ თვალი ჩამიკრა, მე კიდე ცალი ფეხით კი არა, მთელი გულით რომ მდომოდა თამაში, მაინც არაფერი გამომივიდოდა.

არც გამომივიდა! გუნდის მწვრთნელმა, რისკების დეპარტამენტის უფროსმა, თუ ვინც იყო, ესო, ეს რას მომიყვანეთ, ამას აიტიშნიკი ლადო ჯობიაო, ეეე ჩემი ძმა-მეთქი, რა ჩემი ძმა, რა ჩემი ძმაო? ორჯერ ააცილე ერთი-ერთზეო. ეგრე უნდა, თავს არ ვინვავ-მეთქი. დარომ რომ დამინახა, გაწევ-გამოწევაში ვიყავი, რამოდენიმე მაყურებელს გადმოაბიჯა და სკამთან მოვიდა

რა ხდებაო

მანდრაჟი მაქვს-მეთქი

გემჩნევა, ნუ ნერვიულობ კარგი, რაც იქნებაიქნებაო

არ მინდა რომ ჩავიჯვა-მეთქი

ესე თუ გააგრძელებ აუცილებლად ჩაიჯვამ, ამიტომ დაიკიდე ეგ შენი მანდრაჟი, ხალხი გასართობად თამაშობს და შენც ისიამოვნეო

ბავშვები მიყურებენ, სხვა ტრენერები და როგორ დავიკიდო-მეთქი

ხომ ხვდები რომ ხელს გიშლის ეგ ყველაფერი და ამიტომ დაივიწყე, ითამაშე ისე, როგორც გისწორდებაო - ერთი ძალიან მაგრად მაკოცა და -

ჩემთვის ითამაშეო

რა თქმა უნდა არც მეორე ტაიმში მომინყვეტია ვარსკვლავები, მაგრამ მობილიზება, თავის ხელში აყვანა და ორი გოლის შეგდება მოვახერხე, ერთი საგოლე პასიც გავაკეთე და საბოლოოდ სადაზღვევო კომპანიას ექვსით ორი მოვუგეთ.

სამისნახევრიანებმა ორივე გოლის დროს დაანგრიეს იქაურობა, ჩემი სკოლის დირექტორიც კმაყოფილი იყურებოდა, მერე დარომ მითხრა, კინაღამ თვალები დავთხარე, შენზე ამბობდა რა კარიერა დაინგრია ამ სირმაო. კომპლიმენტია ეგ, არ გაბრაზდე ეგეთებზე, თან ორი დღე აქვს დარჩენილი კაცს, მერე მე გავხდები დირექტორი და ნახე მაგას რა ვუქნა-მეთქი - ჩავეხუტე.

ამჯერად ზუსტად ვიცი, რომ ბედნიერი ვარ. ბედნიერებაზე კი არ ვფიქრობ, არამედ ვგრძნობ და რასაც გრძნობ, ის ყოველთვის რეალურია. არ მიყვარს რალაცეებისთვის რალაცეების დარქმევა, მაგრამ მგონი დარო მიყვარს და მგონი დაროსაც ვუყვარვარ და მგონი ყველაფერი გამოვა, ყოველშემთხვევაში ხელს არაფერი მიშლის, რაც მჭირდება ყველაფერი მაქვს და მაქვს ისიც, რაზეც არასდროს მიფიქრია - ფული მაგალითად. კოკლიანმა თვის ბოლოს გადმოვიფორმებთ სტადიონსო, ზაფხულამდე მარტო რემონტს დავიწყებთ, რომ ბავშვები არ დავკარგოთ, ზაფხულში კი არდადეგებზე მინდვრებს და ტრიბუნებს მივხედავთო. ნახაზებიც მაჩვენა და შ.პ.ს-ც დამარეგისტრირებინა ჩემს სახელზე. ზუგდიდსკი ამბობს, რომ ბედნიერებაა, როცა ქალი გყავს და ფული გაქვსო, მე ზუგდიდსკის პარამეტრებითაც კი ბედნიერი ვარ. ვარ და მორჩა!

## #10

მაგრამ ხანგრძლივად ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა - ლექსია ეგეთი, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით ეგეთი სტროფია, იქამდე კი ავტორი ბედნიერებაზე ლაპარაკობს, როგორც მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლაპარაკობ და ვდრუგ ძალიან ცუდი და მოულოდნელი რაღაც ხდება, მაგრამ მგონი იმ ლექსში ისეთი საშინელებებიც არ მომხდარა, როგორც ჩემს თავს ხდება ეხლა. ჯერ იყო და ზუგდიდსკის დაიკომ დამირეკა -

აუ ძალიან ძალიან დიდი ბოდიში, ძალით არ მინდოდა, თავიდან ვაფშე ვერ მივხვდი რა უნდოდათ, მე მეგონა ჩვეულებრივი ბიჭი იყო და რა ვიცოდი პოლიციელი რომ იქნებოდაო - ჯერ ამოისუნთქე, აზრები დაალაგე და წყნარად მომიყევი რა ხდება-მეთქი.

აუ რაო და ბიჭი გავიცანი ბარში, აქეთური-იქითური, ძააან კაი ბიჭი იყო რას ვიფიქრებდიო...

ეეეეე ბიჭო მეთქი - ტელეფონში დავუღრიალე, აღარ იტყვი რა მოხდა-მეთქი.

შენ საერთოდ შენი თავი ვინ გგონია, გასაფრთხილებლად დაგირეკე და შენ კიდე რას მიყვირიო - მივხვდი, რომ ისედაც აჭრილი სიტუაცია უარესად ავჭერი და ტონი შევიცვალე, მოვეფერე, დავამშვიდე და ეხლა მითხარი ორი სიტყვით რა მოხდა-მეთქი.

რა ვერ გაიგე დებილი ხარო? ვიღაც ბიჭი გავიცანი ბარში... აა ეგ ხო გითხარიო, ხოდა ამ ბიჭმა ზუგდიდსკის ნაჩუქარ საყურეებზე მკითხა, მერე სამაჯურზე, მერე მძივზე, მერე მე ვუთხარი ერთი ლოხი მყავს გამოჭერილი, ფეხბურთელია-მეთქი, იმან ვინო, ვინო, ვინ და ესა და ეს-მეთქი, იმან ეგო, ეგ იქ გაყიდულ თამაშებზე ჩალიჩობსო, ხო, ხო, შენ რა იცი-მეთქი, რა ვიცი და წამოეთრიე განყოფილებაშიო და ყველაფერი მათქმევინეს - ისევ ტირილი აუტყდა. ვახ ჩემი, მგონი მაგრად გავიშარე -

რა მოუყევი უფრო ზუსტად ვერ მეტყვი-მეთქი

რა მოვუყევი და ყველაფერი, ვაფშე ყველაფერი, ხოდა ეხლა იმიტომ გირეკავ რომ გაგაფრთხილო, შენც მოგდგებიან და ჯობია გაიქცეო.

ძალიან დიდი მადლობა, ჯიგარი ხარ-მეთქი - ცინიკურად ვუთხარი, იმან კიდევ -

ხო, ვიცი, ყველაფერი ჩემი გულის ბრალიაო.

რა შენი გულის, რა შენი გულის შენი... - ტელეფონი გავუთიშე. დარო გაოცებული მიყურებდა

რა მოხდაო

ზუგდიდსკის აფიორა გასკდა-მეთქი

მერეო?

მოიცა უნდა დავურეკო-მეთქი - ტელეფონი ავიღე, ნომერი ავკრიფე და იქიდან თათუშკამ მიპასუხა, ტიროდა და ეგრევე ყველაფერს მივხვდი - უკვე-მეთქი?

კი, დღეს დილით დაიჭირეს, მთელი ინტერპოლი ჩალიჩობდა მაგ ამბავსო

ინტერპოლი-მეთქი?

აბა რა გეგონა იტალიის გაყიდულ თამაშებზე რომ დებდიო

ეხლა რა უნდა ვქნათ-მეთქი

ფული მჭირდება რომ გამოვიყვანო, გამომიგზავნე რამდენიც გაქვსო

ჩემი ფული-მეთქი

შენი ბებიაშენისამ, სუ შენი შრომითაა ნაშოვიო

მართალი ხარ, მართალი ხარ, ბოდიში, უცებ ავიჭერი, რამდენს გთხოვენ-მეთქი

ამდენს და ამდენსო

უშველის-მეთქი

მიწყნარდება ეს ინტერპოლი და გამოუშვებენ აბა რას იზამენ, რუსეთიაო

კაი, გეხვეწები არ ინერვიულო, გამოგიგზავნი მაგ ფულს და ბიჭებსაც შევაკრებინებ რაღაცასმეთქი

ყველა მე მირეკავს, ყველას ეხლა გაახსენდა, რომ ფული გვაქვს მისაცემიო

რა ფული, ვინ გირეკავს-მეთქი

ვიღაც მშენებლები, შენს ქმარს სპორტსკოლის ფული მივეცით და უკან გვინდაო

უკან უნდათ რა, ბნელა, კოკლიანმა იყიდა უკვე სკოლა

ბნელა, აბა არ ბნელა, რუსეთია, ფეხებზე არ კიდიათ

კაი, ნერვებს არ აყვე, ვიზამთ რამეს - მეთქი

სად გადაეკიდა იმ ყლექალას, მაგრამ ყლეა ესეც, ღირსია მივაგდო, მაგრამ ჩემი გულის ამბავი ხომ იციო - რა გული, რა გული, რეებზე მეზაზრებიან დღეს მთელი დღეა, დარო აქედან ხელებს მიქნევს, რა ხდება-მეთქი

ნახევარფინალზე გაგვიანდებაო

ვახ ჩემი, თათეშ უნდა გავიქცე აუცილებელი საქმე მაქვს და საღამოსვე გამოვაგზავნი რაც მაქვს ყველაფერს-მეთქი - რა დროს ფეხბურთია, კი არადა რა დროს ციხე და რუსული მაფიაა, რა ინტერპოლი, რა ხდება ვაფშე? ძლივს რაღაც აეწყო ცხოვრებაში, სპორტშიც დაჟე, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ვარ, ფინალი რომ მოვიგოთ, ტელეფონს მაჩუქებენ. რა ტელეფონი, რეებზე ვფიქრობ, ტელეფონის დედა არ ვატირე, ვახ ჩემი, რა უნდა ვქნა ეხლა რომ ციხეში ჩამსვან, დაროს, დაროს რა ვუყო? რის გამო? რა მოხდა ცოტა ფული მოვიგეთ, ასთვრამეტი ათასი ეგეთი ბევრია დავიჯერო? დარო? დაროს შანსი არაა არ დავკარგავ.

დარო, რა უნდა ვქნათ-მეთქი, ზუგდიდსკი დაიჭირეს, ჩემზე ხმას არ ამოიღებს, მაგრამ ამ იხვნისკარტამ ჩამაბოზა, ქართული პოლიცია არ მომადგეს-მეთქი.

ძაან ტრაკში ვართო

ძაან-მეთქი

მომისმინე, ყველა ვარიანტში უნდა წაჩვიდე და ითამაშო, მაგ კონტრაქტის დარღვევა მაინც არ შემოგტენონო

არა რა უნდა ვითამაშო, ესე როგორ ვითამაშომეთქი

რა უნდა ვითამაშო? მოედანზე რომ გავედი არაფრის განწყობა არ მქონდა, მაგრამ როგორც კი ბურთი მივიღე, ისეთი თავისუფლება და ენერგია ვიგრძენი, რომ ზუგდიდსკის დაიკოზე, ზუგდიდსკიზე, ინტერპოლზე, რუსულ მაფიაზე და საკუთარ თავზე დაგროვილი მთელი ბოღმა ამოვანთხიე. მეტოქე გუნდის მეკარეს ისეთი სიძლიერით ვურტყამდი, რომ ბოლოს წამომეჯგიმა - ძმაო გასართობად ვართ აქ მოსული თუ საკაჩაოდ? რამ გაგამწარა ჩემიდედამშევეციო - დიდი სიამოვნებით გავფლეთდი იქვე, მაგრამ მუშტების და წიხლების ქნევას გოლების გატანა ვამჯობინე. ისეთ ჯანზე ვიყავი, რომ ყველა და ყველაფერი დავიწყებული მქონდა, ამიტომ მიყვარდა ეს სპორტი, მიყვარდა იმიტომ, რომ

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერს მავიწყებდა, მავიწყებდა რომ სახლში შუქი არ გვქონდა, რომ გაზი არ გვქონდა, რომ ნავთიც შეიძლება არ გვქონოდა თუ მამაჩემი ვერ იყოჩაღებდა და პენსიონერ ქალებს თუ არ დაუკბენდა ხელებს, თუ არ იჭიდავებდა, არ იომებდა, თუ ვინმეს არ წაართმევდა და არ შეატოვებდა ყინვას და სიცივეს. მავიწყდებოდა, რომ მთელი კვირა ლობიოზე და მჭადზე ვიყავით იმიტომ, რომ პურის და ნავთის რიგს ერთად ვერ უქაჩავდა საცოდავი მამა, მავიწყდებოდა, რომ სამყარო ჩემს ირგვლივ დანგრეულია, რომ კოკლიანის მამა პოლიციის უფროსია და წესით თავის ძმისნაირებს უნდა იჭერდეს და ამის მაგივრად კოკლიანის ასნავნოიში ჩასაყენებლად ტრენერს ფულს უმაზავდა, მავიწყდებოდა რომ ბურთს და კარს იქით რამე არსებობს და ზუსტად ვიცი, რომ თავდავიწყების ეგ ინსტინქტი ყველგან და ყოველთვის გამყვებოდა და ზუსტად ვიცი, რომ ძალიან მაგარი ვიქნებოდი, მაგრამ... მაგრამ მესროლეს და უნდა ესროლათ, იმიტომ, რომ მაშინ გოლის გატანა კი არა ადამიანის სიკვდილი იყო ყველა კითხვაზე პასუხი, იმიტომ რომ მაშინ ამხანაგურ თამაშში გატანილ გოლს და ადამიანის სიცოცხლეს ერთი ფასი ქონდა... ეგეთი დროიდან მოვდივართ, მაგ დროის დავიწყებას ვცდილობთ და ვერ ვივიწყებთ... და ამიტომაა, რომ დაიკოსნაირი გოგოებს გადავეკიდებით ხოლმე, იმიტომ, რომ მაშინ დაიკოსნაირები მარტო ავტომატიანი კაცების ქალები იყვნენ, ეხლა კიდევ როდესაც ავტომატი აღარ ჭრის, უკვე ჩვენც გვაქვს დაიკოსნაირების დათრევის შანსი და ვითრევთ და გვიხარია. დრო შეიცვალა, ჩვენ შევიცვალეთ, მაგრამ დაიკოსნაირები არ იცვლებიან, როგორც მაშინ შეეძლოთ კაცის გაშარვა, ჩემს ბავშობაში, ისევ ისე შეუძლიათ დღესაც. განსხვავება ისაა, რომ დღეს პოლიცია მოგაკითხავს ეგეთების გამო, ადრე კი მხედრიონი და თეთრი გიორგის საძმო, შავი მერაბას კლანი და ათასი ეგეთი მოგაკითხავდა.

ცხრით ნოლი, ფინალში ვართ. თქვენი დედაც მოვტყან, თქვენი ყველასი, ვინც ბავშობის ქაოსიდან ამოხტებით ხოლმე და ეხლაც, ზედ სტადიონზე ჩემი წარმატების პიკში, როდესაც თანაგუნდელებს ხელში ვყავდი აყვანილი და მილოცავდნენ, ტრიბუნებზე ჩემი ბავშვობის სამი ჰიბრიდული აჩრდილი დავინახე - ბუმუხბე თავის ორ მოხეულ ტიპთან ერთად. ამანაც გაიგო.

რამდენი ხანი მცემდნენ არ მახსოვს. გასახდელიდან ბოლო გამოვედი, რაც მოსახდენია მოხდეს-მეთქი. დაროს მესიჯი მივწერე - გეხვეწები შენ წადი, მე შემაგვიანდება-მეთქი, დარო კიდევ პირიქით გასახდელში შემომივარდა

სად ხარ ამდენი ხანი, ყველა წავიდაო

ყველა არა, ტრიბუნაზე სამი კაცი უნდა იჯდეს-მეთქი

შენ რა იციო

გემუდარები წადი-მეთქი

მითხარი რა ხდებაო

მაზავშიკები არიან, გაიგეს რომ სიაბანდზეა ეგ ფული მოგებული და უკან მომთხოვენ-მეთქი

არ დაგტოვებ არარსებობს, პატრულში დავრეკოთო

მაინც მომაგნებენ და რა აზრი აქვს-მეთქი...

ფეხში არ მესროლოთ ხვალ ფინალი მაქვს სათამაშო-მეთქი

რა ფინალი, რა ფინალი შე განდონოო - და დაროს თვალწინ მცემეს სტადიონზე, დაროს კი არა, რომ დასჭირვებოდათ ან ნდომოდათ, მთელი მსოფლიოს თვალწინ მცემდნენ, დაროს ხელი არ ახლოთ-მეთქი მაგას ვყვიროდი, მერე დაროს ხავილი მახსოვს, მერე რამოდენიმე წიხლი და მეტი აღარაფერი.

თვალები რომ გავახილე, პირველი დაროს ცრემლიანი სახე დავინახე, მინდორზე იჯდა, მე კი თავი მის ფეხებზე მედო

ისევ მარაკანაზე ვართ-მეთქი? - დაროს ცრემლები წამოუვიდა - ნუ ტირი გეხვეწები-მეთქი - იცი ამ სტადიონზე ადრე ქვიშა ეყარა, ვითომ კუნთების გამაგრების ამბავში, მაგრამ სინამდვილეში დირექტორმა შეჭამა ხელოვნური ბალახის დასაგები ფული-მეთქი - დარო გაკვირვებული მიყურებდა, მე კიდე გავაგრძელე - ხოდა ეხლა იცი რას ვფიქრობ? ქვიშიდან უფრო ადვილია სისხლის კვალის მოშორება ვიდრე მინდვრიდან და იქნებ მაგიტომაც იყო ქვიშა დაყრილი, წარმოიდგინე რამდენი რაზბორკა და სისხლი უნახავს ამ სტადიონს-მეთქი.

ადგომა შეგიძლიაო

ალბათ-მეთქი - დარო წამოდგა და მეც წამომაყენა, ფეხზე ძლივს ვიდექი, ცხვირი უეჭველი და ზემოდან მგონი რამოდენიმე ნეკნი მქონდა გატეხილი

რა დაიბარეს-მეთქი?

სამოციო

არ მოგვიგია მაგდენი-მეთქი

მორალური ზიანისთვისო

ლადაობ-მეთქი?

სიტყვასიტყვით ეგრე მითხრეს და მითხრეს შენც ეგრე გადაეცი, ერთ კვირაში გამოგივლითო

მაგათი მორალის დედა ვატირე-მეთქი

გაქვს მაგდენიო?

კი, მაგრამ ზუგდიდსკისთვისაც გასაგზავნი მაქვს-მეთქი

დაგრჩება რამეო?

ბანკის ვალი-მეთქი

ცხვირზე გიფსით და დაბინტული ნეკნებით ვიწექი მთელი კვირა, რუსეთში გადარიცხვებზე დარო დარბოდა, ბანკის ვალი მომაშორებინა და მაზავშიკებისთვის მისაცემ სამოცს იქით რაც დამრჩა, ყველაფერი ზუგდიდსკის გადავურიცხეთ. ბიჭებმაც შეუგროვეს რაღაც თანხა, თათეშკას დაიკოსთვის შეუთვლია - თუ არ გინდა მანდ რომ ჩამოვალ თმით გითრიო, რაც გაქვს ზუგდიდსკის ნაჩუქარი, ყველაფერი დაალომბარდე და ფული გამომიგზავნეო, შეშინებულმა დაიკომ მეორეჯერ აღარ დაარეკინა თათეშკას და მგონი თავისი ნივთებიც ლომბარდს მიაყოლა. პოლიციამ რატომღაც დამიკიდა, სამაგიეროდ ბუმუხბეს ბიჭები მოვიდნენ თავის დროს, ხილი და ფორთოხლის წვენები ამომიტანეს, თვალებს არ ვუჯერებდი, სად არის ჩვენი ფულიო. დარომ მიაწოდა, გადათვლა ჭირდებაო, ზუსტადაა და ეგ არის რაც დამრჩა-მეთქი. რომ მოგვატყუო წვენებით აღარ ამოვალთ ხომ იციო. ვიცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი. წავიდნენ. დავრჩით მე და დარო

ყველაფერი დამთავრდაო

იმედია-მეთქი...

სინამდვილეში არაფერი დამთავრებულა

კოკლიანი მოვიდა, რაღაც დოკუმენტები გამიშალა ცხვირწინ და შენი ხელმოწერა მჭირდებაო

რაზე უნდა მოვაწერო ხელი-მეთქი

რომ ჩვენი შპს უარს ამბობს სტადიონზეო

რატომ-მეთქი

რა რატომ? აბა რა ჩემს ფეხებად გვინდა ეგ სტადიონი, ფული მაინც არ გვაქვს და ველარაფერს ავაშენებთ, პლიუს ამას რუსები მაწვებიან გაყიდე და ფული დაგვიბრუნეო

რუსები ყლეს ვერ მოგვჭამენ-მეთქი

ზუგდიდსკი გაიშარებაო

არ გაიშარება, ოფიციალურად ხომ ყველაფერი წესრიგშია-მეთქი

კი, რაც გადმორიცხეს ყველაფერი გახარჯული მაქვს და ყველაფერზე საბუთი მაქვსო

აბა რა გინდა-მეთქი - კოკლიანმა მურტლად შემომხედა, აშკარად რაღაც ჩათლახური ქონდა მოფიქრებული და ეგონა ადვილად გამაცურებდა, ჩემი ფეხები!

ძმობას გაფიცებ მომიწერე ხელი, დირექტორი შენ ხარ და შენი ხელმოწერა უეჭველი მჭირდებაო

რატომ-მეთქი - პაუზა აილო, აწონ-დაწონა ღირდა თუ არა ყველაფრის ბოლომდე თქმა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ უნდა ეთქვა -

ხახვივით შეგვრჩება ეგ სტადიონი და რატომ, როცა შეგვიძლია, მაგ ადგილას საკაიფო კორპუსი ჩამოვჭიმოთ, ფული გავტეხოთ, ხუთ პროცენტს მოგცემ, იცი რამხელა კუშზეა ბაზარიო

რა ხუთ პროცენტს, მარაკანა გინდა დაანგრიომეთქი

ტოუჟე მნე მარაკანაო

რა ტოჟე მნე, რეებს მებაზრები-მეთქი

რამდენი გინდა პირდაპირ თქვიო

რა რამდენი მინდა შენ შიგ ხომ არ გაქვს-მეთქი

ნუ გაართულებ ძმობას გაფიცებო

რომელ ძმობას მეფიცები, მთელი ცხოვრება სადაც მაქვს გატარებული იმ სტადიონის დანგრევა გინდა და კიდევ ძმობას მეფიცები-მეთქი

მაგრად ატრაკებ ეხლა, მომიწერე ხელი გეხვეწები, სასამართლომდე ნუ მიიყვან საქმესო

რა სასამართლომდე ხომ არ უბერავ-მეთქი

ხო იცი რომ მაინც მოვიგებო

ყლეს ვერ მომჭამ-მეთქი, ძაან გადაიჯვით ბიჭო უკვე თავზე, ხომ არ უბერავთ-მეთქი, წამოვუხტი და ყვირილი დავუწყე, ეს ქვეყანა თქვენი გგონიათ, რაღაცას მიაღწიეთ და გგონიათ, რომ ყველაფერი შეგრჩებათ-მეთქი, ჩემი ფეხები, გინდა სასამართლოში იჩივლე და რაც გინდა ის ქენი, მთელი მამაშენის მაფია და ბიძაშენის კრიმინალები რომ დამახეიო თავზე, ყლეს ვერ მომჭამ გაიგე-მეთქი? არაფერზე ხელს არ მოგიწერ და ეხლავე გააჯვი აქედან-მეთქი.

კოკლიანი ცივად ადგა და წავიდა. დარო გაკვირვებული მიყურებდა.

ეგრე არ გამოვა-მეთქი, კოკლიანის მამის და ბიძისნაირებმა ბავშვობა დამინგრიეს და ეხლა მაგათ შვილებს უნდათ გადარჩენილი ნანგრევების წაღება. ეგრე არ გამოვა, ძმაო, ეგრე არ გამოვა, არაფრით. მაგათი არ არის ეს ქვეყანა. არა, ქვეყანა შეიძლება იყოს, მაგრამ მარაკანა არა, მარაკანა ჩემია, ჩემი! მე ვცხოვრობ მარაკანათი და მე ვარ მარაკანა, მარაკანას თუ დაანგრევენ მეც დამანგრევენ და მე მეყო ნგრევა-მეთქი. იდეები გვქონდა გესმის, ოცნებები, რაღაცის, რაღაც კარგის გაკეთება გვინდოდა ბავშვებისთვის, რომ ჩვენნაირები არ გამოსულიყვნენ, ჩვენნაირი მახინჯები და ამან კიდე, ამ იმბეცილმა, კორპუსი ავაშენოთო! კორპუსიო! ვისთვის? ისევ კოკლიანისნაირებისთვის, ახოსპირელისნაირებისთვის, ბუმუხბესნაირებისთვის, ვილაც განდონებისთვის, რომლებმაც ჩვენი ბავშვობა წაიღეს, წაიღეს და ისეთი დამახინჯებული დაგვიბრუნეს, როგორიც ჩემი სახეა ეხლა! ეგრე არ გამოვამეთქი ამათი დედა მოვტყან! ეგრე არაფრით არ გამოვა, ქვეყანას ხომ ანგრევენ, მაგრამ მარაკანას ვერა, ვერ დაანგრევენ, ვერ წაიღებენ, ვერ დამალავენ-მეთქი

დარო მომიახლოვდა და ჩამეხუტა - მე შენ გვერდით ვარო და ძალიან მიყვარხარო, მეც მიყვარხარმეთქი, ხომ ფეხებს ვერ მოგვჭამენ-მეთქი

ფეხებს ვერ მოგვჭამენო

მარაკანას ვერ დაანგრევენ-მეთქი

ვერაო...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კატო ჯავახიშვილი

## ამბავი ჩვენზე, კიბეებზე, მოაჯირებსა და ხურჯინებზე

თუ ჩვენი დაბადება არავის უნდოდა,
გარდა შვილებისა, გარდა ჩვენი საკუთარი შვილებისა,
რომლებიც მდინარეებივით მოედინებოდნენ ჩვენი მეხსიერების
მომავლის ხეივნებში,
მაშინ, როცა ამ ხეივნების ქვეშ,
მორყეული მოაჯირების ქვეყანაში
ნაქურდალი სიყვარულებით გულში
ვისხედით ჩვენ,
ჩვენ, ვინც უკვე დავბრუნდით საკუთარი გამოცდილებებიდან
და მარტოობებიდან
და სიყვარულებიდან
და ვერაფრით ვისწავლეთ,
ლოცვა-დარიგებებით არ ამოგვევსო მათი ცხოვრება,
მათი, ვინც მარადიული მოწყენილობისთვის გავიმეტეთ
და არც კი გვიფიქრია, რომ მოწყენილი ადამიანების ცხოვრება
ხშირად სინამდვილიდან გაქცევას გავს,
სინამდვილიდან, რომელიც ჩვენვე მოვიგონეთ,
რადგან ზოგჯერ ერთი ღამე იმსიმძიმე იყო
ჭიანჭველებივით პურის ერთ ნამცეცს მთელი მარტოობა ვეზიდებოდით
საჩვენო ყოფიერების მონაცვლეობისაკენ
და ამ მარტოობით ვავსებდით სიცარიელის ორმოს,
სადაც ერთი პური იმდენი იყო
მთელი კაცობრიობის შიმშილი მის ერთ ნაჭერზე ეტეოდა
და ისეთი ხმელი, -
უსახლო ქალაქების სინანული ვერაფრით ალბობდა.
ჰოდა, ჩვენც ყბაჩაცვენილი მოლოდინები
ნაკლულთვალიანი მონატრებები
ცხრაგულა მზეები
მორყეული მოაჯირების ქვეყანაში უხმოდ ვიდექით და
ხმელ სიტყვებს მორჩილად ვლოღნიდით,
რომ ერთხელ, პირამდე გატიკნულებს
ბოლომდე მაძღრად მყოფებს
ერთი მაგრად ამოგვეხავლა:
ეს კიბეებია.
კიბეები, რომლებზეც ვეცემით.
კიბეები, რომლებიც მარტოობის პროსპექტებსა და
ყინულის მოედნებს ერთმანეთისგან აშორებენ.
კიბეები, რომლის იქითაც სწორი გზაა, მაგრამ ვერაფრით მივაღწიეთ.
კიბეები, რომლებზეც ერთმანეთის შეცდომები გავითვალეთ.
კიბეები, რომლებმაც დაგვღალეს.
კიბეები, სადაც ბნელა,
სადაც შეიძლება ერთმანეთს ხელი ვკრათ,
თუნდაც იმიტომ, რომ ბანკომატთან პირველები მივიდეთ,
თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვა „სამშობლო" პირველებმა ამოვიღმუვლოთ,
თუნდაც იმიტომ, რომ ყინულის მოედანზე სრიალი უფრო ადვილია,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე გზა, რომელსაც გავდივართ.
ეს კიბეებია.
კიბეები, სადაც გვიყვარს.
სადაც შეგვიძლია მოაჯირს დავეყრდნოთ და ერთმანეთს თოვლი შევაორთქლოთ.
კიბეები, სადაც არ ვუყვარვართ.
სადაც შეგვიძლია დავიმალოთ და უშუქო სადარბაზოებში ნაფეხურები დავატოლოთ.
ეს კიბეებია.
კიბეები, სადაც ჩვენი დაუბადებელი შვილები მომავალში გველოდებიან.
კიბეები,სადაც ერთხელაც დავბრუნდებით და გაგვახსენდება,
რომ:
ცხრა კიბის იქით გვიყვარდა.
ცხრა კიბის იქით გვენატრებოდა.
ცხრა კიბის იქით ვეხმარებოდით.
ცხრა კიბის იქით ვცდებოდით.
ცხრა კიბის იქით ვიბადებოდით.

კიბის თავზე კი სხვისი კატა გაუთავებლად კნაოდა.

ეს მოაჯირებია.
მოაჯირები, რომლებიც დაგვჭირდა.
მოაჯირები, რომლებსაც დავჭირდით.
მოაჯირები, რომლებიც მდინარეების სიმღერაზე მიაბიჯებენ.
მოაჯირები, საიდანაც შეცდომების გამოსწორება იოლია.
მოაჯირები, რომლებიც გვყოფენ ჩვენ, გმირებად და გმირობის გამომგონებლებად.
მოაჯირები, რომლებზეც უსაქმური თოვლი დასეირნობს
და შეუძლია ნაფეხურების გარეშე დადნეს.
მოაჯირები, საიდანაც სინანულის ჩიხი ახლოსაა და
თავისუფლება კი ძალიან შორს.
მოაჯირები, რომლებსაც ვებღაუჭებით, როცა სიცოცხლე
ერთი სარეცხის გარეცხვაღა რჩება.
მოაჯირები, საიდანაც ჩანან ჩვენი გულამოცლილი დედები,
მიტოვებული სიზმრებიდან თვალებამოწეულები
და მონატრების სარეცხს რეცხავენ.
ცხრა მოაჯირის აქეთ გვიყვარდა.
ცხრა მოაჯირის აქეთ გვენატრებოდა.
ცხრა მოაჯირის აქეთ ვეხმარებოდით.
ცხრა მოაჯირის აქეთ ვცდებოდით.

ცხრა მოაჯირის ქვეშ კი ჩვენი ცხოვრება ჩვენს გარეშე მისეირნობდა.
ეს ხურჯინებია.
ხურჯინები, რომლებიც აგვკიდეს.
ხურჯინები, რომლებიც სხვებს შევაჩეჩეთ.
ხურჯინები, რომლებიც მოდიდან გადავიდა.
ხურჯინები, რომლებშიც ვერაფრით მოვთავსდით.
ხურჯინები, რომლის იქითაც სხვისი შვილები
მეზობლის ყანიდან სიმინდს იპარავენ.
ხურჯინები, რომლის გამოც ერთმანეთი თანდათანობით გაგვისხვისდა.
ხურჯინები, საიდანაც მოპარული სახლის სახურავები ბოლავს
და მეზობლები ზედმეტი ჟანგბადისგან იხრჩობიან.
ხურჯინები, რომლებშიც პეპლების მაგივრად ბუზები ვაგროვეთ.
ხურჯინები, სადაც რიყის ქვები მდინარეებივით ჩხრიალებენ.
ხურჯინები, რომელშიც ადამიანური პოვნები გადავმალეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა ხურჯინის შიგნით გვიყვარდა.
ცხრა ხურჯინის შიგნით გვენატრებოდა.
ცხრა ხურჯინის შიგნით ვეხმარებოდით.
ცხრა ხურჯინის შიგნით ვცდებოდით.

ცხრავე ხურჯინი ჩვენი ცხოვრებიდან დავბერტყეთ და გზას გავუძნელდით.

ჰოდა, ჩვენც ყბაჩაცვენილი მოლოდინები,
ერთხელ,როცა მივუბრუნდებით ჩვენს ცხოვრებებს
და იქ ფეხის მოსანაცვლებელი ადგილიც აღარ დაგვხვდება
როცა თითის წვერებზე ავიწელებით და
უხერხულად გადაგრეხილ კისრებს ერთმანეთის ზურგებში შევმალავთ
როცა ენიდან რიგრიგობით დაგვცვივდება სხვების ცხოვრების ამბები
ამბები, რომლებშიც ჩვენ ვიცხოვრეთ, დავიღალეთ
და მოჭმუჭნულსახეებიანებს სიბერე დაგვავიწყდა
სიბერე, რომელიც უფრო მეტი ცხოვრებისეული სიკეთეა
ვიდრე ქრონიკული ახალგაზრდობა
და ამ უმნიფარი ახალგაზრდობის შემთხვევითობაში გადარჩენილებს
ერთხელაც გაგვახსენდება
რომ ვიცხოვრეთ მარადიულ აბსურდში
და ეს მარადიულობა
მხოლოდ სხვების ნაცვლად სიყვარულს, სიძულვილს
კარის გახსნას და დახურვას კი არ გულისხმობდა
არამედ გულისხმობდა ძვალგამოცლილ საკუთარ თავს
რომელშიც ვერაფრით მოვთავსდით ისე
რომ ჩვენ-ჩვენ „ოთახებში"დავრჩენილიყავით
და ერთხელ, უცებ, ამ მარადიულ სისულელეში
გავხდებით ისეთი გასაოცრად ჭკვიანები
და მრავალჭირგამოვლილები
რომ საკუთარი გამძლეობა თვალების ბუდეებიდან გადმოვარდნამდე გაგვაოცებს
და ფეხისმოუნაცვლებლად
საკუთარ ცხოვრებაზე გადაბიჯებით ვიტყვით:
არსებობენ: კიბეები. მოაჯირები და ხურჯინები.
არსებობენ მორყეული მოაჯირების ქვეყნები და ამბები.
არსებობენ დაბადებული და დაუბადებელი შვილები.
არსებობენ დაბადებული და დაუბადებელი საკუთარი თავებიც.
კიბეების, მოაჯირების და ხურჯინების მოლოდინები.
კიბეების, მოაჯირების და ხურჯინების მონაცვლეობები.
კიბეების, მოაჯირების და ხურჯინების ცხოვრებები,
სადაც მთელი კაცობრიობის შიმშილი პურის ერთ ნაჭერზე ეტევა
და სადაც ვდგავართ ჩვენ,
ყბაჩაცვენილი მოლოდინები,
ჩვენ, ვისი დაბადებაც არავის უნდოდა,
გარდა შვილებისა,
გარდა ჩვენი საკუთარი შვილებისა,
რომლებიც მდინარეებივით მოედინებოდნენ
ჩვენი მეხსიერების მომავლის ხეივნებში
ისიც იმიტომ,
რომ მერე, ბევრი წლისა და მარტოობის შემდეგ,

თავად დაბადებულიყვნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კობაიძე

# მაია ბადრიძე - როცა მწერალს უტოლდები



ზუსტად არ მახსოვს, 2002 ან 2003 წელი იქნებოდა, თამარ ლებანიძეს ინტერვიუს ჩასაწერად კეკელიძეზე, „დიოგენეს“ ძველ ოფისში ვსტუმრობდი. საუბრის დასრულების შემდეგ ჩემმა რესპონდენტმა გამომცემლობის ახალი წიგნებიდან ერთ-ერთის არჩევა შემომთავაზა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, გივი მარგველაშვილის „მუცალი“ იყო. თარგმანი მაია ბადრიძეს ეკუთვნოდა, რომლისთვისაც ეს პროფესიული დებიუტი გახლდათ. იმ პერიოდში მისი სახელი ლიტერატურის მოყვარულებს ბევრს არაფერსეუბნებოდა, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ მუზილისა და იუნგის ტექსტებით კიდევ უფრო კარგად გაიცნო მკითხველმა მაია ბადრიძე. ეპოქალურ „უთვისებო კაცს“ და არანაკლები მნიშვნელობის იუნგის ტექსტებს ავსტრიული ლიტერატურის კიდევ ერთი მძიმეწონოსანი -ჰერმან ბროხი მოჰყვა: რომანი-ტრილოგია „მთვარეულები“ მკითხველმა ქართულ ენაზე რამდენიმე თვის წინ იხილა. მათი თარგმნისთვის ავსტრიის მხარემ პრესტიჟული ჯილდო – ბუნდესკანცლერის პრემია მიანიჭა. ქართულ რეალობაში „გალას“ ფლობს, თუმცა ეს ყველაფერი სიმბოლურია. ვერცერთი პრემია ვერ გადაწონის „უთვისებო კაცზე“ მუშაობისას გამოვლილ შვიდწლიან ჯოჯოხეთს, რომელიც ეგონა, არასოდეს დასრულდებოდა; იუნგის თითოეულ ნაშრომში ჩაღრმავებისა და მისი ენის „შექმნის“ დამქანცველ პროცესს; ბროხის „ღირებულებათა რღვევის“ გაურკვევლობას და ქაოსს, მთვარეულის ბოდვას რომ ჰგავდა... განვლილი გზა წარმოუდგენლად რთული იყო, თუმცა სიძნელეებმა პროფესიულად გაზარდა და გამოაწრთო. დღეს ამ ხელობის საიდუმლოებს ახალგაზრდა მთარგმნელებს უზიარებს და მათგანაც ბევრს სწავლობს. მაია ბადრიძე საკუთარი თავისა და შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ „არილის“ მკითხველს უამბობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დაგვიანებული „მუცალი“

სხვა მთარგმნელების მსგავსად, მისი ცხოვრებაც ტექსტებისგან შედგება. ერთგვარი ფაზლია - თარგმნილი წიგნებით აწყობილი. ამ თამაშში დიდი ხნის წინ ჩაერთო. პირველად იყო „მუცალი“ - ცნობილი მწერლის, ფილოსოფოსისა და დისიდენტის, გივი მარგველაშვილის რომანი. „მე წიგნის პერსონაჟი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვცხოვრობ და მხოლოდ წიგნის ორ ყდას შორის გამომწყვდეულს შემიძლია არსებობა" - ასე იწყებოდა ნაწარმოები, რომელმაც პირველივე სტრიქონებიდან მონუსხა და მისი, როგორც მთარგმნელის მომავალი განსაზღვრა.

*„ჩემი მთარგმნელობა იმ ცივ და გაყინულ 90-იან წლებში ძალზე სპონტანურად დაიწყო. მთელი სტუდენტობა გივი მარგველაშვილის სახელი მესმოდა. ეს იყო ადამიანი-ლეგენდა, რომელიც მითიებით ცხოვრობდა ამ ქალაქში. თითქმის არავის ენახა. დადიოდა ხმები, რომ არაჩვეულებრივ და უცნაურ ნაწარმოებებს ქმნიდა, თუმცა არც ისინი წაეკითხა ვინმეს. ანკი როგორ უნდა წაგვეკითხა, როცა ბატონი გივი გერმანულად წერდა, მისი ტექსტები კი მხოლოდ ხელნაწერების სახით არსებობდა. წიგნებად 90-იანების ბოლოს გამოიცა, მას შემდეგ, რაც გერმანიის მოქალაქეობა დაუბრუნეს და საქართველოდან წავიდა. საოცრად ტრაგიკული ბედის ავტორია. საერთოდ, ტრაგიზმი იმ თაობის დამღა იყო, მაგრამ გივი მარგველაშვილი მათ შორისაც გამოირჩეოდა. ეს ხვედრი მისმა წიგნებმა, უფრო სწორად, ხელნაწერებმაც გაიზიარეს - ხან „კაგებე“ აპატიმრებდა, ხან თავად უწევდა მათი უჯრაში გამომწყვდევა".*

70-იანი წლების დასაწყისში თბილისს ჰაინრიხ ბიოლი სტუმრობდა. „კაპიტან ვაკუშით" აღფრთოვანებულს ხელნაწერის წაღება უნდოდა, თუმცა მასთან შეხვედრამდე საბჭოთა დაზვერვამ გივი მარგველაშვილს ტექსტი დროებით ჩამოართვა, რათა ბიოლის დახმარებით დასავლეთში არ გაეღწია. მწერლის ნააზრევმა წლების შემდეგ მაინც იხილა დღის სინათლე.

*„როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, ვთხოვე ალეკო კარტოზიას, ბატონი გივის რომელიმე წიგნი მოეწოდებინა. მომიტანა გერმანიაში გამოცემული „მუცალი“. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, ემოციისგან დასაცლელად სასწრაფოდ თარგმნას შევუდექი. ეს გახლდათ ჩემი პირველი შეხება თარგმანთან, ერთგვარი ნათლობა თუ ამაზე სერიოზულად დაფიქრების პერიოდი.*

*სულ ვამბობ, რომ „მუცალი“ ერთ-ერთი უიღბლო ნაწარმოებია, რომელმაც დიდი ხნით დაიგვიანა. წარმოიდგინეთ 60-იანი წლების პოსტმოდერნიზმი. იმ პერიოდში ასე არავინ წერდა. მსგავსი რამ არათუ საბჭოთა კავშირში, ევროპულ ლიტერატურაშიც არ მახსენდება. არადა, 90-იანებში, როდესაც წიგნად გამოიცა, უამრავი ასეთი ტექსტი არსებობდა (ეს მის მხატვრულ ღირებულებას ოდნავაც არ აკნინებს)".*

მათი ურთიერთობა უცნაურად დაიწყო. თარგმნიდა, მაგრამ ოფიციალური უფლება არ ჰქონდა. ურჩიეს, ავტორს დაკავშირებოდა. იმ პერიოდში ბატონი გივი თბილისში გეგმავდა ჩამოსვლას და შეხვედრა აქ დაუთქვა. გულგახეთქილი მივიდა ნყნეთის ქუჩაზე, სადაც მწერალი ცხოვრობდა - ხუმრობა ხომ არ იყო, შეფასება ცოცხალი ლეგენდისგან უნდა მოესმინა!

*„თავს ვიმშვიდებდი, კულტურული ადამიანია და თუ არ მოეწონება, ზრდილობიან უარს მეტყვის-მეთქი. დავიწყეთ კითხვა. ჩავათავეთ ერთი გვერდი, მეორე... უცებ ყვირის: - დაიბადა, დაიბადა მუცალი! ქართულად ზუსტად ასე დავწერდიო. ასეთ რეაქციას არ ველოდი და რასაკვირველია, ძალიან გამიხარდა. ეს იყო მწვანე შუქიც, შეგულიანებაც და დასტურიც, თარგმნა გამეგრძელებინა".*

ტექსტზე წელიწადნახევარს იმუშავა. 2002 წელს „მუცალი“ „დიოგენემ“ გამოსცა. წიგნის პრეზენტაცია მაშინდელი ნაცრისფერი, ჩაყამებული თბილისის კულტურულ ცხოვრებაში ნამდვილ ზეიმად იქცა. გივი მარგველაშვილი გოეთეს ინსტიტუტმა ჩამოიყვანა და ბოლოსდაბოლოს, ყველამ იხილა განსხეულებული მითი.

### კულტურული სიმბოლოები

მუზილის თარგმნა თამარ ლებანიძემ შესთავაზა. თავად ასეთ „მონსტრთან“ შეჭიდება აზრადაც არ მოუვიდოდა - ურთულესი ტექსტია. რამდენჯერმე თავის დანებებაც დააპირა, თუმცა უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. ეს არ არის რიგითი რომანი. „უთვისებო კაცი" ერთგვარი კულტურული სიმბოლოა, რომელიც ნებისმიერ თავმოყვარე ერს თავის ენაზე უნდა ჰქონდეს. წიგნი ძალზე ვიწრო აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი. ხუმრობენ კიდეც, მხოლოდ მთარგმნელი და რედაქტორი კითხულობენო, თუმცა, მისდა გასაკვირად, ქართველმა ინტელექტუალებმა წაიკითხეს. თანაც იმაზე მეტმა, ვიდრე ელოდა.

*„გერმანულენოვანი მკითხველისთვის „უთვისებო კაცი" იგივეა, რაც ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი." რამდენიმე წლის წინ, როდესაც თარგმნა დაწყებული არ მქონდა, ამ ტექსტის იუბილეზე დამპატიჟეს. საოცარი ხალხი იყო შეკრებილი, უმაღლესი რანგის პროფესიონალები. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ვიყავით მხოლოდ მე და, რასაკვირველია, სოლომონ აპტი, რომელმაც გენიალურად თარგმნა რომანი რუსულ ენაზე. საოცარი რეაქცია ჰქონდათ, როდესაც გაიგეს, რომ თარგმნას ვიწყებდი. ერთმანეთს ჩემზე ანიშნებდნენ, იცინოდნენ და ამბობდნენ, არ იცის, წინ რა ელისო. მერე ამიხსნეს, რომ მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში სრულიად ახალი ეტაპი იწყებოდა: შემეცვლებოდა ნივთიერებათა ცვლა, ცხოვრების რიტმი და სხვა ყველაფერი დამავიწყდებოდა...".*

„ავანტიურა“, რომელშიც ნებაყოფილობით ჩაერთო, შვიდ წელიწადს გაგრძელდა. *„ეს მთელი ცხოვრებაა, მაგრამ სხვანაირად შეუძლებ-*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ლია - ადამიანი ხარ და ილევი. დროდადრო ტექსტისგან დისტანცირება გჭირდება, იმიტომ, რომ უბრალოდ, აღარ გესმის, რას აკეთებ. გერმანულ ენას რთული სინტაქსი აქვს, აქ კი ეს ყველაფერი განსაკუთრებულ ხარისხშია აყვანილი. წარმოგიდგენიათ გვერდნახევრიანი წინადადებების თარგმნა, სადაც ორად ორი შმნაა? ქართული ენა მსგავს კონსტრუქციას ვერ იტანს, მისი დანაწევრება კი სრულიად არღვევს მწერლის რიტმს, სტილს და ინტონაციას - „დეტალებს," რაც ჩვეულებრივ ტექსტს მხატვრულ ნაწარმოებად აქცევს. ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი. ვამბობდი, თუ კაცი ამას გადაიტანს, რაღამ უნდა მოკლასმეთქი?! ერთადერთი, გერმანელ კოლეგებთან ურთიერთობა მშველოდა - საათობით ვსაუბრობდით ყოველ პასაჟზე".*

სირთულეების მიუხედავად, ბედნიერია, რომ ამხელა საქმეს შეეჭიდა. გერმანულენოვან ლიტერატურაში უფრო დიდი რომანი არ არსებობს.

*„ის ფაქტი, რომ ასეთი ტექსტი ენობრივ სივრცეში სწორედ შენი თარგმანით შემოდის, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, ამიტომ თითოეულ ნიუანსს გამადიდებელი შუშით ვაკვირდებოდი, ვხვეწდი და ვამუშავებდი. თარგმანში ერთი სიტყვაც არ არის შემთხვევითი".*

„უთვისებო კაცის" პირველი ტომი 2008 წელს გამოიცა და ლიტერატურული პრემია „გალათი" აღინიშნა, 2012-ში კი მეორე ტომმა იხილა ნათელი, რითაც მაია ბადრიძის შვიდწლიანი ეპოპეა მუზილის სამყაროში დასრულდა. მთარგმნელმა ესტაფეტა მკითხველს გადაულოცა, რომელსაც წინ ურთულესი, ამავე დროს, თავბრუდამხვევი ინტელექტუალური თავგადასავალი ელის. „უთვისებო კაცი" მკითხველისგან ისეთსავე გამბედაობას ითხოვს, როგორსაც მოსალოდნელი ხიფათი და სიძნელეები მსოფლიოს გარშემო მოგზაურისგან" - ვკითხულობთ ანოტაციაში. თუმცა სიტყვა „გამბედაობა" მოვლენის არსს ბოლომდე ვერ გადმოსცემს. ამ წიგნის წაკითხვა და მისი ადეკვატურად გააზრება არანაკლები გმირობაა (ასე შეაფასა მაია ბადრიძის შრომა რამდენიმე წლის წინ მალხაზ ხარბედიამ), ვიდრე მისი თარგმნა (რა თქმა უნდა, გაცილებით მცირე მასშტაბის). „უთვისებო კაცის" ქართული თარგმანი ავსტრიულმა მხარემ შარშან ავსტრიის ბუნდესკანცლერის პრემიით აღნიშნა.

## მუზილის ქვედინებები

„უთვისებო კაცი" იმდენად მასშტაბური ნაწარმოებია, გერმანისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები 2 სემესტრის განმავლობაში სწავლობენ. მასში წამოჭრილ სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ საკითხებზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, თუმცა არსებობს ძირითადი თემები, რომლებიც რომანის მდინარებას განსაზღვრავს. ავტორი ორ მთავარ კითხვას სვამს: როგორია ადამიანი თანამედროვე, მოდერნული ეპოქის შუქზე და რა დამოკიდებულება აქვს რელიგიურ რეალობასთან? ამ უკანასკნელს ტოპოსი „სხვა მდგომარეობა" გამოხატავს. სწორედ სხვა მდგომარეობის, როგორც ნამდვილი, რეალური „მეს" მუდმივი ძიების მცდელობაა მთელი ეს ტექსტი. ძალიან უცნაური, წმინდად მეტაფიზიკურია ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ულრიხის დიალოგები თავის დასთან, რომელთა გამეორება შეუძლებელია. ერთგან უხსნის, რომ მეცნიერების არსი მოვლენების დაშლასა და მათ მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვად აღქმაში მდგომარეობს. ასეთივე დაშლის პროცესი შეეხო სულსაც, ანუ ოდესღაც მთლიანი დღეს დაიშალა და ცვლადი სიდიდეების სისტემად გვევლინება. საერთოდ, მუზილს მიაჩნია, რომ ყოველგვარ კულტურულ და ისტორიულ სხვაობას მიღმა არსებობს ანთროპოლოგიურად მდგრადი „მე," რომელიც ყველასთვის საერთოა. მოცემული ეპოქისა და საზოგადოების მხრიდან სხვადასხვა სახის ცვლილების შედეგად ვიღებთ სხვადასხვა (ელინური, ჩინური, ევროპული და ა.შ.) მენტალობის ადამიანებს. ანალიზური პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უნივერსალური „მე" გავმიჯნოთ ისტორიულისგან, რომელსაც კონკრეტული ეპოქა და საზოგადოება აყალიბებს. ამ ყველაფრის შემდეგ, რაღაც ეტაპზე ავტორი გვეუბნება, რომ ეს „მე" საერთოდაც ილუზიაა. თავად ამას „ხვრელს" (Loch) ეძახის, რომლის ამოვსების საუკეთესო საშუალებად იდეალებს და მორალს მიიჩნევს (რა თქმა უნდა, ირონიით).

„უთვისებო კაცში" მუზილი ადამიანის 9 თვისებაზე საუბრობს: სქესობრივ, სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და ა.შ. საუკუნეების განმავლობაში ჩვენი წინაპარი სხვადასხვა სოციალურ ფუნქციას (მაგალითად, არისტოკრატის) ირგებდა და მთელი ცხოვრება მისი გავლენის ქვეშ იყო. თანამედროვე ეპოქაში პიროვნება დადგენილი ჩარჩოებიდან გამოდის - ეძებს და ანაცვლებს უამრავ როლს, რომელთაც, შესაძლოა, ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდეთ. სწორედ ეს არის ფრაგმენტიზაცია, როდესაც მთლიანობის აღქმა დარღვეულია. ერთგან წერს კიდეც, რომ ულრიხის თვისებები მისგან დამოუკიდებლად არსებობდა და ერთმანეთთან უფრო მეტი კავშირი ჰქონდა, ვიდრე თავად ულრიხთან. გარკვეული ირონიაა თავად რომანის სახელწოდებაშიც. ზოგადად ტექსტი ძალზე ღრმა და მრავალმხრივია. ეს არ არის მკითხველის კომფორტისა და სიამოვნებისთვის დაწერილი ნაწარმოები. პირიქით, გაიძულებს მუდმივად დაძაბული და მობილიზებული იყო. *„გერმანიაში მუზილს თომას მანზე ბევრად ღრმა ავტორად მიიჩნევენ. ჩვენთან მანი უფრო პოპულარულია. შესაძლოა, იმიტომ, რომ მუზილი თარგმნილი არ იყო. თუმცა ვეჭვობ, ოდესმე პოპულარული მწერალთა რიგებში აღმოჩნდეს, რადგან ძალიან რთულ თემებზე წერს. ამ მხრივ ბროხს უფრო ენათესავება, იმის მიუხედავად, რომ სრულიად სხვადასხვა ტიპის მწერლები არიან. მათ ერთი და იგივე საკითხი აერთიანებთ - თანამედროვე ადამიანის რღვევისა და*

ეროვნული ბიბლიოთეკა

განადგურების პროცესი, თუმცა პრობლემის ხედვა და გადაჭრის გზები განსხვავებულია".

## მითების ნგრევა

მთარგმნელობითი საქმიანობა ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია: ათწლეულების მანძილზე საბჭოთა სივრცეში ჰერმეტულად ჩაკეტილებს მთელმა რიგმა ლიტერატურულმა პროცესებმა ისე ჩაგვიარა, მათი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდით. ჟანრები არ გვქონდა, რომ არაფერი ვთქვათ სამეტყველო ენაზე. გაჩნდა დიდი სიცარიელე, რომელიც უნდა ამოივსოს. ეს სირთულე მისთვის თვალშისაცემი იუნგის თარგმნისას გახდა. „საზოგადოდ, აზროვნების ყველა სფეროს თავისი სამეტყველო ენა აქვს, მათ შორის, ფსიქოანალიზსაც. ჩვენ ეს ენა არ აღმოგვაჩნდა და არც არის გასაკვირი - როგორ უნდა შეგვექმნა ენობრივი ქსოვილი, როდესაც ამაზე არ გვიფიქრია, გვიწერია და გვიაზროვნია?! ფაქტობრივად, ყველაფერი ნულიდან დავიწყე. დაახლოებით ისეთი განცდაა, თითქოს პირველად ნახულობ წითელ ფერს და შთაბეჭდილება სხვასაც უნდა გაუზიარო. სიბნელეში ხელების ფათურს ჰგავს, როცა საგნის არსში გარკვევას ინსტინქტის დონეზე ცდილობ".

იუნგზე მუშაობას სხვა სირთულეებიც ახლდა: ეს არ არის სამეცნიერო ტექსტები ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, უფრო სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებებია. განსაკუთრებით საინტერესო იყო ბოლო წიგნი - „პასუხი იობს," რომელმაც წამლეკავი ლიტერატურული შთაბეჭდილება მოახდინა (ეს მხოლოდ მისი აზრი არ არის). „მიხარია, რომ დავანგრიეთ სტერეოტიპი რუსული თარგმანის უპირატესობის შესახებ - მითი, რომელიც ჩემში საოცარ მრისხანებას იწვევდა. ქართულ ენას ხომ ნებისმიერი აზრის გადმოცემა შეუძლია! უზარმაზარი პოტენციალი გვაქვს, უბრალოდ, შესაბამისი თარგმანები არ არსებობდა. რასაკვირველია, იყო გამონაკლისებიც, თუნდაც დავით წერედიანის და ვახუშტი კოტეტიშვილის სახით, თუმცა ეს ზღვაში წვეთი გახლდათ და სრულებით ვერ ასახავდა მსოფლიო ლიტერატურის მაჯისცემას. ერთი სიტყვით, კლიშე აღარ არსებობს და დასტურად ისიც კმარა, რომ მკითხველმა იუნგი ქართულ ენაზე აღმოაჩინა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მშობლიურ ენაზე მიწოდებულ ხარისხიან თარგმანს სულ სხვა ემოციური შეფერილობა ახლავს. მკითხველის უმეტესობა ლიტერატურულ ნაწარმოებს მთელი სიღრმით მხოლოდ საკუთარ ენაზე აღიქვამს და არც არის გასაკვირი - ენა ხომ სრულიად ირაციონალური ფენომენია, რომელიც ადამიანში ლამის გენეტიკურ დონეზე დევს. არსებობენ გამონაკლისებიც, მაგალითად, სალმან რუშდი და ვლადიმირ ნაბოკოვი, რომელთათვისაც ინგლისური ენა მშობლიური არ იყო, თუმცა ეს ერთეულთა ხვედრია".

## მთვარეულობის განცდა

შარშან „დიოგენემ" მისი კიდევ ერთი თარგმანი გამოსცა - გასული საუკუნის დასაწყისის ავსტრიელი მწერლის, ჰერმან ბროხის პირველი რომანი-ტრილოგია „მთვარეულები," რომელიც ავტორმა 45 წლის ასაკში გამოაქვეყნა. მართალია ბროხს ცხოვრების მთავარი წიგნი - „ვირგილიუსის სიკვდილი" ჯერ კიდევ წინ ჰქონდა, მაგრამ აქაც შესანიშნავად ჩანს მისი გაქანება და აზროვნების მასშტაბი. XIX საუკუნის დასასრულისა და XX-ს დასაწყისის გერმანიის მაგალითზე მწერალმა ეპოქათა ცვლის მტკივნეული პროცესი გააანალიზა და ის ტრაგიკული მომავალიც განჭვრიტა, რომლის წინაშეც კაცობრიობა ევროპულ და ზოგადად, დასავლურ ფასეულობათა სისტემის რღვევისა და ცვლილების შემდეგ აღმოჩნდებოდა.

„მთვარეულები" ჩემი არჩევანი იყო. გარდა იმისა, რომ საოცრად მომწონს, ერთ-ერთი საეტაპო ტექსტია და მინდოდა, ქართულ ენაზე ყოფილიყო. სათარგმნადაც საინტერესო გამოდგა. ზოგადად, თარგმნის პროცესი უცნაური რამ არის. ფაქტობრივად, მწერალს უტოლდები. ეს თუ არ გააცნობიერე, კარგი თარგმანი არ გამოგივა. ყოველ ახალ ავტორთან შეხვედრა ახალი სირთულეა, თითქოს ყველაფერს ნულიდან იწყებ. არა აქვს მნიშვნელობა, მანამდე რა გიკეთებია. მერე და მერე იოლდება, როდესაც ტექსტს ეჩვევი და შენს ხმას პოულობ, თორემ თავიდან ძალიან ძნელია".

ავტორის ყურადღებას რომანში მთვარეულობის თემა იქცევს - ერთგვარი ძილ-ღვიძილის, ბურანის მდგომარეობა, როგორც მასობრივი შეშლილობის წინაპირობა. ამ საკითხს ბროხი ერთ-ერთ მონოგრაფიაშიც („მასობრივი შეშლილობის თეორია") ეხება, სადაც მასობრივი შეშლილობის ისტორიული წინაპირობების დეტალურ ანალიზს ახდენს და მას სხვადასხვა ეპოქის „სენად" მიიჩნევს, რომელიც გარკვეული კანონზომიერებით მეორდება. აქვე შემოაქვს ძალიან საინტერესო „მეტაფიზიკური შიშის" ცნება, როდესაც ადამიანის „მე" საკუთარი კვდომის მეტაფიზიკური მარტოობის გააზრებას იწყებს. ამას მოჰყვება პანიკური შიშის განცდა, რომლის დაძლევა, ბროხის აზრით, მხოლოდ ექსტაზით შეიძლება. ექსტაზი არის ირაციონალური სფეროს გაფართოება, რომელიც ორი მიმართულებით ვითარდება: ერთი, როდესაც „მე" მთელ სამყაროს მოიცავს და თავად ხდება მისი ცენტრი და მეორე - როდესაც ადამიანის არსებობა ინფანტილურ-არქაულ ფორმებს უბრუნდება. ამ დროს დომინანტურია სხვაზე ბატონობისა და სამყაროს დაპყრობის სურვილი, რაც დიქტატურის დასაწყისს ნიშნავს და რისი გამოცდილებაც კაცობრიობას არაერთხელ ჰქონია. ჩნდება ერთი სისტემის მეორეთი ჩანაცვლების სურვილი, ბელადის მოთხოვნილება, რომელიც ადამიანებს უსაფრთხოების გარანტიებს მისცემს და მათი ოცნების თეორიებით კვებას შეუდგება. ღირებულებათა არსებული სისტემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არალეგიტიმურად ცხადდება ჯერ იდეურ, შემდეგ - საკანონმდებლო დონეზე. მომდევნო ეტაპზე რაციონალურს ირაციონალური ენაცვლება; ხდება ჩარევა მეტყველებაში, ენობრივ კომუნიკაციებში და ღირებულებათა აღრევა - მორალური ამორალობად იქცევა, წესიერება - უწესობად, ერთი სიტყვით, კლიშეები თავდაყირა დგება. მასობრივი ფსიქოზისგან თავის არიდების ერთ-ერთ გზად ბროხი დემოკრატიული პრინციპების გაძლიერებას მიიჩნევს, მეორე მხრივ, ექსტაზის თანმიმდევრულ დაძლევას ტოტალიტარული სისტემების დამარცხებითა და რელიგიური ფანატიზმის განეიტრალებით. მთავარი პირობა მასობრივი ფსიქოზის ნიშნების დროულად ამოცნობაა, რასაც გვიხატავს კიდეც „მთვარეულებში".

*„რომანის სამივე ნაწილში ერთნაირად გვაქვს ირაციონალობის განცდა. ავტორი ისე აღწერს გარკვეულ სცენებს, მთავარ გმირთა პორტრეტებს, რომ გიჩნდება კითხვა - რა ენაზე გვესაუბრებიან პერსონაჟები? სად არის აქ რაციონალობის მარცვალი? საიდან ამდენი აკვიატება, შიში, რელიგიური ფანატიზმი? ეს ყველაფერი თითქოს ძილ-ბურანში ხდება, მთვარეულობის მდგომარეობაში, რასაც მწყობრი ლოგიკით ვერ ახსნი. ბროხი ცდილობს დაანახოს მკითხველს იმდროინდელი საზოგადოების სახე, რომელსაც ერთი ნაბიჯიღა აკლია მასობრივი ფსიქოზის სტადიამდე, რაც არცთუ დიდი ხნის შემდეგ მივიღეთ კიდეც ევროპაში".*

სხვათა შორის, იგივე მცდელობა ჰქონდა თავის დროზე იუნგსაც, რომელიც მასების ფსიქოლოგიას იკვლევდა (უნდა აღინიშნოს, რომ ბროხი იუნგის ხაზს არ მიჰყვება). მეორე მსოფლიო ომამდე დიდი ხნით ადრე მან იწინასწარმეტყველა ის საშინელება, რაც მსოფლიოს ფაშიზმისა და ნაციზმის სახით დაატყდა. მოგვიანებით, როდესაც ამის ახსნა სთხოვეს, გამაოგნებელი პასუხი გასცა: წლების განმავლობაში ჩემთან ფსიქოანალიზის კურსს გადიოდა სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი - ინტელექტუალებიდან დაწყებული, უბრალო ადამიანების ჩათვლით. ვხედავდი, რა ხდებოდა მათ არაცნობიერში, რა არქეტიპი ლამობდა ზედაპირზე ამოსვლას: ეს იყო ვოთანი - მრისხანე, სისხლისმღვრელი, წარმართული ღვთაება, რომელიც არაფერს არ ცნობს. ისიც ზუსტად ვიცოდი, რომ ეს პროცესი გარდაუვალი იქნებოდა კაცობრიობისთვისო. სამწუხაროდ, იუნგი მართალი აღმოჩნდა.

## ფრაგმენტიზაციის სირთულეები

„მთვარეულები" ენობრივადაც საინტერესო ტექსტია. ტრილოგიის ბოლო ნაწილში რამდენიმე ამბავი ვითარდება, რომელთაც საერთო არაფერი აქვს. ჰანა ვენდლინგს, ისევე, როგორც ხსნის არმიის გოგოს, რომანის დანარჩენ პერსონაჟებთან არაფერი აკავშირებს. საიდან მოდის, საიდან ჩნდება ეს ყველაფერი, გაუგებარია. სწორედ ეს არის მთლიანობის რღვევის, ფრაგმენტიზაციის ეტაპი, რასაც მუზილის „უთვისებო კაცშიც" უხვად ვაწყდებით. ამ მხრივ ორივე ტექსტი იდენტურია და არც არის გასაკვირი, რადგან ერთ პერიოდში დაიწერა. მათ ავტორებს ერთი და იგივე ტრავმები ჰქონდათ და ერთ კოშმარს უყურებდნენ. თუ მუზილთან ფრაგმენტიზაცია მთელი ტექსტის წარმმართველია, ბროხთან ეს მოვლენა ბოლო ნაწილში იწყება. პირველ ორ წიგნში გარკვეულ სიუჟეტურ ხაზს მივყვებით, მესამეში კი ამბავი აღარ ვითარდება. ცალკეული ისტორიებია აღწერილი, რომელთაც ერთი დიდი ქვეთავი - „ღირებულებათა რღვევა" აერთიანებს.

*„ბროხი აქ სტილისტურ ხერხს მიმართავს და მთლიანად „ანგრევს" ენას. რაღაც ეტაპზე ტექსტის კითხვა შეუძლებელი ხდება. გერმანულად ნამდვილი კოშმარია და ზუსტად ასახავს იმ ეპოქის აუტანელ რეალობას. ამ ნაწილის თარგმნა ძალიან გამიჭირდა. მუზილის შემდეგ მეგონა, ველარაფერი გამაკვირვებდა, თუმცა „ღირებულებათა რღვევა" არანაკლები „საჩუქარი" აღმოჩნდა. რომანის პირველი ორი წიგნი შედარებით იოლად დავძლიე, რადგან კონკრეტული ამბავი ვითარდება, თუმცა ტექსტის სირთულეს გამუდმებით ვგრძნობდი: იცვლებოდა ენა, წინადადების წყობა, თხრობის ფორმები: გარკვეულ ეტაპზე პიესა და ლექსიც კი შემოდის! ეს ყველაფერი რთული იყო, მაგრამ „ღირებულებათა რღვევას" ვერ შეედრებოდა".*

## გერმანული სამოთხე

თარგმანის შესახებ, სხვების მსგავსად, თავისი შეხედულება აქვს. კარგი თარგმანი პირველ რიგში ავტორის ერთგულებას გულისხმობს, მაგრამ გვინდა თუ არა, ტექსტში მაინც სხლტება მთარგმნელის ბუნება, ტემპერამენტი. ერთსა და იმავე ნაწარმოებს ყველა თავისებურად კითხულობს. ამიტომაც არსებობს განსხვავებული ვერსიები.

*„მთარგმნელის ხელობა თუ ხელოვნება ძალიან ჰგავს მუსიკოსისას. ორივე სხვისი ნაწერის ინტერპრეტაციას ახდენს, თუმცა მასში საკუთარი სულის ნაწილსაც დებს. ორი შემსრულებელი ერთსა და იმავე ოპუსს სხვადასხვაგვარად უკრავს. იგივე ხდება მთარგმნელის შემთხვევაშიც - თითოეულს თავისი ხედვა აქვს. მთარგმნელის სამზარეულოს აღწერა ძალიან რთულია. პირველი, რაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ რჩება, ნაწარმოების რიტმია თავისი პაუზებით, აჩქარებითა და შენელებით. მერე უკვე ხელობა ერთვება - პროფესიულ უნარ-ჩვევებს ვგულისხმობ, რომელთა სწავლა რაღაც დონემდე შეიძლება, მაგრამ თუ მთარგმნელის ალღო არ გაქვს, მხოლოდ განსწავლულობა ვერ გიშველის. ბევრი რამ გამოცდილებასთან ერთად მოდის, მაგრამ არა ინტუიცია. ეს არის ის, რაც თანდაყოლილია და მთარგმნელის ინდივიდუალობას განსაზღვრავს. ძალზე მნიშვნელოვანია კოლეგებთან ურთიერ-*

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობა, გამოცდილების გაზიარება, რითაც, სამწუხაროდ, არ ვართ განებივრებული. ჩემ შემთხვევაში უდიდესი როლი ითამაშეს გერმანელმა მეგობრებმა, რომელთაგან პროფესიული კუთხით ბევრი რამ ვისწავლე. ამ თვალსაზრისით გერმანია შეუდარებელი ქვეყანაა".

დიუსელდორფთან ახლოს არსებობს მთელ ევროპაში გამორჩეული მთარგმნელობითი სახლი, ერთგვარი სამოთხე მთარგმნელებისთვის. წარმოიდგინეთ XVII-XVIII საუკუნეებში აგებული უზარმაზარი შენობა მოდერნიზებული ინტერიერით, რომელშიც უმდიდრესი ბიბლიოთეკაა განთავსებული: 250 000 ტომი, ყველა ტიპის ლექსიკონი, ენციკლოპედია, რაც კი ოდესმე გამოსულა და არსებობს; ამ სახლში მთარგმნელები ცხოვრობენ და მუშაობენ. მისი შენახვა და წიგნების შეძენა-განახლება სხვადასხვა ფონდის მიერ ფინანსდება. მათ ესმით ამ საქმიანობის მნიშვნელობა და ჩვენგან განსხვავებით, შესაძლებლობაც აქვთ პროფესიონალებს მსგავსი პირობები შეუქმნან. „ვერაფრით წარმოიდგენთ, რა ხდება შიგნით, ვიდრე საკუთარი თვალით არ ნახავთ. თავიდან ჩვეულებრივი ბიბლიოთეკა მეგონა, სადაც მიხვიდოდი და იმუშავებდი. აღმოჩნდა, რომ იქ მთარგმნელები ცხოვრობენ. ყველგან წიგნებია - ოთახებში, დერეფნებში. არავინ გემსახურება, გაქვს გეგმა და თავად იძიებ შენთვის სასურველ გამოცემას. იმ ოთახს, სადაც მე ვცხოვრობდი, ეწერა - „ინგლისური ლიტერატურა ა-დან ბ-მდე". ასე იყო სხვაგანაც. ერთი სიტყვით, არაჩვეულებრივი გარემოა. ბორხესის ფანტასმაგორიულ ბიბლიოთეკებს ჰგავს. ამ სახლში მუდმივად ერთი და იგივე ხალხი ჩადის - მაღალი კლასის მთარგმნელები მთელი მსოფლიოდან. გამიმართლა, რომ მათ რიცხვში აღმოვჩნდი. ამ ადამიანებთან ურთიერთობა დიდი სკოლა იყო". ამ სკოლის გამოცდილება მის მიერ თარგმნილ წიგნებში ვიხილეთ.

### ბოლოთქმა, იგივე P.S.

ოცნებობს თარგმნოს ჰერტა მიულერი.

„ამას წინათ მარგარეტ ეტვუდის „ბრმა მკვლელს" ვკითხულობდი. ისე მშურდა -სიუჟეტი აქვს, მოვლენები ვითარდება, ბედნიერი ისტორიებია... გერმანელები ასე არ წერენ. თუმცა დღეს სხვა რეალობაა. თანამედროვე გერმანული ლიტერატურა განსხვავდება ადრეული პერიოდის, თუნდაც XX საუკუნის 80-90-იანების მწერლობისგან. მათ ჰყავთ ნობელიანტი მწერალი ჰერტა მიულერი გენიალური რომანით - „სუნთქვის საქანელა." ამ წიგნის თარგმნა, სირთულის მიუხედავად, ჩემი ოცნებაა. ესოდენ პოეტურად სიკვდილსა და შიმშილზე მსოფლიო ლიტერატურაში არავის უწერია".



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდიე დენინქსი



დიდიე დენინქსი (დაიბადა 1949 წლის 27 აპრილს ქალაქ სენ-დენიში) თანამედროვე ფრანგი მწერალი და სცენარისტია, 30-მდე რომანის, მრავალი ნოველის და საბავშვო წიგნის ავტორი.

მისი შთაგონების წყაროა ოჯახური გარემო, სადაც ანარქიული, ანტიმილიტარისტული და კომუნისტური განწყობა სუფევდა. მშობლების დაშორების შემდეგ დიდიე დედამისთან ერთად ცხოვრობდა ობერვილიეში, პარიზთან ახლოს, სადაც საფრანგეთის ახალგაზრდა კომუნისტთა მოძრაობას შეუერთდა 1963 წელს. სწავლობდა ლე-კორბუზიეს ტექნიკურ ლიცეუმში, მაგრამ 16 წლისამ სწავლას თავი დაანება. 1966 წლიდან მუშაობდა - 12 წელი სტამბის მუშად, შემდეგ კი კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორად და ბოლოს ჟურნალისტად, ახალი ამბების განყოფილებაში; „დანაშაულებათა ქრონიკამ“ გაზეთში უდიდესი მასალა მისცა რომანებისთვის. 1977 წელს უმუშევრობის დროს დაწერა თავისი პირველი რომანი „სიკვდილი პირველ რაუნდში“, რომელშიც გამოჩნდა ინსპექტორი კადენის ნევროტული პერსონაჟი. ათმა გამომცემელმა დაიწუნა ეს რომანი, თუმცა ბოლოს „ედისიონ დიუ მასკმა“ გამოაქვეყნა 1982 წელს, მაგრამ შეუმჩნეველი დარჩა. მეორე რომანის „მკვლელობები სამახსოვროდ“ (1984 წ.), ყურადღების ცენტრში, ჯერ კიდევ მორის პაპონის სასამართლო პროცესამდე, მოექცა 1961 წლის 17 ოქტომბრის ალჟირის განმათავისუფლებელი ფრონტის სისხლიანი მანიფესტაციის და 1940 წლის კოლაბორაციის ამბები. „შავი სერიის“ გამოცემული ეს რომანი ძალიან კარგად მიიღო მკითხველმა. მას პოლ ვაიან კუტურიეს პრემია (1984 წ.) და დეტექტიური რომანების გრან-პრი (1985 წ.) მიანიჭეს. 1984 წელს „გალიმარში“ გამოცემულმა რომანმა „დაუსრულებელი გოლიათი“ „საუკეთესო რომანის ტროფე 813“ პრიზი მოიპოვა 1984 წელს და „რომან ნუარის“ პრიზი - 1985 წელს. პოლ ფევალის პოპულარული ლიტერატურის პრემია მიანიჭეს 1994 წელს მთელი შემოქმედებისთვის. 2012 წელს მიიღო გონკურის პრემია ნოველებისთვის. მისი რომანები ოცზე მეტ ენაზეა თარგმნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯიუტი ადამიანები ბესედიდან

ფრანგულიდან თარგმნა მანანა ბოსტოღანაშვილმა

ლითონის მეორე გაჩხაკუნებაზე ტელეფონს ხელი დავაფარე, რომ ჩემი გაღიზიანება მოსაუბრისთვის არ გადამედო.

- შეგიძლია, სანთებელას თავსახურით გართობას შეეშვა? ვმუშაობ და ფიქრს მიშლის...

- მაპატიე, ნერვიული... მას მერე, რაც მოწევას თავი დავანებე, თავს ვერ ვერევი, ხელები რამით უნდა დავაკავო.

ოცი წუთის წინ მოვიდა მოულოდნელად, თავისი ფოტოების ყუთამოჩილლიავებული; 20 სანტიმეტრი 30-ზე ფოტოები გაშალა საწერ მაგიდაზე, კომოდზე, ასლგადამღებზე. მერე კი, როდესაც გასაფენად ყველა მიწისზედა საშუალება ამოწურა, იატაკზე მოფინა. წვერებიანი სახეები, შავ-თეთრში. როდესაც ტელეფონმა დაიწკრიალა, ტუჩებს შორის სიგარეტგაჩრილი თავისი „ზიპოს" თავსახურს ათამაშებდა, უმიზნოდ ანთებდა, მოჩვენებითი დაუდევრობით. კლიკ, კლაკ, გმადლობ, კოდაკ... დროდადრო რომელიმე სურათს გადავდებდი ხოლმე დოკუმენტის ასაღებად, და როგორც კი ნაჯღაბნ ფურცელს ადგილზე ვაბრუნებდი, ის კვლავ ზემოდან აფარებდა. საუბარი შევწყვიტე და ყურმილი დავკიდე.

- რა სცენა მოაწყვე, ბერტრან? არ შეგიძლია, მშვიდად მოიცადო? საბავშვო ბაღიდან გიცნობ, მაგრამ პატარა ბავშვივით კი არ უნდა მოიქცე!

ბოლოს ჩამოჯდა, ბარძაყით სავარძლის სახელურს ჩამოეყრდნო.

- ახლა არ მითხრა, რომ განსაკუთრებული საქმეა... რა, ლოთ ქმარს რქები დაადგეს?

- ეგენი მარჩენენ და არა ვარ უმადური. რაკი სიყვარული ბრმაა, მე ეჭვიანთა თვალი ვარ. ეს შენი მომავალი გამოფენაა?

ღიმილმა გაუნათა ნაკვთები.

- ჰო... სინამდვილეში, შენზეა დამოკიდებული, მიშელ...

- შეგეშალა, სხვა კარზე დააკაკუნე, ყველაფერი ვარ მეცენატის გარდა. კარგად თუ მოეჩხრიკავ, შეიძლება ჩაქუჩი და ლურსმნები მოეძებნო სურათების ჩამოსაკიდებლად.

ბერტრანი დაიხარა ერთ-ერთი პორტრეტის ასაღებად და თვალწინ ამიფრიალა. მქრქალ ფოტოქაღალდზე აღბეჭდილმა მზერამ გამჭოლა. გადმოკარკლული თვალები, მსგავსი მსახიობ პიტერ ლორისა, რომელსაც ბატონი ლე მოდი სდევნიდა, ჭვარტლით გაშავებულ ჩაშავებულ სახეზე მკვეთრად მოჩანდა და უნებურად აგაფორიაქებდა მათში ჩაბუდებული სევდა. უკანა პლანზე, მდელოდან ამომავალ სქელ ბურუსში სახურავამძვრალი ავტომანქანის აჩრდილი მოჩანდა.

- მჭირდება, რომ მოძებნო...

- და როგორ გადამიხდი? მისი ნონა ანტიდეპრესანტებით?

ფოტო საწერ მაგიდაზე დამიგდო.

- ძალიან სერიოზულად გეუბნები, მიშელ. მას მერე, რაც ექვსი თვის წინ ეს ბედშავი ჭაპანწყვეტა გადავიღე, ვერ ვიშორებ. თავი არასოდეს მიმაჩნდა გენიოსად, მაგრამ ასეთ მძლავრ ფოტოს ორს ვერ გადაიღებ ცხოვრებაში. ეს ჩემი გამოფენის უმთავრესი სურათია, რომლის გარშემოც აიწყობა ყველაფერი. პრობლემა ის არის, რომ ყველა დანარჩენის გამოყენებისთვის წერილობითი და ხელმოწერილი ნებართვა მოვიპოვე, ამისი კი არ მაქვს. ეს ბიჭი გადაღებაზე კი დამთანხმდა, მაგრამ იმდენად შთამბეჭდავი იყო, აზრადაც არ მომსვლია კითხვარის ამოღება... ერთი კვირის წინ ჩამოვედი. და აქ მაცნობეს, რომ რამდენიმე კვირის წინ უგზო-უკვლოდ გამქრალა.

ფოტო მივაბრუნე, რომ მეც რამე არ დამმართნოდა.

- ტყის კაცი გეგონება... არა მგონია, რომ VI არონდისმანის მოდურ გალერეაში გამოგეცხადოს და დავიდარაბა აგიტეხოს... რას რისკავ?

- აქ სხვა ამბავია. მინდა ეს კატალოგის ყდაზე დაიბეჭდოს, რომ ნეგატივი პრესას სტატიებისთვის მივაწოდო, რომ ინტერნეტით გავრცელდეს, მთელმა მსოფლიომ იხილოს... იატაკქვეშეთში კი არ ვიმალები. გალერეის დირექტორი უარს ამბობს გარისკვაზე და გასაგებიც არის. სამი წელი გაუჯანჯლდა პროცესი იმისთვის, რომ ტატუს ფოტო დაბეჭდა, - მეომარი პეპელა უცნობის მხარზე. სასამართლომ მკაცრად დააჯარიმა ისიც და ფოტოგრაფიც და აღიარა, რომ ნემსის ხმარების მანერა არტისტული საკუთრებაა. ამ შემთხვევამ ძალიან დააზარალა. აღარ ვიცით, კადრში რა მოვახვედროთ. ყველა თავის წილს ითხოვს შემოსავლიდან - ქოხების მფლობელები, არქიტექტორები, გზაჯვარედინების დამგეგმავები... ხალხის სურათისთვის უნდა გადაიხადო. იშვიათად გთხოვ დახმარებას, ბერტრან. გამიწიე ეს სამსახური...

სულაც არ სჭირდებოდა შეხსენება, თუ როგორ ვიყავი მისგან დავალებული. ოდესღაც იმდენს ვსვამდი, თვალებში ველარ ვიყურებოდი. თითები გადავიტყავე მის კარებზე კაკუნით, იმიტომ კი არა, რომ არ მიღებდა, იმიტომ, რომ ძალიან ხშირად ვაკითხავდი. ცალი ფეხი ნუმპეში მედგა, მეორეს კი კვალდაკვალ მივათრევდი. ყველამ, ჩემმა ანარეკლმაც კი, ზურგი მაქცია, და მარტო მიშელმა გამომიწოდა ხელი. ინფრაწითელობიექტივიანი აპარატით აღჭურვილი თვეების განმავლობაში თან დამყვებოდა ღამის ბარებში საცოდავად წანწალისას. თანდათანობით კლიენტებმა ისევ გამომიცხადეს ნდობა. მე, ვინც ფრჩხილებითღა ვეპოტინებოდი სიცოცხლეს, მისი წყალობით ისეთ წარმატებას მივაღწიე, რომ ჩემი სახელი საფლავის ქვაზე კი არა, სულ სხვა დაფაზე მიაწერეს. ერთხანს იმასაც ცდილობდა, ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვაჟიშვილთან შევერიგებინე, თუმცა ამას დიდი შედეგი არ გამოუღია. ღრმად ამოვიოხრე.

- გაგიმართლა, შვებულების რამდენიმე დღე დამრჩა. სად არის ეგ შენი მაკიაჟის სკოლა?

საფრანგეთის რუკა გაშალა და სამხრეთზე მიმითითა.

- აქ!

მეორე დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე იქ ვიყავი. ბერტრანმა მომიმზადა პატარა ალბომი იმათი სურათების ასლებით, ვინც რეგიონში რეპორტაჟის მომზადებისას ფოტოების გადაღების ნება დართო. მინდვრებზე ყოველი მათგანის გასწვრივ კოორდინატები მიეწერა. მანქანა პატარა ქალაქის გზაზე, ყოფილი ციხესიმაგრის ძირას დავაყენე, ძარით ნოზის ველისა და შავმიწა ნიადაგიანი პერიგორის ულრანი ტყეებისკენ. სექტემბრის შუა რიცხვები იდგა, მაგრამ ტურისტების ჯგუფები მაინც ლაშქრავდნენ ციცაბო ბილიკებს, გაფაციცებულნი ეწაფებოდნენ გალექსილი გიდის სიტყვებს: „ქალაქი ბელვესი ჰგავს ულამაზეს, ჰაეროვან თაიგულს, რომელიც ხეების ზემოთ ირხევა...“ ცოტა ხანი მათ მივყვებოდი, ერთადერთი მიზნით, რომ ექვსასი კილომეტრის მანძილზე მანქანაში დაბუჟებული ფეხები ამემოძრავებინა. მათ ვიწრო ქუჩაზე შეისვენეს, შექუჩდნენ ქვაში ჩამაგრებულ ძველ რკინის ჩუქურთმასთან, დაჭყეტილი თვალებით დაიხარნენ პანაწინა დაფისკენ, რათა ამოეკითხათ ქება-დიდება მეცნიერი კინკეტისა, რომელმაც აქ სამი საუკუნის წინ გამოიგონა ქუჩის განათება, და მას თავისი სახელი მიანიჭა. გადახურული ქუჩის ერთმანეთზე გადაბმულ გასასვლელებს გავუდექი, ის არმის მოედანს უერთდებოდა, სადაც ცენტრში ბაზრის საბჯენები აღემართათ. აქ, „კრედიტ აგრიკოლის“ სააგენტოს თავზე, ცხოვრობდა გაუჩინარებული მენახშირის, ბორის აშელარის და. კიბეზე ასვლამდე ხის სვეტებიან ფასადსა და რკინის ჭედურ აივნებს შევავლე თვალი. დალლილსახიანმა ბიგუდებიანმა ქალმა იქამდე გამილო, სანამ მის კარზე დაკაკუნებას მოვასწრებდი. ტუჩაბზუებულმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

- თქვენ არ გელოდით. რა გნებავთ?

- თქვენს ძმას ვეძებ. დოკუმენტის ხელმოწერა დაავიწყდა... ვერ მეტყვით, სად ვიპოვი?

წინსაფრის წინა ჯიბიდან ასანთის და სიგარეტის დიდი კოლოფები ამოიღო და თითო ღერი ამოაძვრინა.

- მწუხარებას გისურვებთ... უკვე სამი თვეა, მისგან ალარაფერი მსმენია. ალბათ, ტყეში ლოცულობს.

უკან დავიხიე, კვამლის ღრუბლისთვის რომ თავი ამერიდებინა.

- სამი თვე ტყეში? დროდადრო მაინც ხომ უნდა გამოვიდეს, თუნდაც საყიდლებზე...

სასადილო ოთახისკენ გაემართა და მანიშნა, გავყოლოდი.

- ზოგი მთელ ცხოვრებას ატარებს ბესედის ტყეში, რომელიც სოფლის ქვემოთ, კადუინის ზეგნამდეა გადაჭიმული. კარგად იციან ყოველი მუხა, ნაკადული, ცხოველთა ჩვევები. ამბობენ, ომის დროს ვიღაცები სამი წელი იმალებოდნენ ტოტებქვეშ ისე, რომ ტყის მიჯნას არ გადმოსცდენიანო. ძალიან საჩქაროა თქვენი ქაღალდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- საკმაოდ... წესით, ხვალ სალამოს უნდა გავემგზავრო...

ყავა დურალექსის ორ ფინჯანში ჩამოასხა.

- ბოლოს, როდესაც კრიზისი ჰქონდა, ექვსი თვე არ გვინახავს; მხოლოდ დიდმა ყინვებმა აიძულა, მოსულიყო.

ორი კოვზი შაქარი ჩავიყარე.

- როგორი კრიზისები აქვს?

- გარწმუნებთ, სახიფათო არაფერია. თავი უფესვო ხე ჰგონია.

ფორის ქუჩაზე, ბისტროში ღორის ხორცით დამზადებული მთელი თეფში ძეხვეული გადავსანსლე გემრიელად, მერე კი ვილფრანშ-დიუ-პერიგორის რამდენიმე კილომეტრიან გზას გავუდექი. მარჯვნივ გზა მონდოსკენ, ეგრეთ წოდებული ლარზაკის კომუნისკენ მიიკლაკნებოდა. მანქანის მართვისას ბლოკნოტი ჟან-მიშელის ფოტოზე გადავშალე, რუხი, ანტრაციტისფერი ულვაში, ნახშირისფერი თვალები, თავზე ქერელის ტილოს მოთელილი შლიაპა. ქვაზე ჩამომჯდარი მელოდა თავისი ფერმის წინ, მის ფეხებთან ნაგაზი გაწოლილიყო. სამზარეულოში დავსხედით ბუხარსა და ტელევიზორს შორის, რომელშიც „ნოველას" ადევნებდა თვალს გალიაში უმოძრაოდ ჩამოსკუპებული წყვილი თუთიყუში. მისი ცოლი მინდორში გაჰყვა გადასახადების კონტროლიორს, რომელსაც უნდა შეემოწმებინა, ზედმეტი თამბაქოს ნერგი ხომ არ დაერგოთ. ჟან-მიშელმა უალკოჰოლო პასტისი ჩამოასხა.

- ნამდვილიც გვაქვს, თუ გირჩევნიათ...

თავი შევიკავე. ჭიქები მივაჭახუნეთ: მოტკბო გემო ჰქონდა, ჩემი ბავშვობის ანტეზიტიანი სასმელის მსგავსი.

ფოტოები დაათვალიერა, თავისაზე ღიმილით შეყოვნდა.

- ვერ ვხვდები, ასე რატომ წვალობთ ბორისის მოსაძებნად. წერა-კითხვაც კი არ იცის წესიერად. ერთი ჯვარი იკმარებდა და კაციშვილი ვერაფერს გაიგებდა... სულმთლად პაწაწინა უკვე ტყეში დარბოდა პაპამისთან, იგორთან ერთად...

ბრაზილიური ჩხუბის შემყურე თუთიყუშები შეფრთხიალდნენ.

- აქ სახელები კი არ არის მთავარი...

- მენახშირის საქმე იმდენად მძიმეა, რომ ბევრი მოხალისე არ არის. ყელში უნდა გქონდეს წაჭერილი, ამას რომ ხელი მოკიდო. მე წლის დასაწყისში შევწყვიტე, რაკი ჯანმრთელობის პრობლემები შემექმნა. ვმუშაობდი მაროკოელებთან, პორტუგალიელებთან, ესპანელებთან, ალჟირელებთან... ბორისი უფრო დიდი ხანია, აქ არის: რუსი ჯარისკაცები, 14-18 წლის ომის მერე აქ დარჩნენ, როდესაც ალარავინ უვლიდა მინდვრებს. როგორც ჩანს, დეზერტირები იყვნენ ან მეამბოხეები. ყოველ შემთხვევაში, ტყეს კარგად იცნობდნენ. მოხუცები უფროსების ბრძანებებს ვერ იტანდნენ, დამოუკიდებლად მუშაობდნენ. როგორც კი ბავშვმა ფეხი აიდგა, პაპამისმა მისი მფარველობა იკისრა. ულრან ტყეში შევიდოდნენ, მოძებნიდნენ მდელოს ან რამე ადგილს ნაკადულთან ახლოს და ქოხმახს აგებდნენ. მერე ხეებს ჭრიდნენ, მუხებს, და ნახშირის მისაღებად კოცონს აჩაღებდნენ. ერთი კაცი ხუთი მეტრის სიმაღლისას ანთებდა. თითქმის ერთი კვირაში ექვს-შვიდ ტონა ნახშირს იღებდნენ. მარტო იმით განსხვავდებოდნენ ჩვენგან, რომ ტომრებში კი არ ყრიდნენ, პირდაპირ, გადარჩევის გარეშე მიჰქონდათ გასაყიდად.

- მის დას ვესაუბრე. რაღაც ამგვარი მითხრა, ბორისი ცოტა ვერ იყო თავის ჭკუაზეო...

ქიშმიშით სავსე სამურაბე გამოაჩოჩა ჩემკენ.

- ინებეთ ყურძენი, ტკბილია. ახლა კარგად არის მოწეული, არ მაგრდება. მუსკატის ათიოდე ძირს დავრგე ბელელთან... მწარმოებლიდან მომხმარებლამდე! არაფერს ვუმატებ. იცით, ბორისს თავისი აკვიატებები ჰქონდა, ისევე, როგორც ყველას. შესაძლოა, საშუალოზე მეტად ველური იყო, უფრო ჩაკეტილი საკუთარ თავში... აქ ვამბობთ ხოლმე, ცეცხლი სულში უფრო ხშირად ბჟუტავს, ვიდრე კურიაშიო. არ დაგავიწყდეთ, რომ კრო-მანიონის ოლქის შუაგულში ვართ, სადაც გრან-როკის, კარპ-დიემის, ბარა-ბაჰოს გამოქვაბულებია, პრუმეისაკის უფსკრული, ბევრნაირი თავშესაფარია, სადაც პირველყოფილი ადამიანები ხეს ხეზე უხახუნებდნენ ნაპერწკლის მისაღებად. ყველაფერი ძველებურად შთამბეჭდავია. წყლის დინების ცქერა დამღლელია, მაგრამ მოცეკვავე ალისა, რომელიც სამყაროს ნთქავს - არასოდეს.

ჯიქურ შევხედე თვალებში.

- მცირეოდენი წარმოდგენა მაინც თუ გაქვთ, სად შეიძლება იმალებოდეს?

- გულწრფელად თუ გინდათ, არა. ყველაზე ხანგრძლივად მაშინ ვესაუბრე, როდესაც იმ ადგილებზე მიამბობდა, სადაც პაპამისთან ერთად დაბანაკებულა ოდესმე, ბესედაში. საოცარი სიზუსტით ახსოვდა. შეეძლო, აღეწერა ხე, რომლის ძირშიც ოცი წლის წინ ეძინა... თუ მოგონებებში ჩაიძირა, ვერავინ მოძებნის.

უკანა გზაზე, ბელვესთან ახლოს, რუხი ნისლი ჩამოწოლილიყო. მთელი სიჩქარით შევიჭერი შიგ, ხალხი მყისვე გაქრა. მუხრუჭის პედალს დავაჭირე მკვეთრად, მაგრამ წინ მიმავალი ტრანსპორტისთვის არიდება ვერ მოვახერხე - მაშინღა შევამჩნიე, როდესაც ვეჯახებოდი. საავარიო ფარები ავანთე, გზის პირას გადავაყენე და გადმოვედი, რათა ზარალი დამედგინა. ამორტიზატორი დაზიანებულა, ფარა გატეხილა, თუნუქი შეჭყლეტილა. გლეხი თავისი ტრაქტორიდან ჩამოვიდა. აწეულ ფარცხს ფეხი ორჯერ მიარტყა.

- ერთხელაც ვინმე მოკვდება მათი მიზეზით. უკვე ათი წელია, ვთხოვთ, თავიანთი ნახშირი უფრო შორს, ტყის სიღრმეში დაამზადონ... თუ გინდათ, რამე დოკუმენტი შევადგინოთ... უფრო თქვენთვის, თორემ ჩემსას არაფერი დამართნია...

მოშორებით, ფერმაში ცხოვრობდა, მისი ტერასიდან პატარა ქალაქის გალავანი მოჩანდა. ოქმი შევადგინეთ, თან სახლში დამზადებულ, ალუბალზე დაყენებულ აპერიტივს ვწრუპავდით. დეკლარაცია დავკეცე და საფულეში ჩავდე რუხ, მწვანე და ლურჯ ბარათებს შორის.

- უცნაური იდიოტობა იქნებოდა ბარბექიუს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო სიკვდილი!

- ერთადერთი პრობლემა ის არის, როგორც ახლახანს გეუბნებოდით, რომ ისინი გზასთან მეტისმეტად ახლოს არიან. როგორც კი ხეები ოდნავ დაუსველდებათ, მაშინვე კვამლის ფარდა ჩამოწვება ხოლმე! ამ რეგიონში ყოველთვის იყვნენ მენახშირეები, ათასწლეულების განმავლობაში, ანუ ბარბექიუს გამოგონებამდე დიდი ხნით ადრე. ჯერ კიდევ ჩემი წინაპრების ხელსაწყოებს ვიყენებ, ნახშირის დახმარებით რომ გამოჭედეს... ასე დაიწყო მეტალურგია. ქალაქელებს, აქაურებსაც კი, აღარ ახსოვთ, რომ მჭედელი მას ყურადღებით არჩევდა, რომ კარგად მბჟუტავ მუხაზე საუკეთესო ფოლადი იწრთობოდა... რა უცნაურიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ხის ნახშირი უფრო მეტ სითბოს გამოსცემს, ვიდრე შეშა ან ქვანახშირი... ლითონი უცებ წითლდებოდა! რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ოდესღაც მანქანებსაც ატარებდნენ ამ საწვავით...

ჩემსას გადავხედე, საცოდავად რომ გამოიყურებოდა ბზარებზე მიკრული წებოვანი ქაღალდით.

- ხის საწვავით?! დარწმუნებული ხართ?

- აბა, რა გგონიათ, რაზე მუშაობდნენ გაზოგენერატორები ომის დროს? ხის ნახშირისგან დამზადებული საწვავი ამოქმედებდა დგუშებს და მექანიზმს ატრიალებდა. შეიძლება ითქვას, ეს გათხევადებული ნავთობის საწვავის წინაპარი იყო...

ერთმანეთს მაშინღა დავშორდით, როდესაც მზე დამალობანას ეთამაშებოდა ბელვესის შვიდ სამრეკლოს. ნისლი გაფანტულიყო, მხოლოდ მოლურჯო ზოლს გაეკვალა გასასვლელი ხეთა კენწეროებს შორის. იმ მხარეს გავეშურე.

გაყვითლებული, დაშორიშორებული ფიცრებით აგებული ბარაკების ბანაკთან მივაყენე მანქანა. ერთი კაცი ზურგით იდგა ჩემკენ. ჩამოსხმულ სხეულზე ამერიკული უნივერსიტეტის გერბიანი მაისური ეცვა, ნაჯახის რკინის პირზე თოკს ახახუნებდა გადასაჭრელად. მის წინ ერთგვარი ქანი გაშლილიყო, მიწის, ბურბუშელას, ნაცრის ნარევი, ნანვიმარით ატალახებული. დაზიანებულძრავიანი სატვირთო მანქანა მიინჯღრეოდა ოღროჩოღრო გზაზე და ამნეს შემართული რეილი პეიზაჟს ისე წმენდდა, როგორც უზარმაზარი მინის საწმენდი. ერთ-ერთ ჩაშავებულ ავზთან შეჩერდა. მძღოლმა მანქანის ხორთუმი სახურავის ცენტრთან მიიტანა და ასწია. ცოტაოდენი ნახშირი გადმოიბნა და ქარმა გააქროლა. მეორე მუშამ მრუდე (მოღრეცილი) კიბე მიადგა უზარმაზარ თუჯის ქვაბს, მერე, ხელში შლანგით, საფეხურებზე აძვრა, ალის უკანასკნელი ენების ჩასაქრობად. მეორეც მიეხმარა ნიჩბებით, რათა ხის ნახშირი ამოეღო და ყუთები აევსო. ავერიდე მუქ გუბეს, რომელშიც მრგვალი თუ ოთხკუთხედი ავზების მთელი რიგი ირეკლებოდა. სატვირთოს საფეხურზე ჩამომჯდარი მძღოლი სიგარეტს ახვევდა. თავი დამიქნია და მეც ვუპასუხე.

- არც ისე ადვილი სამუშაოა...

- მთავარია, გქონდეს... უფროსის ნახვა გინდათ?

ქურთუკის ჯიბიდან ბერტრანის რვეული ამოვიღე.

- არა, მე იმ ფოტოგრაფის მეგობარი ვარ, ვინც ამ ადგილებში რამდენიმე კვირა გაატარ[illegible] კაბინაში მჯდომს გადაგიღოთ... აი, აქ თქვენ ხართ...

მის თვალწინ გადავშალე, თან რეაქციას ვაკვირდებოდი. ცხვირი დახარა, განზე გაიხედა, როდესაც ბორის აშელარის სახეზე შევყოვნდი.

ჯიქურ არ შემიტევია.

- ავზები ძველს ჰგავს... ისევ გამოსადეგია?

- ერთ თვეში ყველაფერს ბითუმად გაყიდიან, უამრავი რაღაცით აღჭურვილ ახალ ავზებს მოგვიტანენ. ხელის განძრევა მაინც დასჭირდება... ნახშირის დამზადება არ არის ძნელი... ყოველ ბაკს ყელამდე ვტენით, ოთხიდან ხუთ ტონამდე ეტევა, ხის სიმკვრივის მიხედვით, მერე კი ცეცხლს შევუნთებთ. მთავარია, ზუსტად იცოდე როდის ჩააქრო, ყველაფერი რომ არ ჩანაცრდეს. ჯერ ქვედა ხვრელებს და ხუფს ვკეტავთ, მერე კი ჰერმეტულად ვავსებთ სუფთა მიწის ტალახით. მეორე დღეს, იმავე დროს, თავსახურს ვხდით: ამოღებაღა რჩება...

მესამედ მოუკიდა თავის სიგარეტს.

- ბორისი სად მუშაობდა? ჭრიდა, ყრიდა თუ იღებდა?

გაკრული ასანთი ანთებული ეჭირა თითებს შორის.

- სულ ბორისზე რატომ მეკითხებით? თუ გინდათ რამე ჰკითხოთ, ის მოძებნეთ. ტყეში წავიდა. მისი ძიძა კი არა ვარ!

გავემართე ფარდულისკენ, რომლის სიბნელეშიც წყვილი თვალი ბრწყინავდა. სატვირთომ გადამისწრო და მარჯვნივ ღრანტეში ჩაეფლო. საძაგელი წებოვანი ტალღა მომაწუწა შარვალსა და ქურთუკის ქვედა ნაწილზე. ჩრდილში მიმალული ქალი ჩემკენ წამოვიდა. თავით ფეხებამდე გამურულიყო და მომეჩვენა, რომ ჩრდილი თან სდევდა.

- არ გეწყინოთ... ახალ ღუმელებს რომ დადგამენ, შეიძლება სამსახურიდან გაუშვან. ყველა გაღიზიანებულია.

მისი ფოტოც მქონდა უბის წიგნაკში. კერიასთან მიბრუნდა, რომ ხის ნახშირი გადაერჩია, მერე ტომარაში ჩაეყარა და იმ თოკით შეეკრა, ვილაც ტიპი ნაჯახის პირით რომ ჭრიდა ჩემი მოსვლისას. დროდადრო ყველაზე დიდ ნაჭრებს ჯოხით ამტვრევდა.

- ერთი კვირაა, ნაძვებს ვჭრით. უფრო იაფი და უფრო რთული დასამუშავებელია. თანაც, რაკი წვენით არის სავსე, კონვეიერზე აალდება ხოლმე. ერთი მიჯახება და მთელი ქოხი ჩაიფერფლება. უკვე ოცდამეხუთეს ვავსებ ამ დილიდან...

ნაწყვეტ-ნაწყვეტად მეტყველებდა, ყოველი სამი ან ოთხი სიტყვის მერე სულს ითქვამდა. ფარდულში ჯერ თხუთმეტი წუთიც არ გამეტარებინა, მაგრამ ნახშირის მოფარფატე მტვრით გაღიზიანებული ყელი უკვე მექავებოდა. დავრჩი და ვუყურე, როგორ ავსებდა ოცდამეექვსე ტომარას, სანამ სხვა მენახშირეები რიგრიგობით შხაპს იღებდნენ მეორე ბარაკში. საკუთარ თავზე გავბრაზდი, ასეთი საძაგელი მახე რომ დავუგე, თან წინასწარ ვიყავი დარწმუნებული, რომ მასში გაებმებოდა.

- ბორისი როდის გარდაიცვალა? გახსოვთ?

ოცკილოგრამიანი ზოლებიანი ტომარა შემოდო გროვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულის წინა დღეს...

იმნამსვე წამოცდენილი სიტყვების დაბრუნება მოინდომა.

- მე არაფერი მითქვამს თქვენთვის... არაფერ შუაში ვარ. უკვე იცოდით...

თავი ისე დავიჟინე, ვითომ მართლაც ასეც იყო, ვიცოდი, რომ ეს დაამშვიდებდა. ისიც ვიცოდი, რომ ასე უფრო მომენდობოდა.

- ჰო, დღეს, ნაშუადღევს მისი და ვნახე, ის, კაციც, ადრე რომ ნახშირს ამზადებდა, ახლა კი თამბაქო მოჰყავს. აქ იყავით, როდესაც ეს მოხდა?

- არა. ღამღამობით აღარ მძინავს, ისე უსტვენს ჩემი ფილტვები. დავწვები თუ არა, ვიხრჩობი. კაპორის საავადმყოფოში რენტგენი გადავიღე ფილტვებზე. მეორე დილით გავიგე, როცა ჩამოვედი. მრგვალ ბაკს ხელით ავსებდა, ოცდამეოთხე გროვაზე იყო, როდესაც გულმა უმტყუნა. ამხანაგებს უცდიათ მანქანაში ჩასმა, მაგრამ უარი უთქვამს. თურმე მიხვდა, დიდი დღე აღარ დარჩენოდა და სურდა, ხეების ცქერისას მომკვდარიყო. გარდაცვალების წინ ყველას პირობა ჩამოართვა, რომ არ დაკრძალავდნენ. დალპობა არ უნდოდა. თვალებზე ლიბრი გადაჰკვროდა, როდესაც მათ სთხოვა, მორზე დაეწვინათ, 24-ე გროვაზე... იმ ნახშირს სულ ბღავილით ვახარისხებდი. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ჯოჯოხეთში კი არ იწვის, სამოთხეში ანათებს.

ღამით დავბრუნდი, მანქანის ობოლი ფარი წყვდიადს შთანთქავდა. 8 საათიც არ იყო, როდესაც ბერტრანის ატელიეს კარზე დავრეკე. ფეხშიშველამ გამიღო, რომაელი იმპერატორივით თეთრ ზეწარში გახვეულმა.

- შენ ხარ? უკვე დაბრუნდი?

- ჰო. ყავა გაქვს?

სამზარეულოსკენ მიბიძგა.

- უბრალოდ ღილაკს დააჭირე. ჩუმად მელაპარაკე, მარტო არ ვარ.

ფინჯანი გამოვცალე, თან ვუამბობდი ყველაფერს, რაც ბესედელი მუშებისგან გავიგე ბორისზე.

- მათ დავპირდი, რომ მხოლოდ შენ გაგანდობდი. რას იზამ გამოფენაზე?

პირდაპირ ლაბორატორიისკენ გაემართა და იქიდან ბორისის პორტრეტები გამოიტანა. მაგიდიდან ზიპო აიღო, სახურავი ახადა და ცერა თითი კვესზე ჩამოჰკრა. თავი მივაბრუნე, როდესაც მენახშირის თვალებში ალი აცეკვდა.

# უტვინო თოვლის პაპა

როდესაც საუბრისას უბანში ვინმე შემთხვევით ახსენებდა ფრანსუას მამას, მას მხოლოდ „მებაღეს“ ან „მეყვავილეს“ უწოდებდა. თოვლის პაპას - არასდროს.

და მაინც, ფრანსუა ყვირილს იწყებდა. ფრანსუა ვარდის ნიშნის ქვეშ დაიბადა, ისეთ ქარიშხალსა და თავსხმაში, ბასტილია რომ აღარ მოჩანდა.

ზღვარგადასულად რომ გაბიჟვინდებოდა, „მწეველი ძაღლის“ პატრონი მის სამოქალაქო მდგომარეობას შეახსენებდა ხოლმე:

- რაკი შენს დაბადების დღეს წვიმდა, დამბალმა კი არ უნდა გაატარო დარჩენილი ცხოვრება!

ფრანსუა დაბნეულ ღიმილს სჯერდებოდა. სანიმუშოდ სათნო ტიპი იყო. ყველაფერს ერთი და იმავე ღიმილით იღებდა, გარდა იმ საუბრებისა, რომლებიც წლის ბოლოს პროგრამებსა და აუცილებელ, წითლებში ჩაცმულ კაცს ეხებოდა. საჭირო ხდებოდა მისი შეკავება, რათა ქუჩაში პირველივე განიერ დათბილულ ლაბადას არ მივარდნოდა, წიხლებით არ გაეფანტა სათამაშოები მისი დიდი კალათიდან, ფოტოები რომ არ გამოეგლიჯა ბავშვთა ფოტოგრაფების ხელიდან.

ამაოდ ეძია თავის მოგონებებში, და თუმცა „მებაღეს" ან „მეყვავილეს“ უწოდებდნენ, თავისი „გამნაყოფიერებლის“ ვერავითარი პასტორალური ან ალერსიანი სურათი ვერ ამოუტივტივდა ზედაპირზე. სინამდვილეში, მას კარგად არც იცნობდა: მამისს იმდენიც არ უცოცხლია, რომ მოსწრებოდა, როდის გახდებოდა 7 წლისა ის ადამიანი, ვისაც ნონათვლისას სახელი უბოძა.

მის უკანასკნელ დღეს, უფრო ზუსტად, დედამიწაზე მისი არსებობის უკანასკნელ ნამს ეკავა შვილის მეხსიერების მთელი სივრცე. დანარჩენი კი აზროვნების „მკვდარ სივრცეში“ გამქრალიყო.

როდესაც იგი მის გონებაში შემოიჭრებოდა, ვიღაცის მოუხეშავი ფრაზა რომ გაახსენებდა, ფრანსუა თვალებს ისე ხუჭავდა, როგორც კბილებს აკრაჭუნებენ, როცა იმწამიერი ზმანების გაქრობა უნდათ, მაგრამ ვერ ახერხებენ. სალამოს სიწყნარეში ხშირად ცდილობდა, მოეგონებინა რამდენიმე მშვიდი სცენა ჟემიეს რაიონის სამი გადატვირთული ოთახისა, რომელთა ფანჯრებიდან „საკრე-კერი“ ქათქათა ბეზესავით მოჩანდა მონმარტრის ბორცვზე. იცოდა, რომ მოგონებები იქ იყვნენ, მეხსიერების მისანვდომზე, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა: გრიგალივით იჭრებოდა ყვირილი, და ვერ ახერხებდა იმის გარკვევას, ტელევიზორიდან მოისმოდა თუ მისივე პირიდან ამოდიოდა. ვიღაც ღრიალებდა.

მან არ იცოდა, რას აკეთებდა მისი შემქმნელი, ანდა რა ხდებოდა იმ მარადიულ ღამეს, რომელშიც მისი არსებობა ჩაძირულიყო. მას მომუშავეს ხედავდა მხოლოდ მცენარეების ალმოცენების ან ყვავილების გაფურჩქვნის დროს. მამამისის ორიოდე მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გობარმა უამბო, რომ წლის დასაწყისში ნოტრ-დამ-დე-ვერტუს ტაძართან ბაძგს ყიდდა, მერე კი მოთმინებით ელოდა აღდგომას, რათა ეს მცენარე ბზობის კვირას გამოეტანა კვლავ გასაყიდად, სენ-დენისის სამეფო ბაზილიკის წინ, სანამ ფურისულები დაეუფლებოდნენ ორი-ლა-ვილის მიდამოებს გაზაფხულის პირველი სხივების მოფენისას. სამი კვირის განმავლობაში სახლში ნარგიზების ღეროები ეწყო შეფერილ ხსნარში, რომელიც ყვავილების ფურცლებს და გვირგვინებს ცისარტყელას ფერებით, ლურჯად, მწვანედ, იისფრად, სისხლისფერ წითლად აელვარებდა. გადაქანცული სულს ოდნავ მოითქვამდა, მერე კი მტკიცედ უნდა ებრძოლა მერიის მოედანზე, 1 მაისს, რათა ასფალტის თავისი წილი მოერთო სურნელოვანი შროშანებით, რომლებიც სანადირო დაცულ ტყეში, სენლის მხარეს იზრდებოდა; ყვავილებს ღამით იპარავდა. ხანდახან სოკოებსა და კურდღელსაც გამოაყოლებდა ხელს მორტფონტენში ექსპედიციებიდან. ამის მერე „მეყვავილე" ისვენებდა, - გაანდეს მას.

საქმეს მხოლოდ ნოემბერში შეუდგებოდა, მოპარულ ქრიზანთემებს მალულად ასაღებდა ღამით, პარიზის პანტენის სასაფლაოზე, რათა ნაადრევად დაეწყოთ ნათესავებს, რომლებიც ჩქარობდნენ ტუსენის მოლიპულ გზებს გაჰყოლოდნენ. ზამთრის დადგომისთანავე „მეყვავილე" დღითიდღე უფრო მეტად უჭვრეტდა გასაღებით ჩაკეტილ კარადას, რომელშიც ეწყო ბოტები, გოდორი, ყალბი წვერი, დათბილული ლაბადა. მაგრამ ცდუნებას უძლებდა და ნაფტალინით დათოვლილ სათამაშო ნაკრებს მხოლოდ შობის წინა ღამეს გამოალაგებდა ხოლმე.

ფრანსუას არასდროს უნახავს უსხეულო სამოსი საკიდზე. აკვირდებოდა რა წითლებში გამოწყობილ კაცს, ბინაში რომ რაღაცით დაკავებულიყო, პირველი ხუთი წლის განმავლობაში მას სჯეროდა, რომ თოვლის პაპა ოჯახის წევრი იყო, როგორც ბიძია ანრი, დივანზე რომ იწვა ხოლმე, ფლერი-მეროჟიში, თავის მეორე სახლში წასვლამდე. არც ის აკვირვებდა, თეთრწვერა მოხუცი ხელს რომ ჩაჰკიდებდა და ფერაგუსუს ქუჩაზე მიჰყავდა, იაფი უნივერმალის წინ, სადაც მათ ტაბურეტი და ტარზანი ელოდა, მამამისის ერთ-ერთი მეგობარი, რომელიც ფოტოგრაფიაში ასე თუ ისე ერკვეოდა. როდესაც ბრბო აღარ აქცევდა ყურადღებას, წვერებიანი წინაპრის მუხლებზე მოკალათდებოდა, რათა მოყიალეთათვის სურათის გადაღების სურვილი აღეძრა, და მკვეთრი შუქიც გაიელვებდა.

არავის შეუმჩნევია, 1986 წლის 24 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, ორმა კაცმა როგორ გადაკვეთა ვარსკვლავებით მოჭედილი ქუჩები, როგორ შევიდნენ ბანკის ფილიალში, თან სახეებზე ნიღბები ჩამოიცვეს, მერე ბანკის თანამშრომლებს მიუშვირეს იარაღი... საჭირო გახდა, მჭიდები კედლებზე მიეცალათ, რათა ურჩ მოლარეს განგაშის ღილაკზე დაეჭირა, თავები რომ აეწიათ, თვალები რომ გადმოეკარკლათ. ერთი წუთის მერე ყაჩაღები ტროტუარზე გამოცვივდნენ, უნივერმალის წინ, ნადავლი ამძიმებდათ და სირბილი უჭირდათ, უქნარა პოლიციელები კი პოზიციებს იკავებდნენ თევზის მაღაზიის წინ, ზურგით ეყუდებოდნენ დახვავებულ ხამანწკებს, კიბორჩხალებს, ოხრახუშიანი კარაქით ამოვსებულ ლოკოკინის ნიჟარებს. პირველმა ტყვიამ ხამანწკა ზუსტად იმ წამს დაამსხვრია, როდესაც დახელოვნებული ფოტოგრაფი განათების ღილაკს აჭერდა, და კადრში თოვლის პაპა და მისი შვილი მოაქცია, ხალხისთვის რომ მოეჩვენებინა, თითქოს საქმე დალხენილად მისდიოდა.

ერთ-ერთი პოლიციელი უნებლიეთ შემობრუნდა შუქისკენ, რომელიც ერთ-ერთი დამქაშის გასროლილი ეგონა. სამი ტყვია გაისროლა, ერთი ტარზანს მოხვდა ყელში, ორმა კი წითლებში ჩაცმულ კაცს თავის ქალა აუფეთქა. სისხლი თითქოს შეინოვა ლაბადის ფერმა, სანამ ფრანსუა თბილი და თეთრი ნივთიერების დინებას იგრძნობდა.

და პირიდან ამოუშვა ღრიალი, რომელიც აღარასოდეს შეწყვეტილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოლკერ ვაიდერმანი

# ჩვენ, მანები

გერმანულიდან თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა და ეკა რაისნერმა



ისინი იყვნენ ეგოცენტრულები, თვითირონიულები, მედიაქსელის მფლობელები და სექსუალურად განსხვავებულები, ისინი სხვა გერმანიას წარმოადგენდნენ - და ამ ყველაფერს ქალი ხელმძღვანელობდა. რატომ ტოვებს თომას მანის ოჯახი დღესაც ესოდენ თანამედროვე შთაბეჭდილებას?

1949 წლის მაისში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაარსებამდე ცოტა ხნით ადრე, კლაუს მანს მშვენიერი იდეა დაებადა: სამხრეთ საფრანგეთიდან, სადაც მან ის-ის იყო დაასრულა ანტინარკოტიკული მკურნალობა, დედასა და უფროს დას, ერიკას, მოსწერა: ხომ კარგი იქნებოდა, მამას ახალი სახელმწიფოს პრეზიდენტობა რომ შესთავაზონო. მომავალი საპრეზიდენტო ოჯახის ფუნქცია-მოვალეობებიც იოლად გადაანაწილა: „მე ვიზრუნებდი იმაზე, რომ მხოლოდ ჰომოსექსუალებს მიეღოთ კარგი თანამდებობები, სამკურნალო მორფის გაყიდვას დავუშვებდით, ერიკა რუხ კარდინალად მოგვევლინებოდა გოდესბერგში, ამ დროს მამა ბონში რუს ელჩთან ერთად რაინის ღვინოს დააგემოვნებდა".

განდიდების მანიამდე მისული თავდაჯერებულობა, თვითირონია, ნარკოტიკებისადმი დადებითი განწყობა, პოლიტიკური მერყეობა, ტენდენციური ჰომოსექსუალიზმი და საკუთარი სამშობლოს მთელი მსოფლიოსთვის წარდგენის დაუოკებელი წყურვილი - ასეთები იყვნენ ისინი, მანები. და კიდევ: ეს იყო წარჩინებული ოჯახი სხვა, კარგი, უკეთესი გერმანიისა. ასე ხედავდნენ საკუთარ თავს და ასე ხედავდნენ მათ სხვებიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნაცისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამ მანები საკუთარი სამშობლოდან გააძევა. Where I am, there is Germany (სადაც მე ვარ, იქ არის გერმანია) - უკარნახა თომას მანმა 1938 წლის თებერვალში ამერიკაში ჩასვლისთანავე გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსს". ის თავად იყო გერმანია და მისი ოჯახიც მასთან ერთად. მარსელ რაიხ-რანიცკიმ ერთხელ მანებს გერმანელი უინძორები უწოდა, ბატონები გერმანული სულის რაიხში, გერმანიის ხელისუფალნი, მათი განადგურება ვერც ნაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებმა შეძლეს და ვერც მოკავშირეთა ბომბებმა.

მას მერე დიდი ხანი გავიდა. 60 წლის წინ თომას მანი გარდაიცვალა, 13 წლის წინ - მისი ბოლო შვილი, ელიზაბეთი. საყვარელი შვილიშვილი ფრიდო, რომელიც რომანში „დოქტორი ფაუსტუსი" ავტორმა დიდი სიყვარულით აღწერა და სასტიკი სიკვდილით მოკლა, დღეს უკვე 75 წლისაა. ამ ოჯახის ისტორია სულ უფრო მეტად ეძლევა დავიწყებას, მაგრამ მანები მაინც ძალიან ახლობლებად რჩებიან ჩვენთვის. თავიანთი წიგნებით, წერილებით, დღიურებით, მთელი ცხოვრებით ისინი ყველა ჩვენგანს, ჩვენს გერმანიას და ჩვენს დროს წარმოადგენენ.

მაშინვე ინუსხები, როგორც კი მათ ისტორიებსა და ახალ წიგნებს კითხულობ, მათაც, წელს რომ იხილეს დღის სინათლე: გაზაფხულზე გამოვიდა მანფრედ ფლიუგეს წიგნი „მანების საუკუნე", ისტორიკოსისა და გერმანისტის ტილმან ლამეს „მანები. ერთი ოჯახის ისტორია" კი სულ ახლახან მიიღო მკითხველმა. ლამემ თავისი წიგნისთვის ციურიხის მანის არქივში დღემდე უყურადღებოდ დარჩენილი ათასობით წერილი და დოკუმენტი გადაამუშავა. წერისას სრულიად განსხვავებული მეთოდი აირჩია. ეს არის წიგნი რვა გმირით, ერთის ნაცვლად. ნობელის პრემიის ლაურეატი თომას მანი ერთ-ერთი მათგანია. ოჯახის დანარჩენი წევრების გვერდით თომას მანის რიგითმა წევრობამ ნაწარმოებში აღწერილი ისტორია ყველა დროის დიდ გერმანულ საოჯახო საგად აქცია.

უამრავი ფაქტი განაპირობებს იმას, რომ ის ძველი მანები ლამის ჩვენს თანამედროვეებად გვევლინებიან: მათი დიდი შეცდომები, ეგზჰიბიციონისტური მიდრეკილებები, სურვილი, რომ ყველაფერი მაშინვე გამოაქვეყნონ, საკუთარი თავის ინსცენირების უნარი, მშობლების პრობლემები შვილების აღზრდაში, შვილებისთვის მინიჭებული თავისუფლება, რომელიც თითქმის ყველას შემთხვევაში კატასტროფით დასრულდა, მშობლების კაპიტულაცია და შვილების სკოლა-ინტერნატებში ჩაბარება, ექვსიდან ოთხი შვილის ფსიქოთერაპიები, ერთი ლტოლვილადქცეული ოჯახის (მართალია, ძალიან მდიდარი ოჯახის) ბედი, რომლის წევრებსაც დროდადრო უნგრული, ჩეხოსლოვაკური, ბრიტანული, ამერიკული პასპორტებიც კი ჰქონდათ, მაგრამ გერმანული არ ჰქონიათ, მუდმივი ფინანსური დამოკიდებულება შვილებისა მშობლებზე, შვილების პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ გაზრდილიყვნენ და საკუთარ თავზე აეღოთ გარკვეული პასუხისმგებლობები, მეორე თაობის მთელი ეს დისფუნქციური, კრახით დასრულებული ოჯახები. ამას ემატებოდა სიკვდილისადმი ლტოლვა, ნარცისიზმი და ისევ და ისევ მოთხოვნილება ყველაფრის, მართლაც ყველაფრის შესახებ წერისა. ამასთან, უმთავრესის შესახებ დუმილისა. ასეთები იყვნენ ჩვენი მანები.

მათ ძალიან ადრე დაიწყეს საკუთარი ოჯახის, როგორც ბრენდის წარმოჩენა, მსოფლიო პრესა აღფრთოვანებას ვერ მალავდა, ისინი ერთად შეებრძოლნენ ჰიტლერის გერმანიას, ამიტომაც უწოდეს amazing family. ყველაზე მეტად უფროსი შვილები კლაუსი და ერიკა ცდილობდნენ, მაგრამ ნობელის პრემიის ლაურეატ თომას მანსაც სერიოზული წვლილი შეჰქონდა თავისი საჯარო გამოსვლებით, ლექციებითა და წიგნებით ჰარმონიული, გენიალური, პოლიტიკურად ერთიანი ლიტერატორების ოჯახის იმიჯის შექმნაში. სინამდვილეში რა ხდებოდა? „მართლაც რა ძაღლური ბავშვობა გვქონდა", წერდა მესამე შვილი გოლო თავის დღიურში. მსგავსი, ან დაახლოებით მსგავსი რამ აქვს დაწერილი ლამის ექვსივე შვილს თავიანთი ცხოვრების ადრეულ თუ გვიანდელ პერიოდში.

ერიკა, კაბარეს მსახიობი და მწერალი, რომელმაც მოგვიანებით მამამისის მეორე ცოლის მსგავსი როლი იტვირთა.

კლაუსი, როგორც უფროსი შვილი, ცდილობდა მამასავით ეწერა, ის მთელი ცხოვრება იტანჯებოდა დიდი კაცის პატარა შვილისა და უმაქნისის იმიჯით.

გოლო, რომელმაც მხოლოდ მამის სიკვდილის შემდეგ მიაღწია წარმატებას, როგორც ისტორიკოსმა და მწერალმა.

მონიკას პატარაობიდან მუდმივად დასცინოდნენ და აწვალებდნენ ოჯახის წევრები, ყველა, პირველ რიგში მამა ხედავდა მას, როგორც სამარცხვინოს, ზარმაცსა და სულელს, თანაც ამ ყველაფერს ღიად აგრძნობინებდნენ. უსამართლობა ცხოვრების ნაწილიაო, ბრძანებდა მამა, ამიტომ სწორი იქნება ბავშვები თავიდანვე თუ მიხვდებიანო.

შემდეგ ბოლოსწინა შვილი, ელიზაბეთი, რომელსაც თომას მანი აღმერთებდა და რომელსაც საშინლად ბანალურ ჰიმნს Gesang vom Kindchen საჯაროდ უმღეროდა. გარდატეხის ასაკის დაწყებასთან ერთად მამის სიყვარული ელიზაბეთისადმი განელდა, მოგვიანებით მან ოკეანეების გადარჩენის საქმესა და ძაღლებისათვის საბეჭდი მანქანის გამოგონებას მიუძღვნა თავი.

და ბოლოს, მიხაელი, რომელიც მამას არ ჰყვარებია, დედას კი პირიქით, ძალიან უყვარდა. მიხაელი დედას ყველა წერილში ფულს სთხოვდა. ის საკმაოდ წარმატებული ალტისტი იყო მანამ, სანამ ერთ-ერთი გამოსვლის წინ თავის კოლეგას, პიანისტ იალტაჰ მენუჰინს, იეჰუდი მენუჰინის დას, დანით არ დაესხა თავს, რის შემდეგაც თავისი მუსიკალური კარიერის დასრულება მოუწია. მიხაელმა გერმანისტობა გადაწყვიტა, თავისი პირველი ნაშრომი „დოქტორ ფაუსტუსზე" დაწერა. ნაწარმოებზე, რომელშიც თომას მანმა თავისი შვილიშვილი და მიხაელის შვილი ფრიდო, ლიტერატურული ხერხების გამოყენებით მოკლა. თომას მანმა შვილს მადლობა გადაუხადა „საუცხოო კრიტიკისთვის".

მიხაელმა და მისმა მეუღლემ, გრეტმა, შვილები, ფრიდო და ტონი, ადრეულ ასაკშივე ბებია-ბაბუასა და ინტერნატს გადააბარეს. სამაგიეროდ, მოგვიანებით, ინდოელი ობოლი გოგონა იშვილეს. ერთ დღესაც მიხაელ მანმა ფრიდოს მისეული აღზრდის პრინციპები ასე აუხსნა: „დისტანციამ, რომლის დაცვაც გადავწყვიტეთ, ცხოვრებაში ხელი არ უნდა შეგიშალოს. მამები და შვილები იმაზე მეტად უნდა მოერიდონ ერთმანეთს, ვიდრე ეს ზოგადად მიღებულია. მე ვთვლი, რომ ჩვენ ჩვენს საქმეს შედარებით უკეთ გავართვით თავი".

მანების ყველა შვილის ცხოვრებაში არსებობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი მოტივი - სიცივე, დისტანცია და მამის მხრიდან უარყოფა, შვილებში ტანჯვას რომ იწვევდა. მამის უმთავრესი თვისებები ყველაზე ზუსტად სწორედ დანარჩენებისგან მოძულებულმა მონიკამ აღწერა, ოჯახში დაცინვით „მიონლეს" რომ ეძახდნენ: „როდესაც მას სცივა, „ბრრ"-ს არ ამბობს და კანკალებს, მაგრამ მის გარშემო სიცივე ისადგურებს." მანს სცივა, მაგრამ ამას არ აჩვენებს, ის ამ სიცივეს ღრმად ატარებს საკუთარ სხეულში, იქამდე, სანამ არ გამოზრდის და თავის გარემოცვას, გარშემომყოფებს არ გადასდებს, ნელ-ნელა მათაც არ გააციებს. თომას მანი - ყინულის მეფე. მას შეეძლო უცებ ისე გაეყინე, რომ არც კი შეგხებოდა.

ეს არის თომას მანის ცხოვრებისეული დრამა. მან ყველაფერი თავის ნაწარმოებებში აღწერა, მაგალითად, გოეთეს შესახებ დაწერილ რომანში „ლოტე ვაიმარში", ანდა „დოქტორ ფაუსტუსში". სიყვარულის დიდი აკრძალვა, საკუთარი თავისთვის ბედნიერების აკრძალვა, რათა ნამდვილ შემოქმედად ქცეულიყო. მისი ცხოვრების სიყვარულს კაცები წარმოადგენდნენ. პაულ ერენბერგისადმი სიყვარულიდან 40 წლის შემდეგ - ეს დაახლოებით „ბუდენბროკების" დრო იყო, წინის წინა საუკუნის მიჯნაზე, ქორწინებამდე რამდენიმე წლით ადრე, თომას მანი დღიურში წერდა: „უფრო მეტად სიყვარული შეუძლებელია". და კიდევ: „ბოლოს მაინც შევძლებ საკუთარ თავს ვუთხრა, რომ ყველაფერი ვიგემე. ხელოვნება იყო ამ ყველაფრის ხელოვნებისეულად წარმოსახვა". 75 წლის ასაკში ოფიციანტი ფრანცლი რომ შეუყვარდა, მაშინაც თავისი ცხოვრებისთვის შექმნილი ფორმულის მეშვეობით ცდილობდა საკუთარი თავის ხელში აყვანას, ამის შესახებ დღიურში წერდა: „მუშაობას დავუბრუნდი და ამით ჩავანაცვლე ბედნიერება. ასეც უნდა იყოს. ეს არის მოწოდება ყველა გენიისა".

თომას მანმა გადაწყვიტა, ცოლად მოეყვანა მდიდარი, ლამაზი და ჭკვიანი კატია პრინგსჰაიმი, ამ გზით საკუთარი ყოფის „ჩარჩოებში მოქცევას", ფარული ვნებების ჩახშობასა და ბიურგერივით ცხოვრებას ცდილობდა, უნდოდა მთლიანად ხელოვნებისთვის მიეძღვნა თავი. მაგრამ წარმატებულ ხელოვანად ქცევის ფორმულამ ის ცივ, უკარება, უნდობელ ადამიანად და მამად აქცია.

ამასთან საოცარია, როგორ ღიად საუბრობდნენ მამისა და ქმრის ჰომოსექსუალობაზე ოჯახში, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ჯიუტად სდუმდნენ. 1927 წელს მანს კლაუს ჰოიზერი, დიუსელდორფელი ხელოვნებათმცოდნის შვილი შეუყვარდა და ეს პიროვნება ორი კვირით თავის სახლში, ანუ მიუნხენის პოშინგერშტრასეზე მდებარე სახლში დაპატიჟა. თომას მანი უფროს შვილებს წერდა: „შენობით მივმართავ, დამშვიდობებისას მისი ერთმნიშვნელოვანი თანხმობით გულში ჩავიკარი." კლაუს მანს კი, რომელსაც ოჯახში აისის ეძახდნენ, მოუწოდებს, შენი ნებით დაიხიე უკან, ჩემს წრეში შემოჭრა არ გაბედოო. მე უკვე ბებერი და სახელგანთქმული ვარ, მარტო თქვენ რატომ უნდა სცოდავდეთო. რა უფრო გასაოცარია ამ წერილში - ის, თუ როგორ ღიად საუბრობს მამა თავის ფარულ ვნებაზე თუ ის, რომ ჰომოსექსუალ შვილს ეხვეწება, საყვარელი არ წამართვაო?

მისი მეუღლე, კატია, ცოტა არ იყოს დააფიქრა მეუღლის ასეთმა ახლებურმა გულღიაობამ სტუმრის მიმართ და ერიკას მისწერა: „საყვარელი ბიჭუკია, მაგრამ ჯადოქარი მეტისმეტად იაკობისეულად მიეცა გრძნობებს." მათი მეორე შვილი გოლო, რომელიც მამის საყვარლის სტუმრობისას ასევე სახლში იმყოფებოდა, წერს, ამ დროის განმავლობაში ეჭვიანობისგან გონება მქონდა დაბინდულიო. ვისზე ეჭვიანობდა? მამაზე? ჰოიზერზე? სიმამაცეზე, გახსნილობასა და გრძნობების გამოვლენაზე?

გოლო მანიც ჰომოსექსუალია, მაგრამ ამას თავისი ძმის, კლაუსისგან განსხვავებით „დიდ და გადამწყვეტ უბედურებად" აღიქვამს. საკუთარი თავი სძულს, ინტერნატ „სალემში"ცოდვისგან უნდა დაიხსნან, დირექტორის რჩევით ფსიქოლოგთან აგზავნიან, რათა ეს უკანასკნელი ავადმყოფური ლტოლვის დაძლევაში დაეხმაროს. მამა არაფერში ერევა, თუმცა ერთხელ შვილს სთხოვს, გამოუგზავნოს ყველაზე სიმპათიური თანაკლასელი ბიჭის სურათი, ლიტერატურული მიზნით.

ამ ოჯახში ყველას უსაზღვროდ და დაკომპლექსებულად უყვარს. კლაუსი ჯერ კიდევ გარდატეხის ასაკში ეგუება საკუთარ ორიენტაციას. ის ხომ მესია, ამით ცხოვრობს, ამაყია, ურცხვი, თავდაჯერებული და თავისუფალი. უფროსი და ერიკა ბისექსუალია, და-ძმას კონვენციები სასაცილოდ არ ჰყოფნის. ზედმეტი სიმამაცის, ინსცენირებისადმი სიყვარულისა და მათ მიერვე დაარსებული თეატრალური დასის რეკლამისთვის ადრეულ ასაკში დაინიშნენ: კლაუსი მწერალ ვედეკინდის ქალიშვილ პამელაზე, ერიკა კი მომავალ ვარსკვლავზე - მსახიობ გუსტავ გრიუნდგენსზე. უკვე საქორწინო მოგზაურობის დროს ერიკა საკუთარი ძმის დანიშნულს - პამელას სწერს,რომ მას, ერიკას, ცხადია, მხოლოდ ის უყვარს. ხოლო კლაუსი კი მოგვიანებით თავისი დის მეუღლის, გუსტავის წინააღმდეგ დაწერს თავის ყველაზე სკანდალურ წიგნს „მეფისტო. რომანი ერთი კარიერის შესახებ". დიახ, შეიძლება ადამიანის წინააღმდეგ დაწერო რომანი, თუ ამ ადამიანს ისე აღწერ, რომ ის ყველამ იცნოს. ეს რომანი დიდი ხნის განმავლობაში გერმანიაში იკრძალებოდა, ან იქნებ სიმხდალის გამო არ ბეჭდავდნენ. ეჭვიანობაა ერთ-ერთი იმ მოტივთაგანი, რომლის გამოც კლაუს მანმა ამ რომანის დაწერა გადაწყვიტა.

კი, მაგრამ ვისზე ეჭვიანობდა? გთავაზობთ ოჯახური სიყვარულების მოკლე ჩამონათვალს: კლაუსს პირველ რიგში ერიკა უყვარს. მისი დღიური სავსეა მინიშნებებით, რომ მხოლოდ ამის გამო ვერ ახერხებს სტაბილური ურთიერთობების აწყობას, რადგან პრინციპში საკუთარი და უყვარს. ელიზაბეთი ისეთი აღფრთოვანებულია ერიკათი, რომ ამ უკანასკნელზე უსაზღვროდ და უიმედოდ შეყვარებულ გამომცემელ ფრიტც ლანდჰოფსიქამდე უგზავნა სასიყვარულო ბარათები, სანამ ოჯახმა ისინი თერაპევტთან არ გაუშვა ამ ავადმყოფური ვნებისგან გათავისუფლების მიზნით. მიხაელი, რომელსაც და-ძმა ბიბის ეძახის, იმხელა ლტოლვას განიცდის კლაუსისადმი, რომ კლაუსი, რომლისთვისაც არანაირი ვნება უცხო არ არის, დაბნეული ნერ

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღიურში: „ბიბი გატრეტილი და უცნაურად აბეზარი იყო. რა კომპლექსები აქვს?“ ხოლო გოლომ ერთხელ მიხაელი ციურიხის ტბაზე ნავზე შეიტყუა, რათა ტბის შუაგულში, უფროსი ძმის თანდასწრებით ძილის წამლები დაელია და თავი მოეკლა. თუმცა, მხოლოდ ცუდად გახდა.

სხვა დროს მიხაელი გოლოს გამოუტყდება: ყოველთვის მეგონა, რომ ჩემი ვაჟი ტონი სინამდვილეში შენი შვილი იყოო. ბოლოს ადგილი ჰქონდა ყველაზე უცნაურ სასიყვარულო ისტორიას, რომელიც თომას მანის სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში ერიკა მანმა მამამისის საუკეთესო მეგობართან, დირიჟორ ბრუნო ვალტერთან გააბა. ეს ის პერიოდია, როცა ერიკა სულ უფრო მეტად ირგებს თომას მანის მეუღლის, კატიას როლს, ის მამისთვის წერილებს წერდა და ა.შ. რა გასაკვირია, რომ ეს სასიყვარულო ისტორია ვალტერთან მისი შვილების ისტორიებიდან ერთადერთი იყო, რომელიც მეტისმეტად ტოლერანტულ დედას არ მოსწონდა: „არა მგონია, ამ კავშირმა დიდხანს გასტანოს. ეს ყველაფერი დიდ შეცდომად მეჩვენება, თითქოს ქალიშვილი საკუთარ მამას მიჰყვებოდეს ცოლად.“

მხოლოდ მიონლე არ ერეოდა შიდა ოჯახურ არეულობაში. ან როგორ ჩაერეოდა, როდესაც ის არავის უყვარდა. მოგვიანებით, ოცდაათიან წლებში, როგორც იქნა იპოვნა ერთი პატივსაცემი კაცი, რომელმაც ის შეიყვარა და ხელი სთხოვა. ოჯახის წევრები ერთმანეთთან მიმოწერაში გაკვირვებას ვერ მალავენ. როგორ? მიონლე? ნუთუ შეიძლება ის ვინმეს უყვარდეს? ამ ტრაგიკული სიცოცხლის განსაკუთრებული ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ მონიკა დაკარგავს მეუღლეს ძალიან ადრე და თანაც განსაკუთრებულად ტრაგიკულად. გემი, რომლითაც მონიკა თავის ქმართან, უნგრელ ხელოვნების ისტორიკოს ჯენო ლანიისთან ერთად 1940 წლის სექტემბერში ევროპიდან ამერიკაში მიემგზავრებოდა, გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. მონიკა შუა ოკეანეში რამდენიმე საათის განმავლობაში ეჭიდებოდა ხის ნაჭერს, სანამ გადაარჩენდნენ. ერიკა უვლის შოტლანდიის საავადმყოფოში მოთავსებულ დას და მომხდარის დეტალებს წერილებში ასე აღწერს: „მონიკას კიდევ სამჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოესმა ჯენოს ხმა ტალღებიდან, მაგრამ მესამედ უკვე ძალიან სუსტად. ის დარწმუნებულია (ალბათ მართალიც არის), რომ ჯენომ ბრძოლა შეწყვიტა, რადგან მონიკა დალუპული ეგონა".

ამ სიტყვების წაკითხვისთანავე კლაუს მანის გონებაში მაშინვე ტრაგიკომიკური იდეა იბადება. ხომ შეიძლება, ჯენო სადმე გამოჩნდეს, მაგალითად ჩრდილოეთ პოლუსთან, ხის ნაჭერს ჩაჭიდებული, შიშით თმაგათეთრებული". მოგვიანებით მან მართლაც დაწერა პიესა ამ უბედურებაზე, მაგრამ არ დაუბეჭდეს.

ეს უჩვეულო ამბავია, ძალიან უჩვეულოა ამ ოჯახისთვის, რადგან, მართალია ბევრ რამეზე არ საუბრობენ, მაგრამ ყველაფერზე წერენ. მანების ოჯახი ხომ ყველაზე მეტად მწერლების ოჯახია, ოჯახი შემდგარი ასო–ნიშნებისგან, თავიანთი წიგნებისთვის საჭირო მასალას ყველა პირდაპირ საკუთარ ცხოვრებაში პოულობს. თომას მანი „ბუდენბროკებით" გახდა პოპულარული. პერსონაჟებად მან საკუთარი ოჯახის წევრები გამოიყენა, სწორედ ასე ჩაეყარა საფუძველი წერის ამ მეთოდს. კლაუს მანი 25 წლის ასაკში წერს თავის პირველ ავტობიოგრაფიას. გოლო მანის პირველი მოთხრობა მოგვითხრობს ინტერნატის მოსწავლეზე, რომელიც მას ძალიან ჰგავს, და რომელიც ძალიან განიცდის საკუთარ ჰომოსექსუალობას. მანამდე გოლოს თითქმის არავისთან უსაუბრია ამ პრობლემაზე. მისი მეგობარი პიერ ბერტრო, ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვანი ადამიანებიდან, ვინც ამის შესახებ იცოდა. მოთხრობა რომ წაიკითხა, მშობლებს მისწერა: „ღმერთო ჩემო, ეს რატომ გამოაქვეყნა?" და თვითონვე უპასუხა: „მანების ოჯახის მანია წერაზე მეტად დაწერილის გამოქვეყნებაა".

ყველაფერი უნდა გამოქვეყნდეს. კლაუს მანის პირველივე მოთხრობაში მოქმედება ოლდენვალდის სკოლაში ვითარდება, იმ ინტერნატში, სადაც თავად სწავლობდა. ლიტერატურულად სუსტად შენიღბული ინტერნატის დირექტორი სკოლის მოსწავლეებს შეუფერებლად უახლოვდება. ამის გამო ოდენვალდის ინტერნატის დირექტორმა საპროტესტო წერილი გაუგზავნა ყოფილი მოსწავლის მამას. წერილში საუბარი იყო შვილისა და ახალგაზრდა მწერლის პასუხისმგებლობაზე, იმ სხვაობაზე, რომელიც ლიტერატურასა და სინამდვილეს შორის არსებობს, ამ სინამდვილეში კი მე არანაირი სექსუალური გადაცდენები არ მქონიაო - წერდა დირექ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორი.

ოჯახში ლიტერატურა სიმართლის აგრეგატად მიიჩნეოდა. თუ შვილებს სურთ, გაიგონ რას ფიქრობს მამა მათზე, ამისთვის მის წიგნებში ჩახედვაც კმარა. მოთხრობაში „რია–რია და ნაადრევი წუხილი" თომას მანს ოჯახის წევრებიდან ყველა საკუთარ ამპლუაში ჰყავს აღწერილი. ერიკა, რომელსაც ინგრიდი ჰქვია, სკოლის დამთავრებას თვალების პაჭუნითა და მასწავლებლების მოხიბვლით ახერხებს. კლაუსს, ბერტის სახით, საერთოდ არ სურს სკოლის დამთავრება, მეოცნებეა და სანუკვარ პროფესიად ქაიროში მოცეკვავეობა ან ოფიციანტობა მიაჩნია. ამ მოთხრობას კლაუსმა „საბავშვო ნოველით" უპასუხა, სადაც თავისი ძმა გოლო, რომელსაც ფრიდოლინს არქმევს, გამოყვანილი ჰყავს ინტელიგენტ, მაგრამ პატარა, მახინჯ, დემონურ, მლიქვნელ და უცნაური პატივმოყვარეობით შეპყრობილ ბიჭად.

ეს ოჯახი სწორედ იმიტომ არის დღესაც ჩვენთვის ასეთი ახლობელი, რომ ყველას ახასიათებდა მოყოლის ეს თანამედროვე მანია. ისინი ხშირად იფანტებოდნენ მთელ მსოფლიოში, ამიტომ მუდამ იქით-აქით აგზავნიდნენ წერილებს, ისე, როგორც დღეს მეილები იგზავნება. დედისადმი მიწერილ წერილებში შვილები ძირითადად ფულზე საუბრობენ. ტილმან ლამე ამას მანების ოჯახის მიმოწერის „ოქროს წესს" უწოდებს: არც ერთი წერილი არ მისწერო დედას ფულის მოთხოვნის გარეშე.

მიხაელი თხოვნის წერილების წერის ნამდვილი დიდოსტატი იყო. 18 წლის რომ გახდა, დედამ დაბადების დღის საჩუქრად საკმაოდ დიდი თანხა გადმოურიცხა ფიატის საყიდლად. მან ამ ფულით ბუგატი იყიდა და ზედმეტად გადახდილი თანხის ანგარიში ისევ დედას გაუგზავნა. დედის მხრიდან შვილის ოდნავი გაკიცხვის მცდელობასაც კი პასუხად მაშინვე მოსდევს: საყვედური შენ გეკუთვნის ჩემდამი გამოჩენილი სირბილის გამო: „რა გგონია, შენი სისუსტეები ჩემ მიმართ მსიამოვნებს?"

ესეც, ანუ მათხოვრობა, ალბათ მამისაგან ისწავლეს შვილებმა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ თომას მანი ამერიკაში მილიონერის ცოლს, აგნეს ე. მაიერს იყენებს, სარგებლობს იმით, რომ ქალი მწერალს ალმერთებს და ალბათ უყვარს კიდეც, სულ უფრო და უფრო თავხედურად სთხოვს ფულსა და საჩუქრებს, ფულს ახალი სახლის მშენებლობისთვის, ზურმუხტის ბეჭედს, წერილობით აცნობებს იმასაც, რა საჩუქრები სურთ საშობაოდ მის შვილებს, და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც ოჯახში ქალზე ამრეზით საუბრობენ, კატია „მდიდრების მზარდ თავხედობაზე" ბრაზდება, ხაზს უსვამს თავიანთ გასაოცარ სიამაყესა და მილიონერებისადმი თავდაჯერებულ ზიზღს.

ამასთან არც მანებს აკლდათ სიმდიდრე. თომას მანი ხომ ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვანი ემიგრანტებიდან, ვინც უცხოეთშიც მშვენივრად აიწყო ცხოვრება საკუთარი შემოსავლებით. და ეს სიმდიდრე დღესაც მიმზიდველს ხდის ამ ოჯახს. თანამედროვე, უზარმაზარი სახლი პალმების ქვეშ კალიფორნიაში, საუცხოო მანქანები, რომელთაც, რა თქმა უნდა, ქალები მართავდნენ, თომასი არასდროს ჯდებოდა საჭესთან, კლაუსი მოგვიანებით ცდილობდა მართვას, მაგრამ სავალალო შედეგებით. საჭესთან ძირითადად კატია იჯდა, ეს უზომოდ ამაყი, ძლიერი ქალი. ის ცხოვრობს კაცთან, რომელიც (რადგან ფულზე ვსაუბრობთ) შეკვეთას კურიერს უკანატანდა ( სახლში მარტო თუ დახვდებოდა), რადგან არ იცოდა, სად იდო ფული.

კატია ამ ოჯახურ ფირმას მთელ მსოფლიოში მიუძღოდა: ქმარს, რომლისთვისაც ყოველდღიური ცხოვრება უცხო იყო, ამ თავისებურ შვილებს, რომლებიც ასე დიდხანს რჩებოდნენ ბავშვებად. მანების ოჯახს ქალი მართავდა. ქალური თავდაჯერებულობა გადასცა უფროს ქალიშვილსაც, რომელიც ადრეულ ასაკშივე პრაგმატულად წერდა: „დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს მწერალი ქალის ახალი ტიპი, რომელიც ყველაზე პერსპექტიულად მეჩვენება ამჟამად: ქალი, რომელიც რეპორტაჟებს აკეთებს, წერს სტატიებს, პიესებსა და რომანებს. ის იცნობს სამყაროს, ყველაფერში ერკვევა, აქვს იუმორის გრძნობა, ჭკვიანია, საიმისო ძალაც შესწევს, რომ გაჩერდეს".

ეს ბოლო ძალა ერიკას, ისევე, როგორც მისი და-ძმების უმეტესობას, არ გააჩნდა. ეს ძალაც უფრო დედის თვისებაა. მთელი მისი უანგარო სიბრძნე თუნდაც იმ გადაწყვეტილებაში გამოიხატა, რომ ამ ეგზჰიბიციონისტების ოჯახიდან ერთადერთს მას არ აუღია კალამი ხელში, არც მხატვრული ტექსტები უწერია და არც მემუარები. ეს, ცხადია, ოჯახის სხვა წევრებს არ უშლიდა ხელს იმაში, რომ მისი საუბრებიდან და მომხდარი ამბებიდან შეექმნათ მისივე „დაუწერელი მემუარები". ის ფაქტი, რომ ისიც მუშაობდა ამ amazing family-ს დიად მისტიფიკაციაზე, აქაც მშვენივრად ჩანს: ჰყვება, რომ ნაცისტების მთავრობამ გერმანიაში სამგზავრო თვითმფრინავები აიძულა ძალიან დაბლა ეფრინათ, რათა მგზავრების ამოცნობა შესაძლებელი ყოფილიყო. თურმე ერთ-ერთი ასეთი ფრენისას, მიწიდან ნასროლი ტყვიით მოკლეს კაცი, რომელიც მისი მეუღლე ეგონათ. ეს ამბავიც ლეგენდების იმ აურაცხელი საგანძურიდანაა, რომელმაც ეს ოჯახი ესოდენ ბუმბერაზი გახადა.

ისინი ისტორიების დიდი მთხრობელები იყვნენ, ამ ოჯახმა ჰიტლერის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედა. თომას მანი დიდხანს ყოყმანობდა, ბავშვებმა და მეუღლემ ერთად დაიყოლიეს ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ღია ბრძოლაზე, ისინი იყვნენ პატივმოყვარე, საკუთარ თავზე შეყვარებული, ჭორაობის მოყვარული, უსამართლო ადამიანები და წერდნენ ფანტასტიკურ წიგნებს. რა დასანანია, რომ ახალი გერმანიის სათავეში კლაუს მანის იდეის მიხედვით ამ ოჯახის საბჭო არ მოვიდა და თომას მანი პრეზიდენტი არ გახდა. კლაუს მანმა მანების ოჯახის სახელმწიფოში პირველი საოჯახო სტატუსის გამოგონებიდან რამდენიმე დღეში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სინამდვილეში ისინი ჩვენს საპრეზიდენტო ოჯახად დარჩნენ. და ჩვენ ისევ ისე ვპოულობთ საკუთარ თავს ამ წინააღმდეგობრივ, დისფუნქციურ, უცნაურ, ნარცისულ, მარცხით სავსე ოჯახში. მანები ჩვენ ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 75 წლის ფსიქოლოგი და მწერალი ფრიდო მანი, თომას მანის შვილიშვილი, საკუთარ ცხოვრებაზე

გერმანულიდან თარგმნეს ნატალია ნადირაშვილმა და ეკა რაისნერმა



**შპიგელი - ბატონო მან, თქვენ ხართ მიხაელ მანის შვილი და თომას მანის საყვარელი შვილიშვილი. ბაბუათქვენი ხოტბას ასხამდა თქვენი თვალების „ცის სილურჯეს". შეიძლება ითქვას, რომ თქვენ იმ საყოველთაოდ გავრცელებული თეზისის საპირისპირო მტკიცებულებას წარმოადგენთ, რომლის მიხედვითაც თომას მანი გამანადგურებელ სიცივეს იჩენდა საკუთარი შთამომავლების მიმართ?**

**ფრიდო მანი -** ჩემი ოჯახის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიათა უმეტესობაში, მაგალითად მარიანე კრიულთან ან კლაუს ჰარპრეხტთან, ბაბუას ვერასდროს ვცნობდი. სულ ვფიქრობდი, ნუთუ ეს ის კაცია? ეს ბოროტი კაცი? ჩემი გამოცდილება სრულიად საპირისპიროს მიმტკიცებს. ბაბუა ძალიან ყურადღებიანი მახსოვს, მისმა ღიმილებმა საბოლოოდ დამარწმუნა ამაში.

**- თომას მანი აღფრთოვანებული იყო თქვენით - „გულწრფელად აღმაფრთოვანებს მისი მომხიბვლელობა" - წერდა 1941 წელს. 1955 წლის 29 ივლისით დათარიღებულ ბოლო ჩანაწერშიც თქვენ გახსენებთ. ეს მაშინ, როცა თქვენი ოჯახის ახალი ბიოგრაფია ყველაფერს მეტისმეტად მძიმე ფერებში აღწერს.**

- ამ ახალი ბიოგრაფიის ავტორს, ტილმან ლამეს არ შემიძლია არ დავუფასო ის ფაქტი, რომ იგი ზუსტად აღწერს, როგორ ზრუნავდა ბაბუაჩემი ექვსივე შვილზე. რაც შეეხება შვილებს, თავიდანვე საშინელი, მართლაც რომ გადარეული ბავშვები ყოფილან, სწორედ ისე, როგორც წიგნში ვკითხულობთ.

**- ანუ ბავშვები იყვნენ ცუდები?**

- დიახ. ჩემთვის ბაბუა ის პიროვნებაა, რომელიც მუდამ გვერდით მყავდა. წლინახევრისა ვიყავი, მშობლებმა ორი თვით ბებია-ბაბუასთან რომ დამტოვეს. დედაჩემი ვერც მაშინ მიტანდა, ჩემს ძმაზე რომ იყო ორსულად. ისე, რომ ბებია-ბაბუასთან კარგა ხანს ვცხოვრობდი. ჩემი ძმა პირველად რომ ვნახე, უკვე რვა კვირის იყო. ვუყურებდი და ვერ ვხვდებოდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ბაბუა თავისი შინაგანი სიმშვიდით სრულიად განსხვავდებოდა ნერვული მამაჩემისგან.

**- ოჯახის ყველა ბიოგრაფი ერთხმად აღწერს: ექვსი შვილიდან ხუთი უბედური იყო, გამონაკლისს უმცროსი ქალიშვილი, ელიზაბეთი წარმოადგენდაო. შვილების უბედურებას რაღაც მიზეზი ხომ უნდა ჰქონოდა.**

- შეიძლება ბებიამ და ბაბუამ თავიანთ შვილებს მეტისმეტი თავისუფლება მიანიჭეს, ფინანსური თვალსაზრისითაც კი. ბებია კატია ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. უკვე არც ისე ახალგაზრდა მამაჩემს ყველანაირ, მათ შორის ფულთან დაკავშირებულ სრულიად აბსურდულ და ზღვარგადასულ მოთხოვნებსაც კი უსრულებდა.

**- ბაბუათქვენის, როგორც გულცივი მეოჯახის იმიჯი ასე უბრალოდ ხომ ვერ ჩამოყალიბდებოდა. არსებობს მტკიცებულებები, სადაც ის ძალიან კრიტიკულად საუბრობს საკუთარ შვილებზე.**

- ბოლო ხანებში ბევრი ისეთი წერილიც აღმოაჩინეს, ამის საპირისპიროს რომ ამტკიცებს, მაგალითად, როგორ აქებს ბაბუა მამაჩემს - კარგი მუსიკოსი დადგა, არსებობს არაერთი თბილი და გამამხნევებელი წერილი კლაუსისა და გოლოს მისამართითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**- როგორ ფიქრობთ, რატომ დაიმკვიდრა განსაკუთრებულად დიდი ადგილი შეფასებამ: თომას მანი, როგორც ხელოვანი, საყოველთაოდ აღიარეს, ხოლო როგორც მამა, დამარცხდაო?**

- მე მგონი, ეს უბრალოდ ადამიანების საყვარელი კლიშეა. ყოველთვის ცდილობენ დიდი პიროვნებების კვარცხლბეკიდან ჩამოგდებას. ჰარპრეხტი ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში იმასაც ამტკიცებდა, რომ, თურმე,ბაბუაჩემს მდიდარი კატია ანგარების მიზნით შეურთავს ცოლად.

**- სხვადასხვა წყაროთი მტკიცდება, რომ თქვენს ბებიასა და ბაბუას ერთმანეთი მართლაც ჰყვარებიათ, მაგრამ ისიც ცნობილი ფაქტია - ბაბუათქვენს სინამდვილეში ქალები კი არა, კაცები იზიდავდა.**

- რა თქმა უნდა, მას ეს მიდრეკილება ჰქონდა. ოფიციანტი თუ მოეწონებოდა, ხელში ხუთ ფრანკს უტენიდა და ა.შ. ამ დროს თავს უხერხულად გრძნობდა, ძალიან საყვარელი იყო. მან ეს მიდრეკილება ლიტერატურულად გადაამუშავა, არასოდეს მიუცია საკუთარი თავისთვის ავანტიურაზე წასვლის უფლება. თანაც კატია იმდენად უყვარდა, არა მგონია, კაცებთან საქმე დაეჭირა, სხვაგვარად ექვსი შვილი როგორ ეყოლებოდათ.

**- ბაბუათქვენს ჰყავდა ცოლი, რომლის გარეშეც ცხოვრება არ უნდოდა, რომელთანაც ექვსი შვილი ჰყავდა და ამ დროს კაცებს აღმერთებდა - ბაბუათქვენმა თავის ნაწარმოებებში, დღიურებსა თუ წერილებში დაგვანახა, თუ როგორ ამბივალენტურ მდგომარეობაში შეიძლება იმყოფებოდეს ადამიანი. სწორედ ამაში ხომ არ მდგომარეობს თქვენი ოჯახით საყოველთაო აღფრთოვანების საიდუმლოება, იქნებ ადამიანები საკუთარ თავს ამოიცნობენ ხოლმე მათსავე ცხოვრებისეულ ჭიდილში?**

- დიახ, ეს არის საკუთარი ისტორიების პროექცია.

**- თქვენ ფსიქოლოგიის პროფესორად მუშაობდით. ეს პროფესია იმიტომ ხომ არ აირჩიეთ, რომ საკუთარი ოჯახის ისტორია გადაგემუშავებინათ?**

- არა, სიღრმისეული ფსიქოლოგია არასოდეს მაინტერესებდა. მიუნსტერში ვსწავლობდი, იქ კი სამოცდაათიან წლებში სპეკულატურ ფსიქოლოგიას ბოლო მოუღეს. განავითარეს ისეთი მეტრული მეთოდები, რომელთა სტატისტიკურად გაანალიზებაც შესაძლებელია. დღეს უკვე სხვა ტენდენციებია, თუმცა მაშინ გვეამაყებოდა ის ფაქტი, რომ საბუნებისმეტყველო ორიენტაციის ფსიქოლოგიას მივდევდით. მე ფსიქოლოგებზე მეტად ექიმებს ვაფასებ, ექიმებს სრულიად განსხვავებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ჩემი პირველი პრაქტიკა ფსიქიატრიაში გავიარე, გაოცებული დავრჩი პაციენტთა მდგომარეობის სიღრმეებით.

**- ბევრი რამ ალბათ თქვენი ოჯახიდანაც გეცნობოდათ.**

- დიახ, ჩემს ოჯახში ბევრი რამ იყო ფსიქიატრიული, პრობლემატური, მაგრამ პროფესია ამ მიზეზით არ ამირჩევია. ეს ძალიან იოლი ახსნა იქნებოდა.

**- მამათქვენს ძალადობისკენ ჰქონდა მიდრეკილება. მან თავისი ძაღლი მოკლა, საკუთარ ცოლს, დედათქვენს სცემდა. შეგიძლიათ დიაგნოზი დასვათ?**

- დიახ, ნამდვილად საშინელება იყო. ჩემი აზრით, მამა და მისი და-ძმა ძალიან ნერვული ადამიანები იყვნენ. ეს უკვე საკმარისია. აქ არ ყოფილა რამე ენდოგენური, ანუ ფიზიოლოგიური საფუძველი არ არსებობდა, მაგალითად ფსიქოზი. შეიძლება ციკლოთიმიის ნიშნები ჰქონდათ, ეს არის ცვალებადობა ეიფორიულსა და მძიმე დეპრესიულ მდგომარეობას შორის.

**- თქვენი ოჯახის წევრები თქვენზე ეჭვიანობდნენ, მათ შორის მამათქვენიც, რადგან თომას მანის სიყვარული თავიდანვე გარანტირებული გქონდათ. როგორ იმოქმედა ამან თქვენს ცხოვრებაზე?**

- ვიტყოდი, რომ ეს კარგი არ არის. მათი მიმოწერიდანაც კარგად ჩანს, თავს როგორ მესხმიან, ერთმანეთის მიყოლებით. რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უფრო მეტად ვცდილობდი საკუთარი ადგილი მეპოვა. ახლა ეს აღარ მაწუხებს. საშინელება იყო ოთხმოციან წლებში კრიტიკოსები რომ მიპირისპირდებოდნენ, მაშინვე, როგორც კი წიგნების წერა დავიწყე - მისი შვილიშვილიაო. ამ დროს ყველაფერი ხელახლა განვიცადე, მაგრამ ესეც დავძლიე.

**- ბავშვობაში თუ ამჩნევდით, რომ ეჭვიანი ადამიანების გარემოცვაში იყავით?**

- ალბათ ვამჩნევდი. ბავშვები ხომ დიდებზე ბევრად მგრძნობიარენი არიან. მე თვითონ მიმუშავია კლინიკაში მძიმე ავადმყოფ ბავშვებთან, სიცრუისგან დამცავი მექანიზმები მათში ჯერ კიდევ სუსტია, განსხვავებით ზრდასრული ადამიანებისგან. ბავშვები ყურადღებიანი და მგრძნობიარე არსებები არიან.

**- „დოქტორ ფაუსტუსში“, რომანში, რომელიც ბაბუათქვენმა 1947 წელს დაასრულა, არის ბავშვი, რომელიც თქვენ გგავთ: ნეპომუკ შნაიდევაინი - ეხოს ეძახიან და მთავარი გმირის, ადრიან ლევერკიუნის ძმისშვილია, მისი „ბოლო სიყვარულია“. ბაბუათქვენის ასეთი აღფრთოვანება არასასიამოვნო გრძნობას ხომ არ ბადებს თქვენში დღეს, როცა უკვე ყველამ იცის მისი სიყვარულის შესახებ პატარა ბიჭებისა და ახალგაზრდა კაცებისადმი?**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ მხრივ არაფერი განმიცდია, სრულიად არაფერი, არასოდეს.

**- ბაბუათქვენის ნაწარმოებებში სიყვარული და სიკვდილი განუყრელია. ასეა მის ადრეულ მოთხრობაში „ტრისტანი“, შემდეგ „სიკვდილი ვენეციაში“ და მის გვიანდელ შემოქმედებაშიც - „ფაუსტუსში“. ამიტომ მოკლა ბაბუათქვენმა ბავშვი ეხოც. ამ ფაქტს თომას მანის უგულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად იყენებენ: თავისი ნაწარმოებისთვის საყვარელი შვილიშვილიც კი ბოროტად გამოიყენაო. თვლით, რომ ბოროტად გამოგიყენეს?**

– უფრო ახალგაზრდა რომ ვიყავი, ამ სიკვდილის სცენამ დამაბნია. დიდხანს მეგონა, რომ ბაბუამ სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე ჩემგან თავი შორს დაიჭირა. ვფიქრობდი, რომ ამ სცენასა და ჩემ მიერ ნაფიქრ განვითარებას შორის გარკვეული კავშირი არსებობდა, მაგრამ მისმა დღიურებმა დამანახვა, ეს მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა, ბაბუას ბოლომდე ვუყვარდი. გარდა ამისა, ამასობაში მეც ვწერ წიგნებს, ვიცი, ავტორი ნაცნობ ფიგურებს თავის ნაწარმოებებში იყენებს და მათ ისე ექცევა, როგორც უნდა.

**– „ფაუსტუსში" თომას მანი ახალი მუსიკისა და თეოლოგიის თემას აანალიზებს. თქვენ არა მარტო ფსიქოლოგი, არამედ თეოლოგი და მუსიკოსიც**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბრძანდებით - „ფაუსტუსის“ თემები თითქოს თქვენ თავადაც უნდა შეგეგრძნოთ.**

–არ უნდა შემეგრძნო, მაგრამ მინდოდა. ამასთან „ფაუსტუსში“ პირველ რიგში თეოლოგიის თემა მაინტერესებდა. ეს არის დამარცხებისა და დაღმასვლის წიგნი, ომში დაწერილი, მაგრამ ის მაინც იმედის ნაპერწკლით მთავრდება. იმ დროს ბაბუა უნიტარული ეკლესიის მიმდევარი იყო, ოთხივე შვილიშვილი იქ მოანათვლინა. უნიტარული ეკლესიის მიმდევრები პირველ რიგში ტოლერანტულები არიან, ისინი მთავარს იღებენ სხვა რელიგიური გაერთიანებებიდან, რაც მშვენივრად ეწყობოდა მის ჰუმანისტურ განწყობას. ამავდროულად ეს ეკლესია მის დასაყრდენს წარმოადგენდა იმ ბნელ დროში, ბაბუაჩემი ხომ სასოწარკვეთილი იყო - ფაშიზმი, მეორე მსოფლიო ომი და ომის მერე განვითარებული მოვლენები დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაყოფასთან დაკავშირებით.

**– თქვენი ოჯახი 1933 წელს ნაცისტებს გერმანიიდან გაექცა. მას შემდეგ ბაბუათქვენი სულ ემიგრაციაში ცხოვრობდა: საფრანგეთში, შვეიცარიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მერე ისევ შვეიცარიაში. თქვენ თვითონაც ემიგრაციაში დაიბადეთ. როგორ იმოქმედა ამ გაქცევამ თქვენს ოჯახზე?**

– ბაბუა ძალიან განიცდიდა სამშობლოს დაკარგვას, ისევე, როგორც სხვა მწერლები: მისი ძმა ჰაინრიხი, ან შტეფან ცვაიგი. კლაუსიც, ბიძაჩემიც, საბოლოოდ ამის გამო დაიღუპა. მამაჩემმა ცხოვრება სხვა მიზეზით გაინადგურა, ამას ემიგრაციასთან მაინცადამაინც დიდი კავშირი არ ჰქონია. როდესაც ფესვები აღარ გაქვს, უფრო ადვილად სწყდები რეალობას.

**– ბაბუათქვენი თავისი წიგნებით კარგ ფულს შოულობდა, შეერთებულ შტატებში მეცენატი ქალიც კი ჰყავდა, რომელიც კალიფორნიაში ვილის მშენებლობაში დაეხმარა. ბევრ სხვა ემიგრანტ ხელოვანს შურდა მისი. ეს მხოლოდ გამართლება იყო თუ უნარი იმისა, რომ ბაბუას ყოველთვის შეენარჩუნებინა სიმშვიდე და, როგორც თავად ამბობდა, საკუთარ თავზე კონტროლი არასდროს დაეკარგა?**

– ბაბუა ბედის ნებიერა იყო, ეს რჩეულთა ხვედრია. მაგრამ ბაბუა მართლაც იბრძოდა იმისათვის, რომ ემიგრაციაში ყოფნისათვის აზრი მიეცა, ცდილობდა კოსმოპოლიტიზმი ჩამოეყალიბებინა. ჩვენ ხომ დღესაც იმავე კითხვებს ვსვამთ. რა ხდება ლტოლვილებთან დაკავშირებით? არის თუ არა ემიგრაცია ერთგვარი შანსი მათთვის? მათ ხომ ყველანაირი წინააღმდეგობის გადასალახად სერიოზული ძალისხმევის გაღება უწევთ? მოდიან აქ, მოითხოვენ და რაღაც მართლაც გამოსდით. მე მჯერა, რომ აქ მხოლოდ გატეხილი, განადგურებული ხალხი არ ჩამოდის. მათ ამ გაჭირვებამ გარკვეული ძალაც შესძინა.

**– თქვენ სხვადასხვა წიგნებში განიხილეთ ემიგრაციის თემა, ასახეთ ორივე შესაძლებლობა: ემიგრაციაში დამარცხებაც და ემიგრაციის გავლენით გაზრდაც. როგორ შეიძლება გაქცევას ბედნიერი დასასრული ჰქონდეს?**

– ახალგაზრდებისთვის უფრო ადვილია გარემოებებთან შეგუება, ასე იყო ჩემს ოჯახშიც. ელიზაბეთი, ბებიაჩემისა და ბაბუაჩემის უმცროსი ქალიშვილი, თავის და-ძმაზე უკეთ შეეგუა ყველაფერს. ამავდროულად ძალიან ბევრია დამოკიდებული იმ საზოგადოებაზე, რომელიც გიღებს. საოცარია, როგორ განვითარდა გერმანია. ჩემი ოჯახი ხომ ნაცისტური პერიოდის გამო ყოველთვის აკრიტიკებდა გერმანიას, მაგრამ ჩემმა მამიდაშვილმა ნიკამ, ელიზაბეთის შვილმა, რომელიც ჩემსავით აშშ-ში დაიბადა, მაგრამ ჩემგან განსხვავებით არასოდეს ყოფილა გერმანიაში, ერთხელ მითხრა: Boy, they learned, მართლაც გასაოცარია, როგორ განვითარდნენ გერმანელები.

**– შემთხვევითობაა, რომ ახლა მიუნხენში ცხოვრობთ, ქალაქში, საიდანაც თქვენი ოჯახი ემიგრაციაში წავიდა?**

– არა მგონია, რომ ეს შემთხვევითობა იყოს. ვგრძნობ, ჩემი ადგილი აქ არის.

**– ზემოთ ახსენეთ, რომ მამათქვენის განადგურების მიზეზი სხვა რამე იყო, ემიგრაცია არ ყოფილაო. მაინც რა მიზეზი იყო? საკუთარი მამის მხრიდან სიყვარულის ნაკლებობა ხომ არა?**

– არა, არა, სიყვარული ნამდვილად არ აკლდა, მას თავად მამაჩემი ამცირებდა მხოლოდ. ასე თუნდაც იმ მიზეზით იქცეოდა, რომ ჩემთვის არგუმენტირებულად ეთქვა: „მამაჩემი ხომ ასე საშინლად მეპყრობოდა, ახლა მეც შემიძლია ასე საშინლად მოგეპყროო.“ სხვათა შორის ის ბებიაჩემის საყვარელი



ელექტრონული ბიბლიოთეკა



შვილი იყო. ესეც გასათვალისწინებელია. არა, საყვედურების საბაბი არ ჰქონია, ის უბრალოდ წინააღმდეგობრივი ხასიათისგან იტანჯებოდა, დეზორიენტირებული იყო და დაძაბული.

**– ეს ყველაფერი საიდან ჰქონდა?**

– ამის ახსნა შეუძლებელია, ამას ვერც ფსიქოლოგია ხსნის. ეტყობა გენეტიკურია. ბაბუაჩემი ამაში თავიდანვე დაეჭვდა, მამაჩემის დაბადებიდან მალევე, მაგრამ ბაბუას მასზე ხელი არასდროს აუღია. მე კი, მე ალბათ ბევრად უფრო ადრე უნდა მექცია ზურგი ჩემი მშობლებისათვის.

**– თქვენ ცხრა წლის განმავლობაში არ გქონიათ კონტაქტი მამასთან, მაგრამ მერე თავადვე ალადგინეთ ურთიერთობა.**

– ეს სამოცდაათიან წლებში იყო. კალიფორნიაში სემინარს ვესწრებოდი, ფსიქოლოგიურ მეთოდებს გვასწავლიდნენ: აქტიური მოსმენა, მე-მესიჯების გაგზავნა. მერე მამაჩემი მოვინახულე და ამ მეთოდების დახმარებით კარგად თუ ავად ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა შევძელით.

**– 1977-ში ახალი წლის დღეს მამათქვენი გარდაცვლილი იპოვეს. არავინ იცის ტაბლეტებისა და ალკოჰოლის გადამეტებულმა დოზას ემსხვერპლა თუ თვითონ მოიკლა თავი.**

– მის სიკვდილამდე ნახევარი წლით ადრე რამდენიმე კვირის განმავლობაში ვაკითხავდი მშობლებს. არ მეგონა, მამა ასე მალე თუ მოკვდებოდა, თუმცა ვამჩნევდი, რომ დაღლილი და რალაცნაირად გატეხილი იყო.

**– რაც არ უნდა განსხვავებულები იყოთ თქვენ და მამათქვენი, საერთო ინტერესები მაინც გაქვთ. ახლახან თქვენი ესეების წიგნი გამოვიდა, სადაც მამასაც ახსენებთ: „ეძღვნება მუსიკას“. რაში ჩანს, რომ თქვენ ტიპური მანი ხართ?**

– აზრის ძიება, ღირებულებებზე ორიენტირება - ჩემ შემთხვევაში ეს თეოლოგიით, ფსიქოლოგიით, მედიცინითა და მუსიკით ხდება. ამასობაში ჩემს მეუღლესთან ერთად გამოვეცი წიგნი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ფილოსოფიის შესახებ. გვაინტერესებს, თუ შეიძლება და როგორ შეიძლება გაიაზრო ღმერთი კვანტური ფიზიკის საფუძველზე.

**– გერმანისტმა ჰაინრიხ დეტერინგმა ცოტა ხნის წინ გამოსცა ამონარიდები თქვენი წიგნიდან. ერთი რამ თვალში საცემია: თქვენი ოჯახი ხშირად არის ნახსენები.**

– ჩემს პირველ წიგნშიც ასეა და დანარჩენებშიც, ამასობაში ჩემთვის ოჯახი მხოლოდ ამოსავალი წერტილია. მაგალითად, ნაწარმოებში „ჩემი ნიდენი“ მართალია ჩვენს სახლზე ვწერ კურშის ცელაში, მაგრამ ეს წიგნი ლიტვაზეა.

**– გაქვთ თუ არა კონტაქტი ბებიათქვენისა და ბაბუათქვენის სხვა შვილიშვილებთან?**

– კარგი ურთიერთობა მაქვს ელიზაბეთის უმცროს შვილთან, ნიკა ბორგეზესთან. სხვებზე იმავეს ვერ ვიტყვი. ნიკას და სადღაც მექსიკაში ცხოვრობს, არც ვიცი, იქ რას აკეთებს. ჩემი ძმა შვეიცარიაშია, მასაც ძალიან იშვიათად ვხედავ. ჩემი მშობლების მიერ ინდოეთიდან ნაშვილებ დაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

**– იმიტომ ხომ არ იშვილეს, რომ გამოეცადათ, როგორია ისეთი ბავშვის ყოლა, რომელსაც მანების გენები არ აქვს?**

– შეიძლება. მაგრამ არც ეს გენები გამოდგა ჩვენსაზე ბევრად უკეთესი.

**– რატომ გაწყდა მასთან კავშირი?**

– მემკვიდრეობასთან დაკავშირებული კონფლიქტების, უცნაური ამბების, ულამაზო ისტორიების გამო.

**– თქვენ ერთი ვაჟი და სამი შვილიშვილი გყავთ. როგორი ურთიერთობა გაქვთ მათთან?**

– ვეცადე, რომ უფრო სხვანაირი ვყოფილიყავი ამ მხრივ, ვიდრე მამაჩემი იყო.

**– ბატონო მან, დიდი მადლობა საუბრისთვის.**

*ჟურნალი „შპიგელი“, 42/2015*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

# მერაბ აბრამიშვილის სამოთხეები



დაახლოებით სამი კვირაა, რაც მერაბ აბრამიშვილის ფართო რეტროსპექტივაა წარმოდგენილი ზურაბ წერეთლის სამხატვრო გალერეა MoMA-ში და დამთვალიერებელთა ნაკადი არ წყდება. ადამიანები რამდენჯერმე მიდიან გამოფენაზე, რათა დახურვამდე კიდევ ერთხელ შეძლონ თვალის შევლება და ესთეტიკური თუ ინტელექტუალური სიამოვნების მიღება. ალბათ, ყველა მათგანს უჩნდება სურვილი, კვლავ და კვლავ იხილოს ის სიფაქიზე, სინაზე, იდუმალება, ფერთა ჰარმონია, ნაცნობი თემების საინტერესო გადააზრება, რასაც მის ტილოებზე აწყდება და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ ერთ-ერთ სერიოზულ და აბსოლუტურად განსხვავებული ხელწერის შემოქმედთან აქვს საქმე, რომელიც ნამდვილად არავის ჰგავს და ამიტომ არავისში აგერევა. ხელოვნებას კი, უპირველესად, ეს ინდივიდუალიზმი, ერთადერთობა ამშვენებს - ჭეშმარიტმა ხელოვნურმა ნაწარმოებმა ერთი განუმეორებელი ინდივიდის ერთადერთი სამყარო უნდა აჩვენოს, რადგან სხვათა გადამღერება, ბაძვა, პარვა ერთგვარად აუტანელია, როგორც ყოფაში, ისე - ხელოვნებაში.

ზემოთ ჩამოვთვალე აბრამიშვილის მხატვრობის ძირითადი მახასიათებლები - სიფაქიზე, სინაზე, სიღრმე, მაგრამ როგორ, რა მეთოდით აღწევს ამას ხელოვანი, რა აქვს მას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, რით აღწევს შედეგს?!

უპირველესი მიზეზი ის არის, რომ ნებისმიერი ტილო, იქნება ეს ნატურმორტი (რომელზეც მხოლოდ ყვავილებია გამოხატული), ცხოველი, ფრინველი, მოცეკვავე ქალი, შაჰ-აბასი და მისი ხარჭა, სამოთხეები, აპოკალიფსი თუ მექანიკური პიანინო, იმდენად „გაიშვიათებულ“, ჰაეროვან სამყაროს ქმნიან, რომ ყოველთვის რჩება ადგილი დამთვალიერებლის „ჩარევისთვის“, კერძოდ, ყველა მისი ტილო ფიქრის სურვილს აღძრავს, რაც, ემოციურ ნაწილთან ერთად, მისი ძლიერი ინტელექტუალური ასპექტის მაჩვენებელია. საგანი, რომელიც ტილოზეა გადატანილი, ამ საგნის სიღრმისეულ არსს, მის ჭეშმარიტ შინაარსს ასახავს, ამიტომაც განცდა, რაც შავი პანტერის ნახვისას გეუფლება, აბსოლუტურად შესაბამისია გამოხატული საგნის ბუნებისა - პანტერა არის ულამაზესი, რაც მის ხაზებსა და პლასტიკაში გამოიხატება, მაგრამ იგი, ამავე დროს, არის საშიში. რომ არა ეს მახასიათებელი, მხატვრულ ტყუილთან გვექნებოდა საქმე. ასეთსავე განცდებს აღძრავენ ულამაზესი ხალებიანი ლეოპარდები - სილამაზისა და შიშის გრძნობას. მათში ერთნაირი დოზით არის მოცემული ეს ორი მახასიათებელი, რაც მათ ბუნებას წარმოაჩენს. შეუძლებელია, ქართველ მხატვარს პანტერა ანდა ლეოპარდი დაეხატა და მისთვის, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად არ ემუშავა ვეფხისტყაოსნის ნესტანისეულ ხატებას, ანდა, შეუძლებელია, ქართველმა დამთვალიერებელმა ისე უყუროს ამ ლამაზ ცხოველებს, რომ პოემა არ გაახსენდეს და არ იგრძნოს საოცარი თანაგანცდა ავტორთან, რომელმაც მისთვის გაცოცხლა ამ საოცარი ცხოველის მშვენება და რომ ამ დროს ისიც ნესტანის იდუმალებასა და სახიფათოობაზე ფიქრობდა. ეს ლეოპარდები და პანტერები გიზიდავენ და განგიზიდავენ, რადგან მათში ერთდროულად, თანაბარი დოზით დევს ეს ორი ამბივალენტური თვისება. ეს წვდომაა სწორედ, ასე რომ აღაფრთოვანებს მნახველს და უდიდეს ემოციას უტოვებს აღნიშნული ტილოების მიმართ.

რას წარმოადგენს ყვავილები მერაბ აბრამიშვილთან, ნუთუ მხოლოდ ლამაზ მცენარეებს, რომელნიც ამოდიან, იზრდებიან, სიცოცხლეს გვილამაზებენ და კვდებიან?! მხოლოდ ეს რომ იყოს მხატვრული ტილოს მახასიათებელი, ბოტანიკასთან გვექნებოდა საქმე და არა ხელოვნებასთან. აბრამიშვილის ყვავილები და მცენარეები - ასკილი, იასამანი, გვიმრა - რომელნიც ქოთნებში ყვავიან,

ბიბლიოთეკა

ფესვებით არის დახატული, ეს ფესვები რეფლექსიის სურვილს გიჩენენ - ყვავილთა ბუნების თავისებურებაზე, მათ განგრძობადობაზე გვესაუბრებიან. მათი სილამაზე და მშვენიერება ერთწლოვანი ვერ იქნება, თანაც, ისინი ლამაზები კი არა, მშვენიერები არიან, ანუ იმდენად არიან განსულიერებულნი, რომ მათ მიმართ პატივისცემის განცდა გიჩნდებათ. ასკილის სიყვარულიც იქნება თუ იასამნის მშვიდი, დამჯდარი ფერების ჰარმონია, სულის განსაკუთრებულ კუნჭულებს ალიზიანებენ, ალბათ, ზუსტად იმ კუნჭულებს, სადაც მათი ადგილია, ამიტომ არიან ასე „ზუსტები" და ასე მშვენიერები.

ხოლო ყველაზე დიდი ჰუმანიზმი, რაც ამ მხატვრის სამყაროდან გამოსჭვივის, არის ტოლერანტობის უმაღლესი ხარისხი, მისი განურჩეველი სიყვარული და მიმღებლობა ყველაფრისა, რასაც სამყაროში ჰქონია ადგილი, იქნება ეს ცოდვა თუ სიწმინდე, დაცემა თუ ამაღლება. ამ დამოკიდებულების სიღრმეს მისი „სოდომი და გომორი" გამოხატავენ, ცეცხლის ენებით სავსე ორი ნახევარსფერო, რომელნიც მთელს დედამიწას განასახიერებენ, ერთი, რომ თავად ამ ორი დაცემული ქალაქისადმი სოლიდარობას უნდა აღნიშნავდეს და, მეორეც, ამ სოლიდარობით ადამიანს უნდა მიანიშნებდეს, რომ სოდომ-გომორი იქ და იმ დროს არ დამთავრებულა, არამედ მარადიული საფრთხეა თუ მარადიული მოვლენაა, რაკილა ცოდვის სიტკბოს ხიბლით არის სავსე. იმდენად ლამაზია ტილო, იმდენად ღრმა ესთეტიზმით არის სავსე, შეუძლებელია, მისთვის სოდომ-გომორს ის მარტივი დატვირთვა ჰქონოდა, რასაც ზედაპირულად აღიქვამენ ადამიანები. ამ ტილოს ფერები მნახველს თითქოს შიშისგან იხსნის, რადგან, მკვეთრი ცისფრისა და მკვეთრი მენამულის აქტიური ურთიერთობა ამ სამყაროს სახიფათო კავშირებზე უნდა მიანიშნებდეს, კავშირებზე, რომელიც ზეცისა და მიწის ყველაზე საშიშ ჩაბღაუჭებას ანდა ყველაზე კონტრასტულ ჰარმონიას ასახავს. სხვა რა შეუძლია ხელოვანს, თუ არა მოვლენაზე თავისი საკუთარი ხელწერის დატოვება?!

ანდა მისი „პრასტიტუტკები"! გამოფენაზე ორი „პრასტიტუტკაა" წარმოდგენილი. ტილოები ზურგიდან არის დახატული, ქალებს მხოლოდ სახის პროფილის ნაწილები მოუჩანთ. ორივე ტილო უმსუბუქესი და უნაზესია, რაც ამ „ხელობის" ქალებისადმი ტრადიციულ დამოკიდებულებას ანგრევს - ვნებათა ქარიშხალს და ცოდვის სიმძიმეს, რაც უმეტესწილად, ხორცის „სიჭარბესა" და ფერთა სიმკვეთრეში გამოიხატება ხოლმე. აბრამიშვილის პრასტიტუტკები დახვეწილი, ნაზი ქალები არიან, რომელნიც ძველი საბერძნეთის ჰეტერებს თუ ახალი ეპოქის ევროპელ დემიმონდენებს, ანდა იაპონელ გეიშებს მოგვაგონებენ. მხატვრისთვის ამ პროფესიას, როგორც ჩანს, თავისი ინტელექტუალური დატვირთვა უფრო ჰქონდა, ვიდრე ხორციელება და ცარიელი ვნება.

ორ „დიალოგსაც" წავაწყდებით ფიროსმანთან - ჟირაფები და შველი, რომელიც წყალს სვამს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პატიოსანი დიალოგი დიდი მხატვრისა გენიოსთან, ანდა ერთი გენიოსისა მეორე გენიოსთან. ეს ჟირაფები თან ენათესავებიან და თან იმდენი განსხვავებით გამოირჩევიან, რამდენი სხვაობის ნიჭიც ბუნებას მიუცია ამ არსებებისთვის. ფიროსმანის სტატიკური, მკვეთრად „ჩამოყალიბებული", ლამის სკულპტურული ჟირაფი აქ იმდენად ჰაეროვანი და ნაზია, რომ იფიქრებ, ფაუნის სხვადასხვა სახეობებთან გვაქვს საქმეო, თუმცა, საგნის ძირითადი არსი, ანუ სახეობის ბუნება ორივე მხატვარს ერთგვარად აქვს განცდილი - ორივე წვდება ამ უვნებელი ცხოველის, ბუნების მშვენიერების ჭეშმარიტ არსს, ფიზიკური სიმაღლით სულიერ სიმაღლეს რომ მოგვაგონებენ და სიმპათიისა და სიყვარულის გრძნობას გვიჩენენ. როგორც პანტერისა და ლეოპარდის ხილვა ინვევს შიშს, რაკი ისინი მართლაც საშიშები არიან თავიანთი მხეცური ბუნების გამო, ზუსტად ასევე, ეს ჟირაფები და შველები იმდენადვე არასაშიშები და ახლობლები არიან, ანუ - უხიფათო მშვენიერებები.

გამოფენის დიდი ნაწილი რელიგიურ თემატიკას ეძღვნება, აქ არის სამოთხეების, საიდუმლო სერობების, დატირებების უამრავი ვარიაცია და ქვევარიაცია. განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი „სამოთხე". მხატვარს იმდენად ბევრი ვარიანტი აქვს შექმნილი, რომელთაგან რამდენიმე ძირითადი „ფორმა" გამოირჩევა, რომ შეიძლებოდა ამ გამოფენისთვის „სამოთხის გამოფენა" გვენოდებინა. აქ არის წრიული სამოთხეები, ჰორიზონტალურად გაშლილი სამოთხეები, როდესაც ტილოები ვიწროა და გრძელი და ამ ფორმითაც გამოიხატება, ერთი მხრივ, ამ სამყაროს გრძლიობა, მეორე მხრივ, ერთგვარი სივიწროვე. არის კვადრატულად გაშლილი სამოთხეებიც. თუმცა, ამ სამ ძირითად ფორმაში რამდენიმე ვარიაცია აქვს შექმნილი, რაც თემაზე ფიქრის ხანგრძლიობაზეც მეტყველებს. როგორია მისი სამოთხეები? - ნაზი, ფაქიზი, იდილიითა და ყვავილებით სავსე, უკონფლიქტო, ულრუბლო ანუ ტრადიციული, მაგრამ ერთი მხატვრის კუთვნილება, მისი ფერებით შემქნილი.

ექსპოზიციაში ყურადღებას იქცევს „იერუსალიმი", იმდენად ჰარმონიული და დაწყობილ-დალაგებული, რომ შეხედვისთანავე გიჩენს ზეციური იერუსალიმის განცდას, სადაც, ისევე, როგორც სამოთხეებში, არ არსებობს კონფლიქტი და აგრესია, სადაც ყველაფერს თავისი დამსახურებული ადგილი აქვს, სადაც ადამიანის გონებისა და



ეროვნული ბიბლიოთეკა



სულის ზეიმია. ამ ტილოს ფერებიც უაღრესად მშვიდი და ჰარმონიულია, ერთმანეთთან უკიდურესი შინაგანი წესრიგით მიბმული. იერუსალიმის ქვეშ გამოფენილ სოდომ-გომორი კიდევ უფრო უსვამს ხაზს, რა განსხვავებაა ზეციურ ქალაქსა და მიწიერ ქალაქს შორის.

დიდ ტილოებს შორის შესამჩნევია და შთამბეჭდავი „აპოკალიფსი" და „კრწანისის ბრძოლა", რომელნიც გვერდიგვერდ არის გამოფენილი. აქვე ვიტყვი, რომ ექსპოზიციას ეტყობა გამოფენის ორგანიზატორის კარგად გათვლილი კონცეპტუალური ტაქტიკა, რაც კიდევ უფრო ეხმარება დამთვალიერებელს მხატვრის სათქმელის აღქმაში. გარე დარბაზი თითქოს შემზადებაა იმ დღესასწაულის სანახავად, რაც შიდა დარბაზში ელოდება მნახველს.

აპოკალიფსი თავისი დატვირთული შინაარსით და იოანე - მისი ინტელექტუალური შტრიხით - გამოცხადებით, რაც ხელნაწერის ფორმით არის დატანილი ტილოს გარშემო. ამ შტრიხით მხატვარი მიგვანიშნებს, რომ აპოკალიფსი, თავისი სირთულითა და წარმოუდგენლობით, შეუძლებელია, გაიგო, თუ მის წერილობით ვერსიასაც არ ჩაუღრმავდი და აქაც გვახსენდება მისი შემოქმედებითი პატიოსნება.

უნდა აღინიშნოს, რომ მერაბ აბრამიშვილისთვის, როგორც ჩანს, ე.წ. პატრიოტიკა არ მიეკუთვნება საყვარელ თემას. ამ მასშტაბურ ექსპოზიციაში მხოლოდ ორი ტილო გვხვდება აღნიშნულ თემაზე - „შავლეგო" და „კრწანისის ბრძოლა". პირველი მათგანი არის მუქ, თალხ ფერებში შესრულებული და უაღრესი ტრაგიზმით სავსე, უნდა აღინიშნოს, რომ იგი დაწერილია „დატირების" სტილში, რითიც მიანიშნებს ეროვნული გმირის ნათესაობაზე რელიგიურ გმირთან ანუ ქრისტესთან - განწირულობით შავლეგო ქრისტეს ენათესავება.

რაც შეეხება „კრწანისის ბრძოლას", რჩება შთაბეჭდილება, რომ მხატვრისთვის ეს კონკრეტული ტრაგიკული ფურცელი ორმაგად საინტერესო უნდა ყოფილიყო, როგორც თავად ამ ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობით, ასევე, მისი ტაქტიკითა და სტრატეგიით. საკმაოდ მოზრდილ ტილოზე ტყესავით ამოზრდილი ისრებისა და საბრძოლო იარაღის, ასევე, მონაწილე მებრძოლთა სიმრავლე, მათი განლაგება და შორიდან შეხედვისას თვალისთვის შესამჩნევი კონფიგურაცია - მტრების გარემოცვაში მოქცეული დამარცხებისთვის განწირული ქართველი მებრძოლები, მთელი სიღრმითა და დრამატიზმით აქვს განცდილი, ისევე, როგორც ყველაფერი, რასაც მის ტილოებზე დაუდია ბინა. ეს ტილო 300 არაგველის ძეგლიც არის და დატირებაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის დასასრულზე. ყოველ შემთხვევაში, ტილოს სიღრმე და მასშტაბურობა ამგვარ განცდას იწვევს, მით უმეტეს, რომ სხვა ისტორიული ფურცლების შესახებ გამოფენაზე ვერაფერს ვხედავთ.

და ბოლოს, მხატვრის ბედზე. მერაბ აბრამიშვილი 49 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა მისი ტილოების სიმრავლე, შინაარსების სიღრმე და სიუხვე მნახველს აფიქრებინებს, რომ მის მიერ ასე მრავალფეროვნად განცდილი სამოთხეები, ასე ლამაზად დახატული ყვავილები, რომელნიც სამოთხეს ამშვენებენ, ასეთი იდუმალებით შესრულებული საშიში, თუმცა ლამაზი ცხოველები, ისევე უნდა „გაჰყოლოდნენ" მას მარადიულ გზაზე, როგორც აქ მოსვლისას „ჩამოიტანა" თავისი ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი სამყარო. რატომ უნდა ვიდაოთ ამაზე, თუკი სამყაროს მეტაფიზიკური და ფიზიკური ლოგიკა ამ რწმენაში უტყუარი არგუმენტებით ვერ შეგვეწინააღმდეგება?!



# აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა

0175/42

